გივი სოხაშვილი

სამთავისი

(მასალები ტაძრის ისტორიისათვის)

რედაქტორი შ. ამირანაშვილი

თბილისი 1973

გამომცემლობის რედაქტორები მ. ი ნ ა ს ა რ ი ძ ე, რ. ჩ ი რ გ ა ძ ე
მხატვრული რედაქტორი ი. ჩ ი ქ ვ ი ნ ი ძ ე
ტექრედაქტორი ი. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი
კორექტორი მ. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/VIII-73
ქაღალდის ფორმატი 70×108/16
ნაბეჭდი თაბახი 11,88
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 11,11

შეკვეთა 1235 უე 11677 ტირაჟი 1500

ფასი 2 მან. 40 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.

72 (с41) 1
726 (47.922) (09)
ს 751

საქართველოს ფეოდალური ხანის ხუროთმოძღვრების ისტორიაში სამთავისის ტაძარს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ორიგინალურად არის გადაწყვეტილი ტაძრის შინაგანი სივრცისა და გარე მასების ურთიერთშეთანხმების საკითხი, ასევე ახლებურად არის გააზრებული ფასადების დეკორატიული სისტემა. სამთავისის ტაძრის ხუროთმოძღვრული ტიპი XI—XIII სს. მანძილზე მისაბაძ ნიმუშად იქცა.

გ. სოხაშვილის ნაშრომში მრავალი საყურადღებო საკითხია დასმული და ახლებურად გააზრებული. აქ პირველად არის სრული სახით გაშუქებული ტაძრის ისტორიის საკითხები. თავმოყრილი და კლასიფიცირებულია საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური ლიტერატურა.

ნაშრომს ახლავს სათანადო საილუსტრაციო მასალა ფოტოტაბულების სახით, ასევე ვრცელი რეზიუმეები რუსულ და ინგლისურ ენებზე.

წიგნი განკუთვნილია ისტორიკოსების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1973

1-6-1
M — 608

შინაარსი

რედაქტორისაგან 7
შესავალი 9
ძეგლის აღწერა 15
აღმოსავლეთის ფასადი 23
სამხრეთის ფასადი 29
დასავლეთის ფასადი 33
გუმბათი 38
კედლის მხატვრობა 39
გუმბათის მხატვრობა 61
ეპისკოპოსის პალატი 65
სამრეკლო 70
მცირე ზომის დარბაზული ეკლესია 72
სამთავისის ტაძრის ისტორია წერილობითი წყაროებისა და ეპიგრაფიკის მიხედვით 73
რეზიუმე რუსულ ენაზე 105
რეზიუმე ინგლისურ ენაზე 112
ტაბულები 121

რედაქტორისაგან

საქართველოს ფეოდალური ხანის ხუროთმოძღვრების ისტორიაში სამთავისის ტაძარს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ძველი ქართული სამშენებლო ხელოვნების ევოლუციის გარკვეულ საფეხურებზე სამთავნელმა ხუროთმოძღვარმა პირველმა შექმნა საკულტო ნაგებობის ორიგინალური კომპოზიცია, რომელშიც ახლებურად გადაწყვიტა ტაძრის შინაგანი სივრცისა და გარე მასების ურთიერთშეთანხმების საკითხი, აგრეთვე ახლებურად გაიაზრა და განახორციელა ფასადების დეკორატიული სისტემა. სამთავისის ტაძრის ხუროთმოძღვრული ტიპი XI—XIII საუკუნეების მანძილზე არსებითად მისაბაძ ნიმუშად იქცა. ქართველი ხუროთმოძღვრებისათვის ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ სამთავისის ტაძარში გადაწყდა და განხორციელდა ის ხუროთმოძღვრული ამოცანები, რომლებიც სავსებით პასუხობდა ეპოქის მოთხოვნებს მთელი სამი საუკუნის მანძილზე. ბუნებრივია, ასეთი ფუძემდებლური ძეგლის მონოგრაფიულად შესწავლა დიდ მეცნიერულ ინტერესს იწვევს.

ეს წიგნი უკანასკნელი ნაშრომია უდროოდ ჩვენგან წასული გივი სოხაშვილისა, რომელმაც არაერთი წელი მოანდომა სამთავისის ტაძრის ხუროთმოძღვრული თემის შესწავლას.

აწ განსვენებულმა ავტორმა ამ საკითხთან დაკავშირებით კვლევა-ძიებათა რიგი შედეგი მოხსენებებისა თუ ცალკე წერილების სახით გამოაქვეყნა კიდეც, ხოლო სამთავისის ტაძრის მშენებლობის ისტორიას სპეციალური ნაშრომი უძღვნა („მაცნე“ № 3, 1968, გვ. 178—199).

ჩვენს ხელთ არსებული მასალებით ცხადი ხდება, რომ ავტორს გაცილებით ფართოდ ჰქონდა გამიზნული დასახელებული ძეგლის შესწავლა, რისთვისაც იგი წლების მანძილზე აგროვებდა სათანადო მასალას ამ ტიპის ხუროთმოძღვრული ძეგლების შესახებ, რომელთა შუქზეც შემდეგში უნდა მოეხდინა ხუროთმოძღვრული თემისა და ფორმების მხატვრულ-ისტორიული ანალიზი. ამაზე მიუთითებს უამრავი ბარათი და ჩანაწერი, რომელიც გ. სოხაშვილის საკმაოდ მოწესრიგებულ და სამაგალითო მუყაი-

თობით შედგენილ პირად არქივშია დაცული. აღნიშნული მასალის გათვალისწინებით ირკვევა, რომ ავტორს საფუძვლიანი კვლევა-ძიება უწარმოებია სამთავისის ტაძრის როგორც ხუროთმოძღვრული ფორმების, ასევე დეკორის თავისებურებათა ირგვლივ. ზემოთ თქმულის მიუხედავად, სამწუხაროდ, ნაშრომის ბოლო ნაწილი ავტორს, როგორც ჩანს, არ დაუწერია, რადგან ხელნაწერთა შორის ასეთს ჩვენ ვერ მივაკვლიეთ, ხოლო ავტორისეული ბარათებისა და ცალკეული ჩანაწერებით ტექსტის შედგენა გარკვეული მიზეზებით შეუძლებლად მივიჩნიეთ.

აღსანიშნავია, რომ ავტორს, როგორც ჩანს, ნაშრომის პირველი ვარიანტი არ დაუმთავრებია, ისე დაუწყია ნაშრომის ახალი (მეორე) ვარიანტი, რომლის მიხედვითაც დაიბეჭდა კიდეც წინამდებარე წიგნი მცირეოდენი ცვლილებებით, რაც ძირითადად სქოლიოთა უნიფიცირებამ და ნაშრომის რიგი ნაწილის ვარიანტებთან შეთანხმებამ გამოიწვია.

მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომის დამთავრება და საბოლოო გამართვა ავტორმა სიცოცხლეში ვერ მოასწრო, ჩვენი აზრით, მისი გამოქვეყნება წარმოდგენილი სახით სავსებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგ გარემოებათა გამო: ნაშრომში მრავალი საყურადღებო საკითხია დასმული და ახლებურად გააზრებული. აქ პირველად სრული სახით არის გაშუქებული ტაძრის ისტორიის საკითხები, რომლის საფუძველსაც ნარატიული წყაროები და ლაპიდარული ხასიათის ეპიგრაფიკა წარმოადგენს. თავმოყრილი და კლასიფიცირებულია საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური ლიტერატურა. ნაშრომს ახლავს სათანადო საილუსტრაციო მასალა ფოტოტაბულების სახით.

დარწმუნებული ვართ, რომ საკითხით დაინტერესებულ მკვლევართ გ. სოხაშვილის წინამდებარე ნაშრომი ბევრ საყურადღებო და აუცილებელ ცნობას მიაწვდის.

შესავალი

სამთავისის ტაძარი მდებარეობს ისტორიულ შიდა ქართლში, ქ. კასპის ჩრდილოეთით 11 კმ-ის დაშორებით. იგი აღმართულია მდ. ლეხურას მარცხენა ნაპირზე, სოფ. სამთავისის ცენტრში. ტაძრის თეთრად მოკაშკაშე ფასადების ზეაზიდული პროპორციები, რასაც საკმაოდ მაღალი გუმბათი კიდევ უფრო აძლიერებს, ქართლ-იმერეთის მთავარი სამანქანო გზიდანაც კი იპყრობს მნახველთა ყურადღებას (ტაბ. 1).

ძველ ქართულ მატიანეებსა და წერილობით წყაროებში სამთავისის ტაძარი მეტად ძუნწად არის წარმოდგენილი. იგი მხოლოდ ე. წ. „13 ასურელ“ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველ რედაქციებში, ქართლის ცხოვრებაში, ვახუშტის „გეოგრაფიასა“ და გვიანფეოდალური ხანის სიგელ-გუჯრებშია გაკვრით ნახსენები. ძეგლის შესახებ შედარებით სრულ მასალას ეხედებით გასული საუკუნისა და ჩვენი ეპოქის მკვლევართა შრომებში.

ყველაზე ადრეული ცნობები სამთავისის ტაძრის შესახებ დაცულია X საუკუნეში შედგენილ 13 ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნში [1]. დასახელებულ შრომაში აღნიშნულია, რომ VI საუკუნის 50-იან წლებში ერთ-ერთ 13 ასურელ მამათაგანს ისიდორეს (ეზდერიოსს) სამთავისში დაუწყია მოღვაწეობა და იქვე დაუსრულებია თავისი სიცოცხლე. აქედან გამომდინარე, ადრინდელ წყაროებსა და XIX საუკუნის მოგზაურ-მკვლევართა ზოგიერთ შრომაში აისახა აზრი, თითქოს სამთავისის პირვანდელი ტაძარი აშენებულია VI საუკუნის მოღვაწის ისიდორეს მიერ. ვახუშტი თავის „გეოგრაფიაში“ იგივეს აღნიშნავს [2]. ამავე აზრს იმეორებდნენ XIX საუკუნის მოგზაურ-მკვლევარნი სამთავისის ტაძრის შესახებ.

ხალხური გადმოცემები კი ძეგლის დაარსების რამდენადმე უფრო

---

[1] ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბილისი, 1955, გვ. 38—39.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 72.

ადრინდელ პერიოდზე მიუთითებს, კერძოდ V საუკუნის მე-2 ნახევარზე [3]. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ხშირად ზეპირსიტყვიერება ძველ და სანდო ცნობებიდან მომდინარეობს და ამდენად იგი ყურადსაღები და ანგარიშგასაწევია. ამ მხრივ საყურადღებოა ქართლ-იმერეთის სინოდის კანტორის საქმეებში დაცული ცნობა, რომლის მიხედვითაც სამთავისის პირვანდელი ეკლესია აუშენებიათ ვახტანგ გორგასალის დროს, 472 წელს [4].

სამთავისს იხსენიებს თამარ მეფის ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოძღვარიც [5]. დასახელებულ წყაროში აღნიშნულია, რომ სამთავისი ებოძა ჯერ მიქელს, ხოლო შემდეგ ანტონ კათალიკოსს.

გვიანფეოდალური ხანის სიგელ-გუჯრებში სამთავისის ტაძარი მოხსენიებულია მხოლოდ იმასთან დაკავშირებით, თუ ვის ეკუთვნოდა სამთავისი, რა შემოსავალი და შეწირულობა ჰქონდა. რა ხატები და ჯვრები შესწირეს მისმა მეპატრონე ამილახორებმა და რა საეკლესიო წიგნები გადაწერეს სამთავნელმა ეპისკოპოსებმა. ამრიგად, აღნიშნული ხანის ცნობები იმდენად მწირია, რომ ამ ხანაში ძეგლის ისტორიის სრული სახით წარმოდგენა ვერ ხერხდება.

XIX საუკუნის 40-იან წლებში სამთავისი ინახულა მხატვარმა გ. გაგარინმა და მოგზაურ-მკვლევარმა ა. მურავიოვმა. გ. გაგარინმა ჩაიხატა სამთავისის ტაძრის აღმოსავლეთის ფასადის დეტალები და შემდეგ თავის დიდტანიან ალბომში მოათავსა [6], ხოლო ა. მურავიოვმა თავის მოგზაურობის წიგნში „Грузия и Армения"-ში გამოაქვეყნა სამთავისის შესახებ ფოლკლორული მასალა [7].

მომდევნო წლებში სამთავისს ეცნობა მ. ბ რ ო ს ე [8]. მკვლევარი ძეგლის ფასადებზე მოთავსებულ წარწერებს და ტაძრის შიგნით არსებულ ხატებსა და ჯვრებს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. სამწუხაროდ, მის მიერ გამოქვეყნებული ზოგიერთი წარწერა შეცდომებს შეიცავს. მიუხედავად აღნიშნული ნაკლისა, მ. ბ რ ო ს ე ს შრომა სამთავისის ტაძრის წარწერების შესახებ მაინც ძვირფასია, რადგან ზოგიერთმა მათგანმა დღემდე ვერ მოაღწია. მაგალითად, აღმოსავლეთის ფასადის ჯვრის მკლავის მარჯვენა ზედა არეში წარწერა აღარ არსებობს. ასევე დაღუპულია

---

[3] იოანე ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, კალმასობა, I, თბილისი, 1948. გვ. 49; სოფელი მეტეხი და მისი ნაშთი. „მოგზაური", 1902, № 9—10. გვ. 685; პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება, I. თბ., 1937, გვ. 563.

[4] Д. П. Гордеев, Материалы к обследованию памятников грузинского зодчества, преимущественно по архивным данным Самтависи—Известия Кавказского историко-археологического института, т. IV, 1926, стр. 96.

[5] ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 122—123.

[6] G. Gagarine, Le Caucase pittoresque, Paris, 1847, pb. LXIII.

[7] А. Н. Муравьев, Грузия и Армения, т. III, СПб, 1848, стр. 85 — 87.

[8] M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans L'Armenie. 3-e livraison, sixième rapports, Spb. 1851, გვ. 4, 5, 121, 122, 126, 127.

მ. ბ რ ო ს ე ს მიერ არასრულად ამოკითხული 1056 წლით დათარიღებული წარწერა და გვიანი ხანის ისტორიული ცნობების შემცველი სამთავისის ხატები და ჯვრები.

საქართველოში მოგზაურობისას მხატვარმა დ. გ რ ი მ მ ა ჩაიხატა სამთავისის აღმოსავლეთის ფასადისა და ჩუქურთმის დეტალები, რომელიც გამოაქვეყნა 1859 წელს[9]. ცოტა მოგვიანებით მან მ. ბ რ ო ს ე ს მოსაზრებები ძეგლის ისტორიის შესახებ გაიმეორა თავის შრომაში[10]. ძეგლის შესახებ წერილები გამოაქვეყნეს დ. ბ ა ქ რ ა ძ ე მ[11] და ი. ტოლსტოიმ და ნ. კონდაკოვმა[12].

გასული საუკუნის მოგზაურ-მკვლევართა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა თ. ჟორდანიასა[13] და ა. ხახანაშვილის[14] შრომები, სადაც საინტერესოდ და შედარებით სრულად არის განხილული სამთავისის წარწერები. თ. ჟორდანიამ, ძეგლზე მუშაობის დროს, ეზოში მიაკვლია ტაძრის აშენების დამათარიღებელ (1030 წელი) წარწერას. იგი 1050, 1056, 1168 წლებისა და გვიანი ხანის წარწერებს თანმიმდევრულად და ზუსტად იკვლევდა. ასევე ვრცლად აქვს განხილული ძეგლის წარწერები ა. ხახანაშვილს, თუმცა იგი გვიანი ხანის წარწერების ანალიზის დროს ბროსეს მცდარ პოზიციებზე იდგა. კერძოდ, ტაძრის მეორედ აშენების თარიღში მეცნიერი თითქმის ორი საუკუნით ცდება.

აღნიშნული ნაკლის მიუხედავად გასული საუკუნის მოგზაურ-მკვლევართა ღვაწლი განუზომელია სამთავისის ტაძრის დათარიღებისა და წარწერათა ამოკითხვის საქმეში.

ამ შრომების გამოქვეყნების შემდეგ თითქმის საუკუნემ განვლო და ზოგიერთი წარწერა, რომელიც სამთავისის ტაძარზეა მოთავსებული, დღეისათვის ძნელი წასაკითხია. ამიტომ გამოქვეყნებულ წარწერებთან შეჯერებით შეიძლება სრულყოფილი სახით აღვადგინოთ დაზიანებული წარწერები.

სამთავისისადმი ინტერესი ჩვენი ეპოქის მეცნიერთა შორის კიდევ უფრო გაიზარდა. თუ გასული საუკუნის მოგზაურ-მკვლევარნი მხოლოდ წარწერების გამოქვეყნებით იფარგლებოდნენ, დღეისათვის ჩვენი ხელოვ-

---

[9] Д. Гримм, Памятники византийской архитектуры в Грузии и Армении, СПб, 1859, 4 таблицы, помещенные в вып. 6, 7, 11, 12, стр. 3 — 4.

[10] Д. Гримм, Памятники христианской архитектуры в Грузии и Армении, 1866, стр. 3 — 4.

[11] Записки Общества любителей Кавказской археологии, к. I, Тифлис, 1875, стр. 129.

[12] И. Толстой и Н. Кондаков, Русские древности в памятниках искусства, вып. IV, СПб., 1891, стр. 69 — 70.

[13] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, 1892, გვ. 171, 172, 201, 202, 259, ქრონიკები, II, 1897. გვ. 332, 333.

[14] А. Хаханов, Ксанское ущелье, Материалы по археологии Кавказа, вып. XII, 1898, зз. 43 — 49.

ნების ისტორიკოსები ძეგლის ძირეული შესწავლით არიან დაინტერესებულნი. მათ ყურადღება მიაქციეს ტაძრის ხუროთმოძღვრულ ფორმებს, გეგმას, ინტერიერს, ფასადების მხატვრულ გადაწყვეტასა და დეკორს.

ამ მხრივ, პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს პროფ. დ. გორდეევის შრომა სამთავისის ტაძრის შესახებ [15]. ავტორი დეტალურად იხილავს ქართლ-იმერეთის სინოდის კანტორის საარქივო მასალებს, რომლებიც ეხება გასული საუკუნის 40—50-იან წლებში წარმოებულ ძეგლის სარესტავრაციო სამუშაოებს. შრომაში ფართო ადგილი უჭირავს არქიტექტორ რიპარდის მიერ ძეგლის შეკეთებისათვის შესრულებულ ანაზომ-ჩანახატების აღწერასა და სათანადოდ ვრცელ ხარჯთაღრიცხვას. გარდა ამისა, რაც მთავარია, მკვლევარი იძლევა ძეგლის ირგვლივ შეკრებილი ვრცელი ლიტერატურისა და ძეგლის ისტორიის მოკლე მიმოხილვას.

აკად. გ. ჩუბინაშვილი სამთავისის ტაძარს იხილავს, როგორც ერთ-ერთ საეტაპო ძეგლს და მას საპატიო ადგილს აკუთვნებს ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ისტორიაში [16].

პროფესორი მ. მაჭავარიანი თავის სადოქტორო დისერტაციაში მიმოიხილავს ტაძრის შინაგანი სივრცისა და გარე მასების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემას [17]. რ. შმერლინგი ეხება ძეგლის დეკორს, როგორც XI საუკუნის ქართულ ჩუქურთმათა შორის ერთ-ერთ საუკეთესოს [18], ა. ცირესის შრომა „Искусство архитектуры" წარმოადგენს სამთავისის ტაძრისა და მდინარე ნერლის ნაპირზე 1166 წელს აგებული პოკროვსკის ეკლესიის ხუროთმოძღვრული ფორმების, ფასადების, ინტერიერებისა და გეგმების შედარებით შესწავლას [19].

აკად. ნ. სეველოვი [20] და პროფ. ი. ციციშვილი [21] თავიანთ შრომებში მოკლედ მიმოიხილავენ სამთავისის ტაძრის მხატვრულ-ისტორიულ მონაცემებს. გარდა ამისა ნ. სეველოვს ეკუთვნის საინტერესო გამოკვლევა სამთავისის ტაძრის გუმბათის ყელის რეკონსტრუქციის შესახებ [22], პროფ. ვ. ბერიძე ძველ ქართველ ხუროთმოძღვრებს შორის საპატიო ადგილს უთმობს სამთავისელ ხუროთმოძღვარს და მიუთითებს ძეგლის მხატვრულ

---

[15] Известия КИАИ. IV, დასაბეჭდებული შრომა, გვ. 88—122.

[16] გ. ჩუბინაშვილი. ქართული არქიტექტურის გზები, 1936, გვ. 132.

[17] მ. მაჭავარიანი, საქართველოს ძველ მონუმენტურ ძეგლთა მოცულობითი გამოსახულება, სადოქტორო დისერტაცია, 1941, სამთავისზე იხ. გვ. 296—301.

[18] ქართული ხელოვნება, წ. I, 1942, გვ. 57—70; Р. Шмерлинг, Самтавро — памятник XI в. Малые формы в архитектуре средневековой Грузии, 1962, стр. 115, 121, 133, 134, 135. 146, 172.

[19] А Цирес, Искусство архитектуры. М., 1946, стр. 99, 106.

[20] Н. П. Северов, Памятник грузинского зодчества, М., 1947, стр. 178 — 179.

[21] ი. ციციშვილი, ქართული არქიტექტურის ისტორია. 1955, გვ. 63.

[22] Н. П. Северов, К вопросу о реконструкции барабана Самтависского храма, „ქართული ხელოვნება", VI, თბილისი, 1963, გვ. 197—206.

ღირსებებზე [23]. სამთავისის ტაძრის „მეორედ აშენების“ თარიღისა და XV—XVII საუკუნეების ისტორიულ წყაროთა საუკეთესო ინტერპრეტაციას იძლევა ს. ბარნაველი [24].

ძეგლის წარწერებსა და წერილობით წყაროებს ვრცლად აშუქებენ თავიანთ სადისერტაციო შრომებში მ. ქიქოძე [25], ა. ბაქრაძე [26] და ლ. მენაბდე [27], თუმცა მათ შრომებში უმეტეს შემთხვევაში მ. ბროსესა და ა. ხახანაშვილის ზოგიერთი მოძველებული და მცდარი მოსაზრებების უკრიტიკო განმეორებას ეხვდებით.

ძეგლის ყველაზე სრული პუბლიკაცია ეკუთვნის აკად. შ. ამირანაშვილს [28], ავტორმა XI საუკუნის ხუროთმოძღვრული ძეგლის მხატვრულ-ისტორიული ანალიზის გარდა მოგვცა საინტერესო დასკვნები საკურთხევლის კედლის მხატვრობის შესახებ.

პროფ. ს. მაკალათიას მხარეთმცოდნეობის თვალსაზრისით მიმოხილული აქვს სამთავისის ტაძარი. აქ ავტორი ეხება ძეგლის ისტორიას, მის შემოგარენსა და საერთოდ ლეხურას ხეობას [29].

გარდა დასახელებული ავტორებისა, სამთავისი მრავალ ქართველ ისტორიკოსსა და ხელოვნებათმცოდნეს აქვს მოხსენიებული თავიანთ შრომებში, როგორც დამხმარე მასალა. მაგალითად, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი იხილავს ძეგლის აღმოსავლეთის ფასადის წარწერას და მას უწოდებს „ტყუბწვეტოვან დამწერლობას“ [30], ხოლო დასავლეთის ფასადის სარკმლების ზემოთ მოთავსებულ წარწერაში აღნიშნული სიტყვების „მეორედ აღაშენა“-ს შესახებ აკად. ნ. ბერძენიშვილი საინტერესო ახსნა-განმარტებას იძლევა [31].

---

[23] ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები, 1956, გვ. 39—40. მეორე გამოცემა. მისივე. ძველი ქართველი ოსტატები. თბილისი. 1967. გვ. 119—120.

[24] ს. ბარნაველი, სამთავისის ტაძრის „მეორედ აღმშენებლის“ ვინაობა, საქარ. თეელოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XII, № 9. 1951, გვ. 571—578.

[25] მ. ქიქოძე. საამილახოროს ისტორიიდან XV—XVIII სს-ში, 1952, საკანდიდატო დისერტაცია. გვ. 1—252.

[26] ა. ბაქრაძე. ქართული ეპიგრაფიკა როგორც ისტორიული წყარო (X—XIII სს.). 1954, საკანდიდატო დისერტაცია. გვ. 70—90.

[27] ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვ. I, 1962, გვ. 231—236.

[28] შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1961, გვ. 254—255.

[29] ს. მაკალათია, ლეხურას ხეობა, თბილისი, 1964.

[30] ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1949, გვ. 125.

[31] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. IV, თბილისი, 1967, გვ. 273—279.

სამთავისის ტაძრის ხედების, ფასადებისა და დეტალების ფოტოგრაფირება ეკუთვნის კავკასიის ცნობილ გეოგრაფს, მხატვარ დ. ერმაკოვს, რომელმაც XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე შექმნა ქართული კულტურის ძეგლების ფოტო-ნეგატივების უნიკალური კოლექცია. სამთავისის ტაძარი რიპარდის სქემატური ანაზომების გარდა აზომილი და გამოხაზულია ცნობილი საბჭოთა ხუროთმოძღვრების მ. ჩხიკვაძის, ნ. სევეროვის, ნ. ჩუბინაშვილისა და ლ. წილოსანის მიერ.

ძეგლის აღწერა


სამთავისის ტაძარი გალავანშემორტყმულ საკმაოდ ფართო ეზოს (800 მ²) ცენტრშია აღმართული (სურ. 1, ტაბ. 2). გალავანს კუთხეებში საბრძოლო დანიშნულების მრგვალი კოშკი აქვს. ამჟამად ეზოში მოხვედრა შესაძლებელია ჩრდილოეთის მხარეს მდებარე თაღოვანი შესასვლელით, რომელზეც დაშენებულია სამსართულიანი სამრეკლო (ტაბ. 48). როგორც ჩანს, გალავანს ადრე დასავლეთიდანაც ჰქონია შესასვლელი, რომელიც ამ საუკუნის დასაწყისში ამოუშენებიათ (ტაბ. 3). გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში შემორჩენილია სამთავისის ეპისკოპოსის ორსართულიანი პალატის ნანგრევი, სამხრეთით კი, — გალავნის შუა წელზე მოქცეული მცირე ზომის დარბაზული ეკლესიის ნაშთი (ტაბ. 4).

ტაძრის ეზოს დონე თავდაპირველთან შედარებით 1,5 მეტრით არის ამაღლებული, ხოლო ძეგლის გარშემო 10 მეტრის სიგანეზე ჩანს ეზოს თავდაპირველი დონე, ისე რომ, ოთხივე მხარეს გარკვევით მოჩანს ტაძრის ორსაფეხურიანი ხარისხი.

ეზოს ცენტრში აღმართულია სამთავისის ჯვარ-გუმბათოვანი ტიპის ტაძარი, რომელიც გეგმაში ოდნავ წაგრძელებულ სწორკუთხედში ჩაწერილ ჯვარს წარმოადგენს (სურ. 2).

ტაძრის ინტერიერში თანაბარი სიგანის მკლავები ერთი ზომის სიმაღლეზეა ატყორცნილი. მკლავების გადაკვეთაზე აღმართულია ოთხი ცალკე მდგომი ბურჯი, რომლებიც ნახევარწრიული თაღებითაა შეკრული. თაღების ჭუსლების შესაყართან წარმოქმნილ სამკუთხედებში ამოყვანილია აფრები, რომელთა საშუალებითაც კვადრატი წრეზე გადადის. ამ კონსტრუქციულ სისტემაზეა დამყარებული გუმბათის საკმაოდ მაღალი ყელი (სურ. 3, 4, 5, 6):

შენობის შიგნითა მასები, რომელთა საშუალებითაც შინაგანი სივრცეა განსაზღვრული, გუმბათის გარშემოა განლაგებული; გეგმაზომიერად გააზრებული ნაგებობის კონსტრუქცია მაღალმხატვრულადაა ხორცშესხმული. როგორც ქვემოთ ვაჩვენებთ, ტაძრის შიდა სივრცე ჰარმონიულადაა შერწყმული ძეგლის გარეთა მასებთან, ისე რომ, გარეთა ფორმასა და




სურ. 1. სამთავისის ტაძრის გენერალური გეგმა
Рис. 1. Самтависи — Генеральный план храма
Fig. 1. Samtavisi. General plan of the church

შიდა სივრცეს შორის სრული შესაბამისობა არის მიღწეული, რაც ქმნის მხატვრული ერთიანობის შთაბეჭდილებას.


ინტერიერში აღმოსავლეთის მკლავი ბოლოვდება ნახევარწრიული აბსიდით; დანარჩენი სამი მკლავი კი სწორკუთხაა (სურ. 2). აღმოსავლეთის მკლავის ჩრდილოეთით და სამხრეთით სამკვეთლო და სადიაკვნოა მოთავსებული, რომელთა აბსიდები ნახევარწრიული ფორმისაა. სამკვეთლოსა და სადიაკვნოს თავზე ამავე ზომის თითო პატრონიკონია მოთავსებული. რომლებშიც ამჟამად შესვლა შესაძლებელია მხოლოდ ინტერიერის ღიადებიდან კიბის მიდგმის საშუალებით (სურ. 3).

დასავლეთის მკლავის ორსავე მხარეს თაღებია გახსნილი, რომელთა საშუალებითაც ჩრდილოეთითა და სამხრეთით არსებული ვიწრო და წაგრძელებული ფორმის სამყოფელებით უკავშირდებიან შიდა სივრცეს (სურ. 47).

ტაძარს უწინ სამი კარი ჰქონდა. დღეისათვის კი მხოლოდ ორი კარია შემორჩენილი — დასავლეთის კედლის ცენტრიდან (სურ. 11) და სამხრე-



სურ. 2. სამთავისის ტაძრის გეგმა
Рис. 2. Самтависи — План храма
Fig. 2. Samtavisi. Plan of the church



სურ. 3. სამთავისის ტაძრის განივი ჭრილი, აღმოსავლეთის ხედი
Рис. 3. Самтависи — Поперечный разрез храма на восток
Fig. 3. Samtavisi. Cross-section of the church. View from west to east

თის კედლის მარცხენა მესამე თაღიდან. მესამე კარი, გასულ საუკუნეს. შეკეთების დროს ამოუშენებიათ (სურ. 9, 11).


ჩრდილოეთით შესასვლელი კარი დანარჩენ ორ კარზე მცირე ზომისაა როგორც სიმაღლით, ისე სიგანით. ჩრდილოეთის კარის ტიმპანი, რომელსაც შეისრული თაღი აქვს, საგრძნობლად არის ამაღლებული. დასავლეთის კარი, რომლის ტიმპანი ნახევარწრიული ფორმისაა, ამჟამად გაუქმებულია (სურ. 10. ტაბ. 7).

ტაძრის შიდა სივრცე ძირითადად განათებულია გუმბათსა და მკლავებში გაჭრილი 14 სარკმლით. აქედან სამი სარკმელი საკურთხევლის აბსიდშია მოთავსებული (სურ. 3), სამხრეთისა და ჩრდილოეთის მკლავებში თითო-თითო დიდი სარკმელია გაჭრილი (სურ. 5, 6). დასავლეთიდან ორი შეწყვილებული სარკმელია (სურ. 4). გუმბათიდან 7 სარკმელი ანათებს გუმბათქვეშა სივრცესა და ინტერიერის დანარჩენ მონაკვეთს. სამკვეთლო და სადიაკვნო ტაძრის შიდა სივრციდან შემავალი შუქის გარდა მცირე ზომის ორ-ორი სარკმლით ნათდებოდა (ტაბ. 5). ამჟამად ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებში გაჭრილი მრგვალი სარკმლები თითო ქვის ფილითაა დახშული, აღმოსავლეთის მხარის სარკმლები კი გახსნილია. რაც შეეხება პატრონიკენს, იგი განათებულია, როგორც აღმოსავლეთის მხრიდან თითო მრგვალი სარკმლით, ისე ინტერიერში არსებული ღიობებით.


გეგმაზომიერი განათების საშუალებით ტაძრის შინაგანი სივრცე თავისუფლად აღიქმება. ტაძარში შესვლისთანავე შეინიშნება გუმბათის ქვეშ ჩრდილო-დასავლეთით ოთხწახნაგოვანი ბურჯის არაპროპორციულობა დანარჩენ სამ რვაწახნაგოვან ბურჯთან (სურ. 2). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩრდილო-დასავლეთის ბურჯი, რომელიც გვიან ხანაშია აღმართული, უსწორო ფორმისაა და დანარჩენ ბურჯებთან შედარებით აშკარად მსხვილია. აღსანიშნავია, რომ სამთავისის ტაძრის XI საუკუნის ფასადებისა და გუმბათის ყელის დეკორის ფრაგმენტები, ზემოთ ხსენებული ბურჯის დასავლეთის სიბრტყის ზედა და ქვედა ოთხივე კუთხის წყობაში უადგილოდაა ჩართული, როგორც საშენი მასალა (ტაბ. 9). გარდა ამისა, ჩანს გუმბათის ყელის ქვედა წრეხაზის ოდნავ გამრუდება. აღნიშნული დეფექტები ინტერიერის მხატვრული გადაწყვეტის თავდაპირველ ფორმას გარკვეულად არღვევს.

შენიშნული ნაკლოვანებების მიუხედავად. ტაძრის შიდა ხუროთმოძღვრული ფორმები დიდი მხატვრულობით ხასიათდება. ჯვრის მკლავებისა და გუმბათქვეშა ბურჯებზე მსუბუქად გადავლებული კამარები და შიდა ხალვათი სივრცე მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს.


შიდა სივრცის ორგანიზაციას, თავის მხრივ, სავსებით შეესატყვისება გარე მასების მხატვრული გადაწყვეტის თავისებურებანი. ტაძრის ზემოთ ატყორცნილი ფასადები, რომლებიც დეკორირებული კამარებით არის შემკული, მნახველზე მონუმენტურობის შთაბეჭდილებას ახდენს. პროფი-



სურ. 4. სამთავისის ტაძრის განივი ჭრილი, დასავლეთის ხედი
Рис. 4. Самтависи — Поперечный разрез храма на запад
Fig. 4. Samtavisi. Cross-section of the church. View from east to west



სურ. 5. სამთავისის ტაძრის გრძივი ჭრილი; სამხრეთის ხედი
Рис. 5. Самтависи — Продольный разрез храма на юг
Fig. 5. Samtavisi. Longitudinal section of the church. View from north to south



სურ. 6. სამთავისის ტაძრის გრძივი ჭრილი. ჩრდილოეთის ხედი
Рис. 6. Самтависи — Продольный разрез храма на север
Fig. 6. Samtavisi. Longitudinal section of the church. View from south to north

ლირებული კამარნარი, რომელიც კედლის სისქეშია შესული (ე. ი. კედლები ამ ადგილებში შეთხელებულია), ფასადებს რელიეფურ სახეს ანიჭებს.

ძეგლის ზემოთ აზიდული მკლავები ფრონტონით, კარნიზითა და ორკალთიანი სახურავით გვირგვინდება. გრძივი ფასადების ჰორიზონტალური კალთები კი ცერად დაჭანებული ცალფერდა სახურავითაა გადახურული. ასევეა გადახურული განივი ფასადების დაცერებული კალთებიც.

ტაძრის გარეთა კედლები ყოველგვარი მინაშენების გარეშეა მოღწეული. ადრე მას სამხრეთისა და დასავლეთის მხრიდან კარიბჭეები ჰქონდა, რომელიც დაზიანების გამო გასული საუკუნის 50-იან წლებში მოუხსნიათ. ტაძრის სიგრძე უდრის 25 მეტრს, სიგანე — 18 მეტრს. მკლავების სიმაღლე გარედან ფრონტონის წვერამდე 20 მეტრია, მთელი ტაძრის სიმაღლე გუმბათის სახურავის წვერამდე კი 37 მეტრს აღწევს.

ტაძარი მოპირკეთებულია სუფთად გათლილი ღია მოლურჯო, მომწვანო, მოყვითალო და მონაცრისფრო კვადრებით. ღია მონაცრისფრო კვადრები განსაკუთრებით შენობის ქვედა ნაწილებში ჭარბობს. ფასადებზე კვადრების წყობა ძირითადად ჰორიზონტალურ მწკრივებს გაჰყვება. წყობის ნაკერები, გასული საუკუნის შეკეთების დროს, ნალესობით დაუფარავთ.


სამთავისის ტაძარს თავისი არსებობის მანძილზე მრავალი დაზიანება და აღდგენა განუცდია, რის გამოც მას ჩვენამდე პირვანდელი სახით ვეღარ მოუღწევია. კერძოდ: ჩრდილო-დასავლეთის გუმბათქვეშა ბურჯი დასავლეთის მკლავი და გუმბათი ძეგლის პირველი სამშენებლო ფენის თანადროული არ არის. გრძივ ფასადებსაც ატყვია შეკეთების კვალი. განსაკუთრებით, საუცხოოდ არის შემონახული აღმოსავლეთის ფასადი. მიუხედავად ძეგლის დაზიანებისა და შემდეგში სათანადო აღდგენისა, ტაძარს მაინც არ დაუკარგავს მთლიანი, თაედაპირველი მხატვრული სახე. რაც მთავარია ძეგლის გეგმა და ხუროთმოძღვრული ფორმები, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ძირითადად პირვანდელი სახითაა მოღწეული.

აღმოსავლეთის ფასადი

სამთავისის ტაძრის ფასადებიდან მეტად საყურადღებოა აღმოსავლეთის ფასადი, რომელიც ქართული ხუროთმოძღვრების ტრადიციის მიხედვით, როგორც წესი, განსაკუთრებით არის შემკული. იგი, მცირე შეკეთების მიუხედავად, თითქმის პირვანდელი სახითაა მოღწეული (სურ. 8, ტაბ. 5).


აღმოსავლეთის ფასადი, რომელიც აღმართულია ორსაფეხურიან ბარისზე, ხუთი კამარით და ორი ნიშათია დანაწევრებული. ცენტრალური კამარით შემოსაზღვრულ სიბრტყეზე, ერთ ვერტიკალურ ღერძზე წარმოდგენილია მოჩუქურთმებული დიდი ჯვარი (ტაბ. 10), ფაქიზი ჩუქურთმის წნულით დამშვენებული სარკმელი და ორი დეკორატიული რომბი

(ტაბ. 11). ჯვრის მკლავების ზედა და ქვედა თავისუფალ არეს მოხდენილად ავსებს ქართული ასომთავრული წარწერა. აეურული ფესტონებით შეკრული ღრმა ნიშები აღმოსავლეთის ფასადის დეკორატიულ სისტემაში



სურ. 7. სამთავისის ტაძრის განივი ჭრილი, პატრონიკეის ხედი
Рис. 7. Самтависи — Поперечный разрез храма на хоры
Fig. 7. Samtavisi. Cross-section of the church. View on the choirs

მძლავრად მოქმედი აქცენტია, რომელიც, ერთი მხრივ, მკაფიოდ ანაწევრებს სიბრტყეს, მეორე მხრივ, შინაგან სივრცეს მის გარე მასებში გამოავლენს. აღმოსავლეთის ფასადის საზეიმო განწყობილებას კიდევ უფრო



სურ. 8. სამთავისის ტაძრის აღმოსავლეთის ფასადი
Рис. 8. Самтависи — Восточный фасад
Fig. 8 Samtavisi. Eastern façade

აძლიერებს ფასკუნჯის ბარელიეფი (ტაბ. 12, 13), ყურძნისა და ბროწეულებისაგან შედგენილი მოტივები (ტაბ. 14, 15, 16), რაც მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. კამარნარი ფასადზე გასაოცარი სიზუსტითა და მოხდენილობით არის შესრულებული. ფასადის დაქანებული კალთების ნაპირებზე 3 ლილვისა და 2 წახნაგისაგან შემდგარი კონით შემოზღუდულია თითო დაბალი კამაროვანი სიბრტყე. მათ გვერდით მდებარე კედლის სიღრმეში შეჭრილ სამკუთხა ორ ნიშას გარს ევლება ლილვების უფრო დამსხვილებული კონა, რომელიც ოთხი ლილვისა და სამი წახნაგისაგან შედგება. ასევეა შემოფარგლული ლილვების კონით ცენტრალური სიბრტყე, რომელიც ფასადის ფრონტონამდეა ატყორცნილი. ფასადზე არსებული კამარნარი კედლის სიღრმეში 25 სანტიმეტრითაა შეჭრილი, რომელიც ფასადს დეკორატიულად ანაწევრებს (სურ. 8, ტაბ. 5).

აღმოსავლეთის ფასადის კუთხეებზე მდებარე პროფილირებული კაპიტელებიდან აღმართულია თითო ლილვი, რომელიც მოკაუჭებულ ადგილას, ზემოთ კვლავ კაპიტელით ბოლოვდება. ზედა კაპიტელი კედლის კუთხეზეა მოთავსებული, რომლის ქვემოთაც სტილიზებული ვაზის რქაა ამოკვეთილი. იგი მოკაუჭებულ ლილვიდან გარეთ გამოდის და ზემოთ მცენარეული ჩუქურთმის რელიეფით მთავრდება. აქვე, კედლის წიბოებზე, ვაზის რქაზე გამობმული ყურძნის მტევნები ჰკიდია. აღნიშნული დეტალები აღმოსავლეთისა და გრძივი ფასადების ურთიერთდამაკავშირებელ სამკაულს წარმოადგენენ. გარდა ამისა, განივ და გრძივ ფასადებზე არსებული ლილვების კონები შეუმჩნეველად ერწყმიან ერთმანეთს, რაც სამი ფასადის ურთიერთგადაწვნის შთაბეჭდილებას ქმნის (ტაბ. 5).

განაპირა კამაროვან სიბრტყეებში ნიშების მხარის ლილვების გვერდით ჩუქურთმით შემკული ვიწრო სარკმლებია (ტაბ. 17, 18), ხოლო ჩრდილოეთის მხარის ნახევარწრიული კამარის ქვეშ ტორაწეული ფასკუნჯის შესანიშნავი მაღალი რელიეფია მოთავსებული.

გასული საუკუნის 50-იან წლებში, ხუროთმოძღვარ რიპარდის ცნობით, ამავე კამაროვან სიბრტყეზე მეორე ფასკუნჯის ბარელიეფიც ყოფილა, რომელიც დაზიანების გამო, ძეგლის შეკეთების დროს, მოუცილებიათ [1].

თუ რიპარდის ამ ცნობას დავუჯერებთ და ორი ფასკუნჯის ბარელიეფს ერთმანეთის პირისპირ ჩრდილოეთის კამარის ქვეშ, ლილვების კაპიტელების დონეზე პერსპექტიულად წარმოვიდგენთ, მაშინ თვალსაჩინო გახდება ფასადის შემკულობაში წონასწორობის დარღვევა, ე. ი. სამხრეთის მხარის კამაროვანი სიბრტყის სიშიშვლე. ვფიქრობთ, რიპარდს ძეგლის აღწერისას მექანიკური შეცდომა მოსვლია, როდესაც მეორე ფასკუნჯის ბარელიეფს ჩრდილოეთის კამარის ქვეშ მიგვითითებს. იგი უთუოდ სამხრეთის კამარის ქვეშ შემორჩენილ დიდ კვადრზე უნდა ყოფილიყო.

---

[1] ИКИАН, т. IV. Д. Гордеев. დასახელებული შრომა, გვ. 100.

რომელიც დაზიანების გამო გასული საუკუნის შეკეთების დროს აუთლიათ.

მხატვრული თვალსაზრისით, უფრო ლოგიკური უნდა იყოს აღმოსავლეთის ფასადის ჩრდილო-აღმოსავლეთის კამარაში ერთი ფასკუნჯის მოთავსება, ხოლო მეორესი, ამავე ფასადის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეზე მდებარე კამარაში (ტაბ. 5).

აღმოსავლეთის ფასადის განაპირა კამარების გვერდით, კედლის სისქეში, ორი სამკუთხა ნიშაა შეჭრილი, რომელიც, ერთი მხრივ, საკურთხევლის აბსიდისა და მის გვერდით მდებარე სამკვეთლო-სადიაკვნოს აბსიდებით წარმოშობილ კედლის ჭარბ სისქეს განტვირთავს, ხოლო, მეორე მხრივ, მთავარ დეკორატიულ აქცენტს ქმნის. ნიშების შიგნით, ზემოთ თითო მოზრდილი სარკმელია გაჭრილი საკურთხევლის აბსიდის გასანათებლად. სარკმლები ოვალურად ამობურცული ჩუქურთმის საპირით არის დამშვენებული. სარკმლის ნაპირებს გარედან ორი ვიწრო ლილვი შემოზღუდავს, შიგნიდან კი თითო ლილვი გაჰყვება (ტაბ. 14, 15, 17, 18).

ნიშების ზემოთ, ნახევარწრიული კამარიდან ვერტიკალურად ეშვება ოთხი აჟურული ფესტონი. თითოეული მათგანი წარმოდგენილია სამყურა კუწუბის სახით. მის გარეთა ზედაპირზე, შეწყვილებულ ღარებს შორის ჩარიგებულია პაწაწა ამობურცული რგოლები, რომლებიც მარგალიტის მძივების იმიტაციას წარმოადგენს. ფესტონების ყოველი კუწუბის ზემოთ წარმოქმნილ სამკუთხედში ვაზის ორი გაშლილი ფოთოლია ამოკვეთილი, რომლის ცენტრიდანაც გამოსულ პატარა ყუნწს ყურძნის მტევანი ებმის.

ფესტონები ქვემოდან, ვერტიკალური კვეთით ორი ღრმა ღარით არის გაყოფილი, რომლის გარეთა ღარშიც წითელი ფერი შეინიშნება, შიგნითა ღარში კი — მუქი ლურჯი ფერი. ფესტონები, რომლებიც შიგნიდან ცერად დაქანებულია, მოსაპირკეთებელი კვადრების ნაწილებს წარმოადგენენ. ნიშას შიგნით დეკორატიული ნიჟარაა მოთავსებული, ხოლო თაღის სეგმენტი მარაოსებური სახითაა დანაწევრებული. აქ არსებულ ღარებში, ზოგერთ ადგილას შემორჩენილია წითელი ფერის საღებავი.

ნიშების ზემოთ, ცენტრალური კამარის ზედა კაპიტელებიდან ორი ლილვია გადმოშვებული, რომლის ბოლოებიც ტოლმკლავებიანი დეკორატიული ჯვრებით ბოლოვდება. ჯვრების ორსავე მხარეს განაპირა ლილვის ქვედა ნაწილს ვაზის რქა ებმის, რომელიც ბროწეულის კუნწულებით და ყურძნის ბოლო წახრილი თითო დიდი მტევნით ბოლოვდება (ტაბ. 5, 14, 15, 16).

აღმოსავლეთის ფასადის კალთების ქვემოთ, ე. ი. განაპირა კამარების ზემოთ, თავისუფალ არეზე თითო მცირე ზომის უჩუქურთმო მრგვალი სარკმელია მოთავსებული. აღნიშნული სარკმლები სამკვეთლო-სადიაკვნოს ზემოთ არსებულ პატრონიკენის გასანათებლად იყო გაჭრილი. ამგვარი სარკმლები, გარკვეული მანძილიდან მოჩანს ჩრდილოეთისა და სამხ-

რეთის მკლავების აღმოსავლეთის კედლების ქვემოთაც, რაც მკლავების შიგნითა სივრცის გასანათებლად იყო გათვალისწინებული.

აღმოსავლეთის ფასადზე დეკორატიული კამარები ატყორცნილია ფასადის მთელ სიმაღლეზე. ფასადის გვერდებზე ცერად დაქანებული უჩუქურთმო მარტივი პროფილის მქონე კარნიზამდე აზიდულია ზემოთ აღწერილი კამარებით შემოზღუდული სიბრტყეები, მათ შუაში კი, ცენტრალური კამაროვანი არე ფასადის ფრონტონის ორმაგად პროფილირებულ ჩუქურთმით შემკულ კარნიზამდე აღწევს (სურ. 8, ტაბ. 5).

ფრონტონის კარნიზის ქვედა ლილვის ცენტრიდან მცირე მანძილზე ერთი ლილვი ქვემოთ ეშვება, რომელიც ცენტრალურ კამარას პერპენდიკულარულად ებჯინება. აღმოსავლეთის ფასადის ცენტრალური კამარის არეში, ერთ ვერტიკალურ ღერძზე წარმოდგენილია დეკორატიული დიდი ჯვარი, საკურთხევლის აბსიდის ცენტრალური, საკმაოდ მოზრდილი სარკმელი და შეწყვილებული რომბები.

ნახევარწრიული კამარის ზემოთ ცენტრიდან გამოსული ოთხი ლილვისა და ორი წახნაგისაგან შემდგარი ვერტიკალური კონა ორად იყოფა და ფრონტონის ქვემოთ, კედლის სიბრტყიდან ამობურცულ ჩუქურთმით შემკულ ჯვარს გარშემო ერტყმის. აქ ჯვრის მკლავების გადაკვეთის ადგილას მცირე ზომის რელიეფური კოპია ამოწეული, რომელსაც პაწაწა ბურთულების მწკრივი შემოფარგლავს. დეკორატიული ჯვრის მკლავებში, დიდ კვადრებზე ულამაზესი ქართული ასომთავრული, ე. წ. ტყუბწვეტოვანი წარწერაა (ტაბ. 10). ჯვრის ქვემოთ ლილვების კონები მცირე წრეხაზს კრავს, რომელშიც ჩუქურთმის ნაზი წნულით დამშვენებული კოპია პატარა ბურთულების წრეხაზით შემოზღუდული (ტაბ. 19). კოპის ქვემოთ ლილვების კონა შემოფარგლავს დიდი სარკმლის მინანქარივით ფაქიზ ჩუქურთმიან საპირეს. სულ ბოლოს, ქვემოთ ლილვები გარს ევლება რომბების სახით წარმოდგენილ ორ კვადრატს, რომელიც ჩუქურთმის შესანიშნავი წნულითაა შემკული (ტაბ. 11).

ჩუქურთმის წნული რომბებში ჩარჩოს სახითაა ამოკვეთილი, რომლის შიგნითა კვადრატებში ჩუქურთმიანი კოპებია ამობურცული. კვადრატების კუთხეებში წრიული ფორმის კოპები პატარა სამკუთხედებს წარმოშობს, რომელიც წითელი ფერითაა შეღებილი. დასასრულ, რომბების ლილვების კონა ქვემოთ კვლავ ერთიანდება და პროფილირებული ბაზისებით ორსაფეხურიან ხარისხს ემყარება.

აღმოსავლეთის ფასადზე მოჩანს მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელო შეკეთების კვალი; კერძოდ: ფასადის ჩრდილოეთის სარკმლის ზემოთ მარცხენა ჩუქურთმიანი საპირე გვიან ხანაშია შეკეთებული. ასევე აღდგენილი ჩანს ცენტრალური დიდი სარკმლის ქვედა ნაწილი, ფასადის ორსაფეხურიანი ხარისხი და ქვედა კვადრების ოთხი მწკრივი (ტაბ. 5, 11).


სამხრეთის ფასადი

აღმოსავლეთის ფასადის შემდეგ, როგორც ყოველთვის, მხატვრული შემკულობის თვალსაზრისით სამხრეთის ფასადია საყურადღებო (სურ. 9, ტაბ. 6). სამხრეთის ფასადი, რომელიც დანაწევრებულია ლილვების კონებისაგან შემდგარი ცხრა კამარნარით, სამ ნაწილად იყოფა. სამი მაღალი კამარა მკლავის მთელ სიმაღლეზეა ატყორცნილი, სამ-სამი კამარა კი, ფასადის გვერდითი დაბალი კალთების ერთპროფილიანი უჩუქურთმო კარნიზის ქვემოთ სწორხაზოვნად არის განაწილებული. ლილვების ვერტიკალური კონები, რომლებიც სამი ლილვისა და ორი წახნაგისაგან შედგება, ერთმანეთზე ნახევარწრიული ფორმის კამარებითაა გადაბმული. სამხრეთ-აღმოსავლეთის კალთის სახურავის ზემოთ არსებული ფასადის სიბრტყე დანაწევრებულია ხუთი კამარით; ამგვარი კამარნარი დასავლეთის მკლავის საშხრეთის ფასადზე არ გვხვდება; ცნობილია, რომ ძეგლის ამ ნაწილს დაზიანება განუცდია, ხოლო აღდგენისას, როგორც ჩანს, იგი კამარნარით აღარ შეუმკიათ.

ფასადზე წარმოდგენილი სამი მაღალი კამარა სამხრეთის მკლავის მთელ სიმაღლეზეა აზიდული. აქ მისი ცენტრალური კამარა უფრო მაღლა აწეული, ისე რომ, კამარები ფრონტონში თანაბარი მანძილით უახლოვდება ორმაგად პროფილირებულ უჩუქურთმო კარნიზს. ცენტრალურ კამარაში ზემოთ დიდი სარკმელია მოთავსებული, რომლის ჩუქურთმიანი საპირე ვიწრო ლილვითაა შემოზღუდული. სარკმლის ზემოთ, ნახევარწრიული კამარის ქვეშ. წრიული ფორმის ჩუქურთმიანი ვარდულია მოთავსებული (ტაბ. 20).

ფასადის დასავლეთის მხარის კალთაზე წარმოდგენილი სამი კამარა არათანაბარი განისა და სიმაღლისაა. კამარების განი და სიმაღლე დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით თანდათანობით მატულობს. კამარების ზომების სხვაობა ნაკლებად შესამჩნევია, რადგან ეს ხდება თანდათანობით. დასავლეთის კალთის კამარების გაფართოება ცენტრალური კამარების მიმართულებით, ე. ი. სიმეტრიის საგანგებო დარღვევა, ფასადს რიტმული დინამიკის გარკვეულ შთაბეჭდილებას ანიჭებს. რაც შეეხება ფასადის აღმოსავლეთის კალთის სამ კამარას, იგი თანაბარი განითა და სიმაღლითაა წარმოდგენილი. შუა კამარაში ოდნავ ქვემოთ მცირე ზომის ჩუქურთმით შემკული მრგვალი სარკმელია გაჭრილი სადიაკვნოს გასანათებლად. ამჟამად სარკმელი შიგნიდან თხელი ქვის ფილითაა დახშული (ტაბ. 21). აქვე, აღმოსავლეთის კიდეზე. კამარის კაპიტელის ზემოთ წარმოდგენილია ზუსტად ისეთივე მცენარეული რელიეფი და მოკაუჭებული ლილვი, როგორიც აღმოსავლეთის ფასადის ნაპირებზეა მოთავსებული. ხოლო ყურძნის მტევანი და ზედა ლილვის კაპიტელი გრძივ და განივ ფასადთა საზიარო სამკაულს წარმოადგენს (ტაბ. 22).

სამხრეთის ფასადის დიდი სარკმლის მარჯვნივ აღმოსავლეთით თაღო-




სურ. 9. სამთავისის ტაძრის სამხრეთის ფასადი
Рис. 9. Самтависи — Южный фасад
Fig. 9. Samtavisi. Southern façade

ვან სიბრტყეში ჰორიზონტალურად ჩასმულია ლილვებით შემოზღუდული ჩუქურთმიანი გრძელი ქვა. ჩვენთვის უცნობია, თუ რისთვის დასჭირდა ძეგლის აღმდგენელს ჩუქურთმის ფრაგმენტის უადგილო ადგილას ფასადზე მოთავსება. იგი XI საუკუნის ჩუქურთმაა. ასევე საინტერესოა, აღნიშნული ფრაგმენტი რისი ნაწილია და როდის მოხვდა სამხრეთის ფასადის წყობაში. იგი საგრძნობლად ვიწრო და გრძელი ფორმისაა. სამთავისის დღევანდელი ტაძრის არც ერთ სარკმელს თითქოს ამგვარი საპირე არ უნდა ჰქონოდა. ვარაუდის სახით შეიძლება იგი ვიგულისხმოთ სამხრეთის ან დასავლეთის მხარის კარიბჭის რომელიმე სარკმლის საპირედ. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ იგი რიპარდის (1850 წ.) დროსაა კედელში ჩასმული. ამჟამად, სამხრეთის ფასადზე დასავლეთიდან მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე ლილვების კონა, ოთხი მეტრის სიმაღლეზე, ჰორიზონტალურად ვიწრო კარნიზითაა გადაკეთილი. კარნიზის ქვემოთ ფასადის ლილვების კონა სულ სხვა სახითაა წარმოდგენილი (ტაბ. ბ). კერძოდ აქ, ლილვებისა და წახნაგთა რაოდენობა გაზრდილია, აგრეთვე ლილვების წყვილ კონათა შორის პილასტრებია ჩართული. კარნიზიდან ერთი მეტრის ქვემოთ ლილვების დამსხვილებულ კონას ჩუქურთმით შემკული პროფილირებული კაპიტელები ამშვენებს. სულ ქვემოთ კი, ლილვები ებჯინება ფასადის წახნაგიან კვარცხლბეკს. ორ კარნიზს შორის მოქცეულ არეზე, ე. ი. ფასადის მესამე კამაროვან სიბრტყეში ქვემოთა კაპიტელებზე ნახევარწრიული ფორმის კამარაა გადაყვანილი. აქვე მარჯვენა პილასტრზე ლამაზი ჩაკვეთილი ასომთავრული წარწერის მკრთალი კვალი მოჩანს. იგი, როგორც ირკვევა, გასული საუკუნის შეკეთების დროს აუთლიათ.

აღწერილი დეტალები, ცხადია, ფასადზე მიშენებული ნაგებობის ინტერიერის ჩრდილოეთის კედლის ხუროთმოძღვრული დეკორია. როგორც რიპარდის მიერ 1847 წელს შესრულებული სამთავისის ტაძრის გეგმისა და ფასადების ანაზომების მიხედვით ირკვევა, სამხრეთის ფასადზე მიშენებული ნაგებობა დასავლეთის კიდიდან იწყებოდა და მთავრდებოდა ფასადის ცენტრალური კამარის აღმოსავლეთის ლილვის გვერდით. მისი საერთო გარეთა სიგრძე, რიპარდისეული ანაზომების მიხედვით, 12 მეტრი უნდა ყოფილიყო, ხოლო სიგანე — 4 მეტრი. ამრიგად, მინაშენის გეგმა საკმაოდ დაგრძელებულ სწორკუთხედს წარმოადგენდა, რომლის შიგნითაც აღმოსავლეთის მხარე სწორკუთხედით ბოლოვდებოდა. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, რიპარდისეული ანაზომების მიხედვით შესაძლებელია რამდენადმე ზუსტად აღვადგინოთ სამხრეთის მხარის მინაშენის ინტერიერის მხატვრული გადაწყვეტა, ხოლო ზოგადად წარმოვიდგინოთ მისი გარეთა მასები და ხუროთმოძღვრული ფორმები (სურ. 13).

ტაძრის ფასადზე შემორჩენილი კარიბჭის პილასტრებიანი ლილვების კონა კაპიტელის ზემოთ კედლის სიბრტყიდან ოდნავ გადმოწეულია, რაც იმის მანიშნებელია, რომ კარიბჭის შიგნით, ცილინდრული თაღი პილასტრებზე დამყარებული ოთხი პროფილირებული კამარით იქნებოდა დანა-



სურ. 10. სამთავისის ტაძრის ჩრდილოეთის ფასადი
Рис. 10. Самтависи — Северный фасад
Fig. 10. Samtavisi. Northern façade

წევრებული. ცხადია, კარიბჭის სამხრეთის კედლის შიგნით ისეთივე ლილვების კონები იქნებოდა, როგორიც დღეს ტაძრის სამხრეთის ფასადზეა შემორჩენილი (ტაბ. 23, 24).

რიპარდისეულ ანაზომებში სამხრეთის მხარის კარიბჭეს გარედან შესასვლელი არ უჩანს. როგორც ცნობილია, შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ისეთ ძეგლებს, როგორიცაა ოშკი, მანგლისი, ბაგრატის ტაძარი, ნიკორწმინდა, სვეტიცხოველი, სამთავრო, ალავერდი, სავანე და სხვ. ტრადიციულად კარიბჭეებში შესასვლელები სამხრეთის მხრიდან ჰქონდათ. თუ რიპარდისეულ კარიბჭის ანაზომზე შესასვლელი კარი არ არის დატანილი, ეს უთუოდ მისი დიდი დაზიანებით აიხსნება, ანდა შესაძლოა რიპარდს კარიბჭის კარი ამოშენებულიც კი დახვდა ძეგლის აზომვის დროს. კარიბჭე ტაძართან ტიმპანიანი დიდი პორტალით იყო დაკავშირებული. რომელიც გასული საუკუნის შეკეთების დროს იქნა ამოშენებული. აღნიშნული კარიბჭის ინტერიერი დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან გაჭრილი მცირე სარკმლებით ნათდებოდა.

კარიბჭის შუა ადგილი, რომელიც ამაღლებული ყოფილა, გარედან ორფერდიანი სახურავით იყო გადახურული. შიგნიდან აღნიშნული ადგილი, სავარაუდოა, ჯვრული თაღით ყოფილიყო წარმოდგენილი. გვერდითი ცილინდრული თაღები კი ჩრდილო-სამხრეთის მიმართულებით ცერად დაქანებული ერთფერდიანი სახურავით იყო დახურული (იხ. ტაბ. 12). რადგან რიპარდის ანაზომებში არ არის აღნიშნული კარიბჭის ფასადთა შემკულობა, ამიტომ ძნელია დაბეჯითებით რაიმეს თქმა. ისე კი, რა თქმა უნდა, იგი გარედანაც ისევე მომხიბლავი იქნებოდა, როგორც ფასადზე შემორჩენილი მისი ინტერიერის ლილვების კონები და მოხდენილი ჩუქურთმიანი კაპიტელებია (სურ. 13).

სამთავისის ტაძრის ჩრდილოეთის ფასადი, რომელიც სამხრეთის ფასადის ზუსტ პირს წარმოადგენს, როგორც თავისი ცხრა კამარით და დეკორის მოხაზულობით, ისე მისი აღმოსავლეთის ფასადთან ჰარმონიული გადაბმით სამხრეთის ფასადთან შედარებით განსხვავებულს არაფერს შეიცავს და ამიტომ მის აღწერაზე აღარ შევჩერდებით (სურ. 10, ტაბ. 8).

ჩრდილოეთის ფასადი სამხრეთის ფასადისაგან განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ მის დასავლეთის მხარის მესამე კამარაში, გვიან ხანაში გაჭრილ მცირე ზომის კარს არ გააჩნდა მინაშენი. გარდა ამისა, ცენტრალური კამარის სარკმლის საპირე ამობურცული გლუვი ზედაპირითაა წარმოდგენილი. ხოლო სარკმლის ზემოთ არსებული ვარდული ზოგად კონტურებშია შესრულებული.

დასავლეთის ფასადი

ზემოთ აღნიშნულ ფასადებთან შედარებით დასავლეთის ფასადი თავისი შემკულობით ნაკლებად საყურადღებოა, რაც აიხსნება იმით, რომ მას

გვიანი ხანისა და გასული საუკუნის აღდგენების დროს სრულიად დაუკარგავს პირვანდელი სახე (სურ. 11, ტაბ. 7).

დასავლეთის ფასადის ცენტრში მოთავსებული პორტალი, რომლის ნაპირებიც დეკორირებული ლილვებითაა დაფარული, მნახველზე არც თუ ისე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს, რადგან ლილვები და მასში ჩართული ჩუქურთმის სარტყელი, რომელიც ამ საუკუნის დასაწყისშია შესრულებული, მოკლებულია მხატვრულ გემოვნებას. პორტალის გარშემო არსებული „სამკაული" თავისი შესრულების ტექნიკითა და მხატვრული დამუშავებით სრულიად განსხვავდება ტაძრის დანარჩენი ფასადების დეკორისაგან.


პორტალის ზემოთ შეწყვილებული ორი სარკმელია გაჭრილი. სარკმლებს შორის ჯვრის ქვედა, გრძელი მკლავია მოთავსებული. ტრაპარდისეული ანაზომებიდან ჩანს, გასული საუკუნის 50-იან წლებამდე ჯვარს დაზიანებული ზედა მკლავებიც გააჩნდა, რომელიც ძეგლის შეკეთების დროს მოუხსნიათ (სურ. 12). შეწყვილებული სარკმლების საერეებში 15 სხვადასხვა სახის ჩუქურთმა შეინიშნება. თითოეული ჩუქურთმა გასაოცარი სილამაზისაა. აქ არსებული ჩუქურთმები ებმის ერთმანეთს, ამიტომ სარკმლების დეკორი ერთბაშად ძნელი აღსაქმელია და ამდენად მოსაწყენიც. სარკმლებს შორის შემორჩენილ ჯვრის ქვედა მკლავში მოთავსებულია 3 სხვადასხვა კვეთის ჩუქურთმა.

დღეისათვის დასავლეთის ფასადზე, გარდა პორტალის, ჯვრის ქვედა მკლავისა და მის გვერდებზე არსებული სარკმლებისა სხვა არაფერია შემორჩენილი. გვიანფეოდალურ ხანაში, როგორც ცნობილია, დასავლეთის ფასადს დიდი დაზიანებისა და აღდგენების შედეგად იმდენად შეუცვლია სახე, რომ იგი დანარჩენი ფასადების პირვანდელ მხატვრულ გადაწყვეტასთან სრულიად შეუსაბამოა.


ფასადის ცენტრალურ ნაწილში აშკარად შეინიშნება ახალი, ღია ნაცრისფერი ქვების წყობა, რომელიც ზოგიერთ ადგილებში ჰორიზონტალურ მწკრივებს არ გასდევს. ძველ წყობაში კი, სადაც მუქი ნაცრისფერი ქვაა ნახმარი, ძირითადად სწორ ხაზებზეა განლაგებული (ტაბ. 7).

დასავლეთის ფასადი დღეს თუ ნაკლებად საყურადღებოა თავისი ხუროთმოძღვრული ფორმებითა და შემკულობით, სამაგიეროდ იგი განსაკუთრებით საინტერესოა იმ ხუთი ასომთავრული წარწერით, რომელიც გვაუწყებს ტაძრისა და კარიბჭის როგორც აგების, ისე მისი აღდგენის თარიღს, რაზედაც ქვემოთ საგანგებოდ შევჩერდებით.

აღმოსავლეთისა და გრძივი ფასადების შემკულობის აღწერას შემდეგ, ბუნებრივია, დაგვებადება აზრი — თუ როგორი სახით იქნებოდა დასავლეთის პირვანდელი ფასადი. ამ მიზნით შეიძლება დავუშვათ, რომ დასავლეთის ფასადის სიბრტყე ხუთი კამარით იქნებოდა დანაწევრებული, რომლის განაპირა ლილვები გადაებმებოდა გრძივი ფასადების კიდეებზე



სურ. 11. სამთავისის ტაძრის დასავლეთის ფასადი
Рис. 11. Самтависи — Западный фасад
Fig. 11. Samtavisi. Western façade



სურ. 12. სამთავისის ტაძრის რიპარდისეული ანაზომები

Рис. 12. Самтависи — Обмеры храма, выполненные Рипарди

Fig. 12. Samtavisi. Measurements of the church made by Ripardi

აღმართულ ლილვების კონას და ამით ძევლი მთლიანად მოექცეოდა დეკორატიული სისტემის ბადეში.

დასავლეთის ფასადი კიდევ უფრო საინტერესო და მიმზიდველი იქნებოდა, თუ მის განაპირა სიბრტყეებში, გარედან ამოშენებულ მცირე ზომის სარკმლებსაც გაეხსნიდით; გარდა ამისა, თუ პორტალს, დიდ ჯვარსა და მის ქვედა მკლავის გვერდებზე ორივე მხარეს მდებარე სარკმლებს ძეგლის თანდართული დეკორით შევამკობდით, მაშინ ფასადი სრულყოფილ სახეს მიიღებდა.

გასული საუკუნის შეკეთებამდე დასავლეთის ფასადზე მინაშენის ნაშთი იყო შემორჩენილი, რომელიც, რიპარდის ანაზომების მიხედვით, სამი სათავსისაგან შედგებოდა. მინაშენი ფასადის სამხრეთის კიდიდან იწყებოდა და დაახლოებით 15 მეტრის სიგრძეზე მთავრდებოდა. რიპარდს ტაძრის გეგმისა და ფასადების ანაზომების შესრულების დროს დასავლეთის მინაშენის სამხრეთის ნაწილი, რომელიც კვადრატული ფორმის სათავსს წარმოადგენდა, თითქმის სულ დანგრეული დახვედრია, რის გამოც მინაშენის ამ ნაწილის კარი და სარკმელი ნახაზებზე ვეღარ დაუტანია (სურ. 12). მინაშენის შუა ნაწილი, რომელიც ფასადის ცენტრში გაჭრილ კარზე იყო მიდგმული, კარიბჭე უნდა ყოფილიყო. ჩრდილოეთის მხარის სათავსში,



სურ. 13. სამთავისის ტაძრის პერსპექტიული რეკონსტრუქცია

Рис. 13. Самтависи — Перспективная реконструкция храма

Fig. 13. Samtavisi. Prospective reconstruction of the church.

ძველი გეგმის მიხედვით, მცირე ზომის დარბაზული ეკლესია არსებობდა, რომელშიც მოხვედრა მხოლოდ კარიბჭიდან ხერხდებოდა. ეკლესია შიგნიდან სრულიად სადა და მარტივი ფორმისა ყოფილა, რომელსაც აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდი ჰქონდა. ინტერიერის გასანათებლად ჩრდილოეთის მხარეზე ერთი სარკმელი იყო გაჭრილი. დასავლეთის მხარის სამნაწილიანი მინაშენი ორფერდიანი გადახურვის ქვეშ უნდა ყოფილიყო მოქცეული.

ამრიგად, ძეგლის სავარაუდო რეკონსტრუქცია რამდენადმე სრულყოფილ შთაბეჭდილებას გვიქმნის დასავლეთის პირვანდელი ფასადის მხატვრულ გადაწყვეტაზე (სურ. 13).

ტაძრის ჯვრის მკლავების ურთიერთგადაკვეთით მიღებული კვადრატი აფრების საშუალებით პირდაპირ წრეხაზზე გადადის, რომელზედაც აღმართულია გუმბათის ყელი თავისი მაღალი კარავით (სურ. 2, 3—6). გუმბათის ყელის დიამეტრიც და სიმაღლეც 8 მეტრს უდრის; ამავე სიმაღლეზეა აზიდული გუმბათის კარავი. შორი მანძილიდან ძეგლის დათვალიერების დროს აშკარად შეინიშნება ტაძრის მასებისა და გუმბათის ურთიერთარაპროპორციულობა. აღნიშნული გარემოება მეტყველებს, რომ გუმბათი ტაძრის პირვანდელი სამშენებლო ფენის სინქრონული არ არის. ამას ისიც ადასტურებს, რომ გუმბათის ყელზე მოთავსებული დეკორი და სარკმლების გლუვად ამობურცული საპირეები სრულიად შეუსაბამოა ძეგლის მხატვრული შემკულობის თავდაპირველ ფორმებთან (ტაბ. 1, 3, 8).

როგორც ცნობილია, გვიანფეოდალურ ხანაში, რაღაც კატასტროფის შედეგად ჩამოინგრა ტაძრის შიგნითა, გუმბათქვეშა ჩრდილო-დასავლეთის ბურჯი, რამაც შემდეგ გუმბათის ჩამოქცევა გამოიწვია. გუმბათის ჩრდილო-დასავლეთის ნაწილის ჩამოვარდნის დროს განსაკუთრებით დაზიანებულა დასავლეთის ფასადი, ნაწილობრივ კი ჩრდილოეთის ფასადის დასავლეთის მხარე. ძეგლის აღდგენისას დაზიანებული ჩრდილოეთის ფასადისათვის დაუბრუნებიათ პირვანდელი სახე, ხოლო გუმბათქვეშა ჩრდილო-დასავლეთის ბურჯი, გუმბათი და დასავლეთის კედელი თავიდან აუშენებიათ [1].

როგორც აკადემიკოსი ნ. სეველოვი აღნიშნავს, ჩამოქცეული გუმბათის ყელის სარკმლების გადარჩენილი ჩუქურთმიანი ქვები ძეგლის აღდგენის დროს დასავლეთის ფასადის შეწყვილებული სარკმლების საპირეებში ჩაუსვამთ [2] (ტაბ. 25). დასავლეთის ფასადის ახლანდელი სარკმლის დეკორი რომ თავდაპირველად გუმბათის სარკმლების სამკაულს წარმოადგენდა, ეს მისი რელიეფის კვეთის ხასიათით დასტურდება. ამგვარი ჩუქურთმები, როგორც წესი, იხმარებოდა გუმბათის ყელზე და მისი რელიეფის ღრმა კვეთა შორი მანძილიდან დასანახავად იყო გათვალისწინებული.

გუმბათის ყელი 13 წახნაგისაგან შედგება. ამათგან მხოლოდ 7 წახნაგია სარკმლით გახსნილი; დანარჩენი 6 წახნაგი კი ცრუ სარკმლითაა წარმოდგენილი, ე. ი. თითო წახნაგის გამოშვებით სარკმელია გაჭრილი. ამ მხრივ ერთ გამონაკლისს წარმოადგენს გუმბათის ყელის ჩრდილო-აღმოსავლეთის ორი წახნაგი, რომლებშიც სარკმლებია გახსნილი. სარკმლების

---

[1] ИКИАИ, т. IV, Гордеев. დასახ. ნაშრ., გვ. 116. ე. ბერძენიშვილი, ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967, გვ. 120.

[2] Н. Северов. დასახ. ნაშრ., გვ. 201.

:გარშემო ვიწრო ლილვებით შემოსაზღვრულია გლუვი საპირეები. რომელიც გუმბათს აშკარად ნაკლებად მხატვრულ ელფერს ანიჭებს.

გუმბათის ყელის ქვედა წრეხაზზე, ვერტიკალურად აღმართული, წიბოზე მოთავსებული ლილვები, ზემოთ ორი ლილვის წრეხაზი და სახურავის ქვეშ მოთავსებული დაბალი რელიეფის მქონე ჩუქურთმიანი კარნიზი გუმბათს, შემკულობის თვალსაზრისით, თითქმის არაფერს მატებს.

გუმბათის კარავი სუფთად გათლილი ლორფინებით იყო გადახურული, ხოლო ტაძრის მკლავები და მისი დაქანებული კალთები კი თხელი თუნუქით. მკლავების ფრონტონის კეხებზე დადგმულია მცირე ზომის გუმბათოვანი ტაძრის ფორმის აკროტერები.

ძეგლის აღწერის დასასრულს, თუ გუმბათის პირვანდელ ფორმებს პერსპექტივაში წარმოვიდგენთ და მის ყელზე სარკმლების საპირეებსა და მის ზემოთ არსებულ კარნიზს თავისი ეპოქის შესაბამისი ჩუქურთმებით შევამკობდით, ასევე, თუ გუმბათის აზიდულ სახურავს პროპორციულად დავადაბლებდით, მაშინ გუმბათი წარმოგვიდგებოდა ძეგლის საერთო დეკორატიული სისტემის განუყოფელ ნაწილად (სურ. 13, ტაბ. 26).

კედლის მხატვრობა

ინტერიერში კედლის მხატვრობა შემორჩენილია მხოლოდ გუმბათსა და საკურთხეველში (ტაბ. 27). დანარჩენი კედლები და თაღები, რომლებზედაც მხატვრობა ფრაგმენტულად იყო მოღწეული, გასული საუკუნის 50-იან წლებში ძეგლის რესტავრაციის დროს სქელი ნალესობით დაუფარავთ [1].

საკურთხეველის მხატვრობა, გარდა კონქისა, წარმოდგენილია სამი რეგისტრით. კონქში მოცემულია ვედრების კომპოზიცია. შუაში გამოსახულია საყდარზე მჯდომი მაცხოვარი. საყდრიდან გაირჩევა მუთაქის მარჯვენა ნაწილი და თვით საყდრის ფეხები, რომლებიც სადადაა შემკული. ქრისტეს მარცხენა მუხლზე დიდი ზომის გახსნილი წიგნი უდევს, რომელიც მარცხენა ხელით უჭირავს, მარჯვენა ხელი კი კურთხევის ნიშნად მკერდის წინ აქვს აღმართული. სახარებაზე, შავი ფერის საღებავით შესრულებული ოთხსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა მოთავსებული (ტაბ. 28, 29).

---

[1] სამთავისის ტაძრის საკურთხეველის აბსიდის კედლის მხატვრობის შესწავლის მიზნით 1964 წელს, ივნისში ჩვენთან ერთად მიველინებული იყო სამთავისში საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ი. ჯანდიერი. აღნიშნული მივლინების დროს საქართველოს ძეგლთა დაცვის სამმართველოს სარესტავრაციო სახელოსნოს მხატვარი რესტავრატორები შ. აბრამიშვილი და კ. ბაკურაძე აწარმოებდნენ სამთავისის ტაძრის საკურთხეველში დახიანებული ფრესკების რესტავრაციას. ტაძრის შიგნით აღმართული ხარაჩოებით შესაძლებლობა მოგვეცა შეგვესრულებინა საკურთხეველის აბსიდში შემორჩენილი ქართულ-არაბული წარწერების კალკირება.

მხედრული ტრანსლიტერაციით და ქარაგმების გახსნით:

„მე ვ(ა)რ // ნ(ა)თ(ე)ლი // სოფლი // სა:. რო(მე)ლი//
შემო(მ)ი // დგ(ე)ს
მე:. // არა:. ვი // დოდ(ე)ს ბნ ელსა:.“
(იოანე, თავი VIII, მუხლი მე-12)


კონქის კომპოზიციაში, ქრისტეს ორსავე მხარეს ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელია გამოსახული ვედრების ტრადიციულ პოზაში. ქრისტესა და ღვთისმშობლის სახეები წვეთისაგან ძალიან დაზიანებულია. შედარებით უკეთაა შემონახული ნათლისმცემლის სახე და მთელი ფიგურა. ნათლისმცემლის შარავანდს ქვემოთ დაზიანებული ბერძნული წარწერაა მოთავსებული: [α] γιος ιῶι (Ιωαννης) „წმინდა იოანე“ (ტაბ. 30).

ღვთისმშობლისა და ნათლისმცემლის ორივე მხარეს მთავარანგელოზებია წელამდე გამოსახული. ღვთისმშობლის უკან, მისგან მარჯვნივ, კონქის უპროფილო კაპიტელის ზემოთ მთავარანგელოზის წელამდე გამოსახულების მხოლოდ მკრთალი კონტურია შემორჩენილი. აღნიშნული ფიგურის მოპირდაპირე მხარეს, ე. ი. ნათლისმცემლის უკან, მის მარცხნივ წარმოდგენილი წელამდე გამოსახული ფიგურა შედარებით კარგადაა მოღწეული. აღნიშნული გამოსახულების შარავანდედის ზემოთ ორსტრიქონიანი, თეთრი ფერით შესრულებული ასომთავრული წარწერა გაირჩევა ΨЪ[Ѩ]ΒΦΘ[Ⴀ]. ϴΘϴ:. ⴂⴗЪЪⵖ, რომელიც შემდეგნაირად იკითხება „ჯ(ე)ლნწ(ი) ფ(ება) თა // მთ(ავა)რ ა(ნ)გ (ე)ლ(ო)ზ // ი“ (სურ. 14, ტაბ. 31), მის ქვემოთ ექვსსტრიქონიანი საქტიტორო ხასიათის საკმაოდ დაზიანებული წარწერაა შემორჩენილი (ტაბ. 32). ღვთისმშობლის ფიგურის მარჯვნივაც ყოფილა წარწერა, რომელიც წვეთით ისეა ჩამორეცხილი, რომ გარდა სამი ასოსი Ϭⵔⵗ (ცხე), სხვა რამის ამოკითხვა უკვე შეუძლებელია.

ვედრების ზემოთ, მაცხოვრის თავის გასწვრივ, თეთრი ფერის მედალიონში სულიწმინდის სიმბოლიური გამოსახულებაა წარმოდგენილი შარავანდმოსილი მტრედის სახით. ბემის საჭექი თაღის ცენტრში მედალიონში გამოსახულია „ძველი დღეთაჲ“, პირი ღმრთისა — მოხუცის სახით (ტაბ. 33). მედალიონს ანგელოზთა დასი ამაღლებს (ტაბ. 34, 35). ანგელოზთა დასის ქვემოთ კი კვლავ წელამდე გამოსახული მთავარანგელოზთა მოხდენილი ფიგურებია, რომლებსაც ორივე ხელი ქრისტესაკენ აქვთ მიმართული ვედრებით. მათ თავებთან ორფენოვანი შარავანდები გაირჩევა. შარავანდების ზედა ფენა ქვედა ფენაზე გაცილებით მცირე დიამეტრისაა.

ტრანსეპტის თაღში ანგელოზთა დასია გამოსახული. ცენტრში ქერუბიმია წარმოდგენილი, გვერდებზე კი — „საყდარნი“. მათ ქვემოთ თითო-თითო ანგელოზთა წელამდე გამოსახული ფიგურებია (ტაბ. 33, 35). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქერუბიმის მარჯვენა მხარეს (სამხრეთით) „საყდართან“ მკაფიოდ მოჩანს ასომთავრული Ⴒ (ვ). სხვა დაზიანებული

ასოების გათვალისწინებით შეიძლება აღდგეს სიტყვა „თვალმრავალი“. გუმბათქვეშა აღმოსავლეთის მხარის ბურჯების შვერილის ცენტრში მომწვანო-ოქროსფერ მედალიონში ჩახატულია ტოლმკლავებიანი „ჯვარი ძლევისაჲ“. მედალიონის მარცხნივ მოსე, მარჯვნივ კი — დავით წინასწარ-




სურ. 14. სამთავისი, წარწერა: ხელმწიფებათა მთავარანგელოზი
Рис. 14. Самтависи — Надпись: тронный архангел
Fig. 14. Samtavisi. Inscription: The Throne Archangel

მეტყველებია გამოსახული. დავითს თავზე გვირგვინი ადგას, მოსე კი მხოლოდ შარავანდმოსილია. ორივე მარჯვენა ხელით კურთხევას გამოსახავს, მარცხენა ხელში კი გაშლილი გრაგნილები უჭირავთ, რომლებზედაც წარწერები იმდენად დაზიანებულია, რომ წაკითხვა ვეღარ ხერხდება. დავით და მოსე წინასწარმეტყველების ქვემოთ ამავე შვერილებზე თითო წინასწარმეტყველია წარმოდგენილი, რომელთაგან ერთი წინასწარმეტყველი დანიელია, ხოლო მეორე — განმარტებითი წარწერისა და მხატვრობის დაზიანების გამო ჩვენთვის გაურკვეველია (ტაბ. 33).


სამხრეთისა და ჩრდილოეთის გუმბათქვეშა ბურჯების ამავე სიბრტყეებზე, უპროფილო კაპიტელის ქვემოთ კვლავ წინასწარმეტყველების თითო ფიგურაა. სამხრეთ-აღმოსავლეთ ბურჯის კაპიტელის ქვემოთ წარმოდგენილი ფიგურის თავთან იკითხება: ⳩ⳟⳡⳉ ⳱ⳟⳣⳮⳇⳭ: ⳐⳌ⳪ⳐⳌ მთ (ავა)რი:. წ(ინასწა)რ (მე)ტყ(ველ)ი:. ე(ე)ქ(ი)ელ:. მას გაშლილი გრაგნილი უპყრია ხელთ, რომელზეც შეიდსტრიქონიანი წარწერაა ⳡ⳪: ⳩⳪Ⳮ-

ჴ̃ⷮ ყრ: ⷯრⷯ: ⷯⵒⵒⷯⵜⷯⵁ:. რ(ამეთუ) მე გ(ი)ხ(ილ)ე შ(ე)ნ ბ(ა)გე გ(ა)ვ-
ღ(ე)ბელო: (სურ. 15).



სურ. 15. სამთავისი, წარწერა: წინასწარმეტყველი ეზეკიელი
Рис. 15. Самтависи — Надпись: пророк Иезекииль
Fig. 15. Samtavisi. Inscription: The Prophet Ezekiel

ჩრდილო-აღმოსავლეთის გუმბათქვეშა სვეტის კაპიტელის ქვემოთ წარმოდგენილია ერთი წინასწარმეტყველი მაღლა აწეული გაშლილი გრაგნილით. მისი ვინაობის დადგენა არ ხერხდება სახისა და წარწერების მნიშვნელოვნად დაზიანების გამო. აგრეთვე დაუდგენელი რჩება ამავე მწკრივში ბემასა და ტრანსეპტის კაპიტელის ქვემოთ ფართო სიბრტყეებზე მოხატული ანგელოზების ვინაობა.



სურ. 16. სამთავისი, მაცხოვარი „ვედრების“ კომპოზიციიდან
Рис. 16. Самтависи — Спаситель из композиции «Моления»
Fig. 16. Samtavisi. The Saviour of the composition of Praying

საკურთხევლის აბსიდის პირველი რეგისტრი მთლიანად დათმობილი აქვს ზიარების კომპოზიციას (ტაბ. 28, 37). საკურთხევლის ცენტრში დიდი სარკმლის შეისრული თაღის ზემოთ, რომელშიც ორი მთავარანგელოზია გამოსახული. მოჩანს გაშლილი ტრაპეზის ნაწილი. ტრაპეზის შუაში ზის იესო ქრისტე. რომელიც მარცხნივ ხორცით, ხოლო მარჯვნივ სისხლით აზიარებს მოციქულებსა და მახარებლებს. ქრისტეს თავის ორივე მხარეს ქართული, ბერძნული და არაბული წარწერებია (სურ. 16). ⵗⵚ-ს ⵜ-ⵗ ქართულად იკითხება — ი(ეს)უს ქ(რისტ)ე. აქ, ქართული ენის ნორმებით ასო „ს“ ზედმეტია, რაც ბერძნულის გავლენითაა გამოწვეული.

ხორცით საზიარებელ მოციქულთა ჯგუფს, რომელიც ექვსი ფიგურისაგან შედგება, წინ უძღვის პეტრე მოციქული. მას ქრისტესკენ ხელები

აქვს გაწვდილი ზიარების მისაღებად. პეტრეს თავთან, მარცხნივ წარწერაა: .:ᲤᲒ:. ᲗᲩᲥ:. ᲣᲔ¯ᲮᲛ: წმიდა მოციქული პეტრე. მის ქვემოთ კი, ამავე შინაარსის არაბული წარწერაა (სურ. 17).



სურ. 17. სამთავისი. წარწერა: პეტრე მოციქული
Рис. 17. Самтависи — Надпись: апостол Петр
Fig. 17. Samtavisi. Inscription: The Apostle Peter

პეტრე მოციქულის უკან სიმონ მოციქულია ხელგაწვდით წარმოდგენილი ზიარების მიღების მოლოდინში. სიმონის თავთან მარცხნივ იკითხება ᲤᲒ:. ᲡᲨ¯ᲐᲩ:. წმინდა სვიმონ. ქვემოთ იმავე შინაარსის არაბული წარწერაა (სურ. 18).

სიმონის შემდეგ გამოსახულ სამ ფიგურას, რომლებიც დაზიანებული სახითაა მოღწეული, სახელის აღმნიშვნელი წარწერები აღარ გააჩნია, რის გამოც მათი ვინაობა დაუდგენელი რჩება.

ჩრდილოეთის მხარის ტრანსეპტისა და გუმბათქვეშა სვეტის სამხრეთ-აღმოსავლეთის სიბრტყეზე ხორცით ზიარების ჯგუფის მეექვსე, ე. ი. ბოლო ფიგურაა მოთავსებული, რომელსაც ხელები გაწვდილი აქვს ზია-



სურ. 18. სამთავისი. წარწერა: წმ. სიმონი
Рис. 18. Самтависи — Надпись: св. Симеон
Fig. 18. Samtavisi. Inscription: St. Simeon

რების მისაღებად; წმინდანის თავის მარცხნივ ქართული ასომთავრული წარწერაა: .ჩC Ⴍ̄ᲮᲞᲨ წ(მიდ)ა პრთე. მარჯვნივ კი, სამსტრიქონიანი ბერძნული წარწერაა მოთავსებული. წარწერის დაზიანების გამო შესაძლებლად

მიგვაჩნია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ აქ გამოსახულია წმიდა ბართლომე მოციქული (სურ. 19).




სურ. 19. სამთავისი, წარწერა: წმ. ბართლომე
Рис. 19. Самтависи — Надпись: св. Варфоломей
Fig. 19. Samtavisi. Inscription: St. Bartholomew

აღნიშნული ფიგურის შემდეგ გუმბათქვეშა სამხრეთის სიბრტყეზე წარმოდგენილია წინასწარმეტყველი ელია.

შედარებით უკეთესად არის შემონახული მოციქულთა ჯგუფი სისხლით ზიარებიდან. აქ, ექვსი ფიგურიდან, მხოლოდ ბოლოსწინა, ე. ი. მეხუთე ფიგურაა დაზიანებული. სისხლით ზიარების ჯგუფს წინამძღოლობს იოანე მახარებელი, რომელიც დასწაფებია ქრისტეს მიერ გამოწვდილ ბარძიმს. იოანეს თავთან მარჯვნივ ასომთავრული წარწერაა: :.ᲩᲔ :.Ⴏ⁻Ⴗ ᲐᲔ⁻ᲥᲔᲮ:. „წმიდა იოანე მახარობელი“. ქვემოთ კი, ამავე შინაარსის სამსტრიქონიანი არაბული წარწერაა (სურ. 20).

იოანეს შემდეგ ხელებგაწვდილი მარკოზ მახარებელია წარმოდგენილი, რომლის თავის მარჯვნივ იკითხება :.ᲩᲔ :.ᲐᲮᲮᲮ :.ᲐᲔ⁻ᲮᲐᲥᲔᲮᲘ „წმიდა მარკოზ მახარობელი“, ხოლო ქვემოთ იმავე შინაარსის ორსტრიქონიანი არაბული წარწერაა (სურ. 21). მარკოზის შემდეგ წარმოდგენილია თომა მოციქულის ფიგურა, რომლის მარჯვნივ იკითხება: .:ᲩᲔ :.ᲝᲐᲔ




სურ. 20. სამთავისი, წარწერა: იოანე მახარებელი
Рис. 20. Самтависи — Надпись: евангелист Иоанн
Fig. 20. Samtavisi. Inscription: St. John the Evangelist

:.ᲬᏀᲩᲖᏀ:. „წმიდა თომა მოციქული“. მის ქვემოთ კი იმავე შინაარსის ორსტრიქონიანი არაბული წარწერაა (სურ. 22).

თომას მოყვება ხელებგაწვდილი იაკობ მოციქული; თავთან მარჯვნივ წერია — ᲮᏟ:. ᲘᏟᏦᏀ:. Ꭿ¯ᏀᏀᏨ:. „წმიდა იაკობ მოციქული“. აღნიშნული წარწერის ქვემოთ კვლავ იმავე შინაარსის არაბული წარწერაა (სურ. 23).

მეხუთე ფიგურა, რომელიც ბემაში იყო გამოსახული ნალესობიანად არის დაღუპული. მისგან მხოლოდ ფეხებია შემორჩენილი; როგორც ფეხების მიმართულებიდან ჩანს, იგი ქრისტესაკენ იქნებოდა შებრუნებული.

სისხლით ზიარების ჯგუფის ბოლო ფიგურა, რომელიც ტრანსეპტისა და პილონის წახნაგის ერთიან სიბრტყეზეა მოთავსებული, იუდაა. მას სახელის აღმნიშვნელი წარწერა აღარ გააჩნია. წარმოდგენილი ფიგურა რომ ნამდვილად იუდაა, ეს იქიდან ჩანს, რომ იგი ზურგშექცევითაა გამოსახუ-




სურ. 21. სამთავისი, წარწერა: მარკოზ მახარებელი
Рис. 21. Самтависи — Надпись: евангелист Марк
Fig. 21. Samtavisi. Inscription: St. Mark the Evangelist

ლი ქრისტესა და მისი მოწაფეებისაგან; გარდა ამისა, მას სახეზე ხელები აქვს მიტანილი და დაძაბულ მდგომარეობაშია; ეს უკანასკნელი მომენტი იმის მანიშნებელია, რომ მას წმიდა ზიარების მიღებამდე ამოურწყვეია. (მსგავს იკონოგრაფიას ვხვდებით ლიხნეს, ლორის, ახტალის, უბისისა და სხვა მხატვრობებში).

სამხრეთ-აღმოსავლეთის გუმბათქვეშა სვეტის ჩრდილოეთის სიბრტყეზე დანიელ წინასწარმეტყველია გამოსახული. დანიელის თავის ორსავე მხარეს სახელის აღმნიშვნელი ასომთავრული წარწერაა: ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘ დანიელ წინასწარმეტყველი. მის მარჯვნივ გაშლილ გრაგნილზე შეიძლტრიქონიანი დაზიანებული წარწერა მოჩანს: ᲮᲐᲨᲐ ᲦᲔᲛᲔ: ᲧᲠᲘ: ᲨᲝᲨ: ᲦᲐᲒᲘᲗᲮ: ᲝᲮᲮᲐ [...] (ძველი აღთქმა, დანიელის წინასწარმეტყველება) (სურ. 24).

პირველ და მეორე რეგისტრებს შორის თეთრი კონტურით შემოვლებულ ფართო დეკორატიულ სარტყელში წითელი საღებავით შესრულებული დიდი ზომის ასომთავრული წარწერაა. იგი იწყება ჩრდილოეთ მხა-




სურ. 22. სამთავისი, წარწერა: წმ. თომა
Рис. 22. Самтависи — Надпись: св. Фома
Fig. 22. Samtavisi. Inscription: St. Thomas

რის პილონის სამხრეთ-აღმოსავლეთის სიბრტყიდან და მთავრდება მოპირდაპირე პილონის ჩრდილო-აღმოსავლეთის სიბრტყეზე:

ყ⁻ჩ̈ჲ̈ჩ̈:. ს̈ჷ⁻ს̈ჱ̈ჩ̈:. ყ⁻ჳყ⁻ჳ̈ჩ̈:.
ჲ̈ჩ̈ ჲ̈ჳ̈ჭ̈ჲ̈ჩ̈ჲ̈ჳ̈ჩ̈:. ჩ⁻ს:. ძ̈ჩ̈ჩ̈ჲ̈ჩ̈ჱ̈ჩ̈:. ი̈ჩ̈ჳ̈ჭ:.
ჲ̈ჩ̈ჯ⁻ჲ̈ს:. ს̈ჩ̈ჲ̈ს̈ჩ̈:. ჯ̈ჩ̈:. ჩ̈ჩ̈:. ჩ̈ს̈ჩ̈:.

ᲒᲔ ᲧᲙᲐᲥᲚ:. ᲐᲔ:. ᲙᲜ⁻ᲠᲘ:. ᲩᲐᲠᲘ:.
ᲐᲘᲡᲠᲘ:.

ქარაგმების გახსნის შემდეგ წარწერა ასე იკითხება: „შევიდეთ სახლ-
სათა შიშითა და უგალობდეთ მას ძრწოლვითა:. ღმერთი დაჯდეს საყდარ-



სურ. 23. სამთავისი, წარწერა: წმ. იაკობი
Рис. 23. Самтависи — Надпись: св. Иаков
Fig. 23. Samtavisi. Inscription: S t. J a c o b


სა:. ზედა:. წმიდასა მასა:. და შეკრბეს:. მისა: ყოველნი:. წმიდანი:. მისნი:.“ (ტაბ. 38, 39).

შედარებით კარგადაა დაცული მეორე რეგისტრის მხატვრობა, სადაც წარმოდგენილნი არიან განმანათლებლები, უფლის ძმები, მოციქულები, მღვდელთმთავრები და დიაკვნები.

საკურთხევლის აბსიდის ცენტრალური სარკმლის ორსავე მხარეს სიბრტყეებზე გამოსახულია დიონისე არეოპაგელი ქართული ასომთავრული წარწერით, სადაც ვკითხულობთ: ᲒᲔ:. ᲓᲐᲩᲜᲡᲚ: ᲡᲐᲓᲔᲡᲘᲗ:. (sic). წმიდა დონესი აროპაითი (sic) (სურ. 25). ამავე წარწერის ქვემოთ მოთავსებულია ვინაობის მაუწუებელი წარწერა არაბულად. დიონისეს ხელში გრაგნილი უჭირავს, რომელზედაც იკითხება: ᲙᲒᲐᲖ ᲨᲐᲡ:. ᲗᲛ ᲐᲤᲖ „კურთხეულ არს ძე უფლისა“ (კონდაკი, ოქროპირის წირვიდან, ხმის ასაამაღლებელი), ცენტრალური სარკმლის მარჯვნივ წარმოდგენილია იეროთეოსის ფიგურა. იგი ოდნავ შებრუნებულია მარცხნივ. გამოსახულების



სურ. 24. სამთავისი, წარწერა: წმ. დანიელი
Рис. 24. Самтависи — Надпись: св. Даниель
Fig. 24. Samtavisi. Inscription: St. Daniel



სურ. 25. სამთავისი, წარწერა: წმ. დიონისე არეოპაგელი
Рис. 25. Самтависи — Надпись: св. Дионис Ареопагит
Fig. 25. Samtavisi. Inscription: St. Dionysius the Areopagite

ორსავე მხარეს წერია: ⁞Ⴒ̄Ⴓ ⁞ⵗⵗⵀⵁⵆⵗⵁⵁⵄ წმიდა იეროთეოს. ქვემოთ, მარცხნივ ამავე შინაარსის ორსტრიქონიანი არაბული წარწერაა მოთავსებული (სურ. 26).

იეროთეოსის გაშლილ გრაგნილზე შემდეგი წარწერაა: ⁞Ⴒ̄:. ⁞ⵗⵀⵗⵄ:. ⁞ⵄⵆⵗⵁ აღნიშნული წარწერა ქარაგმების გახსნის შემდეგ შეიძლება ასე წავიკითხოთ: „რამეთუ:. შვენის:. ყოველი დიდება (პატივი და თაყვანისცემა)“ (კონდაკი, ოქროპირის წირვა, ხმის ასამაღლებელი, 1899, გვ. 110) (სურ. 27).

იეროთეოსის მარჯვნივ, საკურთხევლის აბსიდის სამხრეთის მხარის სარკმელია, რომელშიც ორი ანგელოზის გამოსახულებაა. სარკმლის შემდეგ გამოსახულ ფიგურას თავთან ქართული ასომთავრული წარწერა ახლავს: ⁞ⵆⵗ: ⁞ⵗⵗⵆⵁⵆ:. ⁞Ⴒ̄ⵗⵀ:. ⁞ⵄⵆⵗⵁⵗⵆⵗ, რომელიც ქარაგმების გახსნის შემდეგ ასე იკითხება: „წმინდა ეგნატე ღმრთის შემოსილი“. ქვემოთ კი დაზიანებული ოთხსტრიქონიანი არაბული წარწერაა (სურ. 28).

ეგნატეს გრაგნილზე წარწერა ძალიან დაზიანებულია, რის გამოც მისი



სურ. 26. სამთავისი, წარწერა: წმ. იეროთეოსი
Рис. 26. Самтависи — Надпись: св. Иерофей
Fig. 26. Samtavisi. Inscription: St. Jerophian


წაკითხვა დღეს უკვე შეუძლებელია. ეგნატეს მოსდევს წმინდა ანანია მოციქული, რომლის თავთან წერია: Ϸⵣⵚ:. ⵚⵀⵚⵀⵊⵚ ⵐⵚ+ⵓⵆⵊ:. ხოლო ქვემოთ, მარცხნივ იგივე სახელი არაბულად წერია (სურ. 29).

ანანია, ისე როგორც მის წინ მდგომი წმინდანები, ოდნავ მიბრუნებულია მარცხნივ, ე. ი. აბსიდის ცენტრისაკენ. ანანიას ხელში გაშლილი გრაგნილი უჭირავს, რომლის ბოლო ნაწილი ხელზეა გადაკეცილი. გრაგნილზე წარწერის მხოლოდ მკრთალი ლაქებია შემორჩენილი. დაკვირვებიდან ჩანს, რომ გრაგნილის ზედაპირზე ქართული ასომთავრული წარწერა ყოფილა,

ხოლო მეორე მხარეზე არაბული. გადაკეცილ გრაგნილზე რამდენიმე დაზიანებული არაბული ასოა შემორჩენილი, რომლის მიხედვითაც ტექსტის აღდგენა შეუძლებელია.



სურ. 27. სამთავისი, წარწერა წმ. იეროთეოსის გრაგნილზე
Рис. 27. Самтависи — Надпись на свитке св. Иерофея
Fig. 27. Samtavisi. Inscription on the scroll of St. Jerophian



სურ. 28. სამთავისი, წარწერა: წმ. ეგნატე
Рис. 28. Самтависи — Надпись: св. Игнатий
Fig. 28. Samtavisi. Inscription: St. Ignatius

მომდევნო ფიგურა, სიმიონ ძმა უფლისა, ბემაშია გამოსახული. წმინდანის მარჯვნივ იკითხება Ϸⷪⷭ (წმიდა) ⵙⵑⵔⵂⵙ (სიმიონ) (sic), მარცხნივ კი ⵔⷪⷭ ⵙⵖⵚⵙⵔ (ძმა უფლისა). ამავე მხარეს, ქვემოთ, ამავე შინაარსის სამსტრიქონიანი არაბული წარწერაა: სიმიონის ხელში პყრობილ გრაგნილზე წარწერა სრულიად გამქრალია (სურ. 30).

საკურთხევლის აბსიდსა და გუმბათქვეშა ბურჯს შორის არსებულ გასასვლელის ზევით, კედლის სიბრტყეზე წარმოდგენილია წელამდე გა-


მოსახული წმინდანი. მის თავთან მარჯვნივ გაირჩევა წარწერა: ⁋ⷭ⁘. Ꙉ (წმიდა:. ხ), მარცხნივ კი — ⵗⵙⵏⷭⵀⵏ ⵀⵇⵜⵆⵏ (რსიმე მოციქული), ე. ი. წმიდა ხურსიმე მოციქული. ასეთი სახელით ცნობილი წმინდანი ქართული კედლის მხატვრობაში, გარდა სამთავისისა, ჩვენ არსად შეგვხვედრია. სამ-



სურ. 29. სამთავისი, წარწერა: წმ. ანანია

Рис. 29. Самтависи — Надпись: св. Ананий

Fig. 29. Samtavisi. Inscription: St. Ananius



ს.ურ. 30. წარწერა: სიმეონ ძმა უფლისა


Рис. 30. Самтависи — Надпись: Симеон брат господень

Fig. 30. Samtavisi. Inscription: St. Simeon God's Brother

სტრიქონიანი არაბული წარწერა, რომელიც ქართული წარწერის იდენტურია, წმინდანის მარჯვენა მხარის გასწვრივაა მოთავსებული (სურ. 31). წმინდანს მარჯვენა ხელში გახსნილი სახარება უჭირავს, რომელზედაც წარწერა გარკვევით მოჩანს. ⵆⵖⵇⵛⵒⵆⵛⵆⵛⵔⵔⵏⵏ. აღნიშნული წარწერა ქარაგმების გახსნის შემდეგ ასე იკითხება: „მოწყალებათათვის (მხოლოდ შობილსა ძისა შენისათა)- (ლონდაკი, ოქროპირის წირვიდან, ხმის ასამაღლებელი, გვ. 128).

გუმბათქვეშა სამხრეთ-აღმოსავლეთის ბურჯის ჩრდილო-აღმოსავლეთ სიბრტყეზე გამოსახულია წმიდა სტეფანე პირველმოწამე. მას მარცხენა ხელით დარბაზული ეკლესიის ფორმის მქონე საკმეველი უჭირავს, მარჯვენა ხელი კი საერთოდ არა ჩანს. რადგან იგი მიბრუნებულა მის წინ მდგომ წმინდანებისაკენ. მის თავთან, მარჯვნივ იკითხება ⁋ⷭ⁘ (წმიდა), მარცხნივ

კი ᲡᲔᲤᲪᲘ ᲡᲐᲮᲚᲔ ᲫᲔᲪᲨᲘ. ე. ი. სტეფანე პირველმოწამე. მარცხენა მხარის პირველი ასოს „ს“-ს ქვეშ გარკვევით მოჩანს შავი ფერის საღებავით შესრულებული ასო ⵁ (ე). იმავე შინაარსის ორთხსტრიქონიანი არაბული



სურ. 31. სამთავისი, წარწერა: წმ. ხურსიმე
Рис. 31. Самтависи — Надпись: св. Хурсимий
Fig. 31. Samtavisi. Inscription: St. Hursimius

წარწერა წმიდა სტეფანეს მარჯვენა მხარის გასწვრივაა მოთავსებული (სურ. 32).

ამავე სვეტის ჩრდილოეთის სიბრტყეზე მოთავსებულია თეთრი საღებავით მოჩარჩოებული ექვსსტრიქონიანი ასომთაერული საქტიტორო წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია გივი ამილახორი. წარწერის ქვემოთ წინასწარმეტყველ ამბაკუმის დაზიანებული ფიგურა მოჩანს.


საკურთხეველის აბსიდის ჩრდილო-აღმოსავლეთის სარკმელში ორი ანგელოზია გამოსახული. სარკმლის შემდეგ წარმოდგენილია წმიდა იაკობი ძმა უფლისა. მის თავთან მარცხნივ იკითხება: ⵊⵔⵃⵁⵗ ⵀⵁⵐⵆⵏⵔ, ქვემოთ კი მოთავსებულია ამავე შინაარსის სამსტრიქონიანი არაბული წარწერა (სურ. 33). იაკობის გრაგნილზე წერია: ⵀ¯:. ⵢⵏ ⵔ¯ⵀⵙ:. ⵙⵊⵄⵃⵊⵔⵏ ⵀⵔⵔⵆ (სურ. 34). ქარაგმების გახსნის შემდეგ კი იგი ასე იკითხება: „რამეთუ შენი



სურ. 32. სამთავისი, წარწერა: წმ. სტეფანე
Рис. 32. Самтависи — Надпись: св. Стефан
Fig. 32. Samtavisi. Inscription: St. Stephen

არს სიმტკიცე ძალ(ისა)“ (კონდაკი, ოქროპირის წირვიდან, ხმის ასამაღლებელი, გვ. 111).

იაკობის მომდევნო ფიგურაა წმიდა იუდა, ძმა უფლისა. მის თავთან ორსავე მხარეს მოთავსებული წარწერა ასე იკითხება: ⁝Ⴉ⁻Ⴝ ⁝ⴁⴂⴆ ⁝ⴒⴝ: ⴁⴖⴒⴄⴏⴝ წმიდა იუდა ძმა უფლისა (სურ. 35). იუდას მხარის მარცხნივ კი — ამავე შინაარსის სამსტრიქონიანი არაბული წარწერაა. გრაგნილის ზევითა ნაწილი, რომელიც იუდას უჭირავს, მის მარცხენა ხელზეა გადაკეცილი და ქვემოთ, ვერტიკალურად ეშვება. გრაგნილის ზედა მხარეზე ქართული ასომთავრული წარწერაა მოთავსებული, რომელიც შემდეგნაირად იკითხება: ⁝ⴒ⁻: ⁝Ⴉⴝ ⁝ⴋⴒ აღნიშნული წარწერა ქარაგმების გახსნისა და ტექსტის აღდგენის შემდეგ ასე იკითხება: „რამეთუ წმიდა ხარ (ღმერთო ჩვენო)“ (კონდაკი, ოქროპირის წირვიდან, ხმის ასამაღლებელი, გვ. 113). გადაკეცილ გრაგნილზე სამსტრიქონიანი არაბული წარწერა მოჩანს. არაბული წარწერა, რომელიც გრაგნილის მეორე მხარეზეა შესრულებული, როგორც მოსალოდნელი იყო, თავდაყირა უნდა ყოფილიყო დაწერილი. სინამდვილეში კი დაწერილია სწორად, მაყურებლისათვის. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გრაგნილის მეორე მხარეზე არაბული წარწერა მოთავ-



სურ. 33. სამთავისი, წარწერა: იაკობ ძმა უფლისა
Рис. 33. Самтависи — Надпись: Иаков брат господень
Fig. 33. Samtavisi. Inscription: St. Jacob God's Brother




სურ. 34. სამთავისი, წარწერა იაკობის გრაგნილზე
Рис. 34. Самтависи — Надпись на свитке св. Иакова
Fig. 34. Samtavisi. Inscription on the scroll of St. Jacob

სებულია ანანია მოციქულის გრაგნილებზეც. იუდა და ანანია საკურთხევლის აბსიდის კალთის ნაპირებზე არიან გამოსახულნი ერთმანეთის პირდაპირ.

იუდას შემდეგ ბემაში წარმოდგენილია წმიდა გრიგოლი, რომლის თავთან მარჯვნივ იკითხება ჩᲒ ᲖᲮᲘᲖ, მარცხნივ კი — ᲐᲮᲜ: ᲡᲔᲘᲜᲔᲠ (sic), ე. ი. წმიდა გრიგოლი პტელია (სურ. 36). ქართული წარწერის შინაარსის დადგენაში მარცხენა მხართან მოთავსებული ორსტრიქონიანი არაბული წარწერა გვეხმარება[2]. წმიდა გრიგოლს ხელში გაშლილი გრაგნილი

[2] არაბულ წარწერას ი. ჯანდიერი შემდეგნაირად თარგმნის: „წმიდა გრიგოლი არქიეპისკოპოსი არმენიისა".

უჭირავს, რომელზედაც ქართული ასომთავრული წარწერა გარკვევით იკითხება: ⵒ⁻ⵔⵀ ⵣ⁻ⵀ ⵟⵍⵗⵃⵇⵀ. იგი შემდეგი სახით იკითხება: „რათა და ესენიცა (ჩვენთანავე ადიდებენ)“ (კონდაკი, ოქროპირის წირვიდან, კათაკმეველთა კვერექსიდან, ხმის ასამაღლებელი გვ. 120).




სურ. 35. სამთავისი, წარწერა: იუდა ძმა უფლისა
Рис. 35. Самтависи —. Надпись: Иуда брат господень
Fig. 35. Samtavisi. Inscription: Judas God's Brother

საკურთხეველის აბსიდსა და ჩრდილოეთის სვეტს შორის არსებულ გასასვლელის თავზე, კედლის სიბრტყეზე წმინდა ლაზარეს წელამდე გამოსახულებაა. წმინდანის სახელის აღმნიშვნელი წარწერა ძალიან არის დაზიანებული (სურ. 37). სათანადო აღდგენით იგი მაინც იკითხება: ⵒ⁻ⵀ:. ⵞⵀⵞⵀⵗ (წმიდა ლაზარე). მის მარცხენა მხართან სამსტრიქონიანი არაბული წარწერაა [3]. ლაზარეს, ისევე როგორც მის მოპირდაპირე მხარეს გამოსახულ წმიდა ხურსიმეს (sic), მარცხენა ხელში შუაზე გახსნილი სახარება უჭირავს, რომელზედაც წარწერაა შემორჩენილი: ⵒⵀ⁻ⵔⵀ ⵃⵞⵃⵗⵔ, ქარაგმების გახსნის შემდეგ ასე იკითხება: „რათა ძლიერებითა (შენითა)“ (კონდაკი, ოქროპირის წირვიდან, ხმის ასამაღლებელი, გვ. 122) (სურ. 38).

ლაზარეს შემდეგ, გუმბათქვეშა სამხრეთ-აღმოსავლეთ სიბრტყეზე, წმიდა ლავრენტია წარმოდგენილი. მას, თავის ორსავე მხარეს აქვს წარწერა: ⵒ⁻ⵀ ⵞⵀⵃⵏⵇⵀ:. (წმიდა ლავრენტი) (სურ. 39). ლავრენტის, ისე როგორც სამხრეთის ბურჯის სიბრტყეზე გამოსახულ სტეფანეს, მარცხენა ხელში საკმევლის ჭურჭელი უჭირავს, მარჯვენაში კი საცეცხლური. ამავე ბურჯის სამხრეთის სიბრტყეზე ნაღესობა ჩამოვარდნილია და აღარ ჩანს, თუ ვინ უნდა ყოფილიყო გამოსახული. აღნიშნული ლაკუნის ზემოთ თეთრი საღებავით შემოსაზღვრულ ჩარჩოში მოთავსებულია შვიდსტრიქონიანი ქართული ასომთავრული მეორე საქტიტორო წარწერა. აღნიშნულ წარწერაში მოხსენებულია მელიტონი—სამთავნელი ეპისკოპოსი. კონქისა და გუმბათქვეშა სვეტების წარწერებს უფრო დეტალურად ქვემოთ განვიხილავთ.

[3] ი. ჯანდიერი არაბულ წარწერას ასე კითხულობს: „წმიდა ლაზარე რომელ იგი (არს) მეუფე ერწყულ უდაბნოთა“.



სურ. 36. სამთავისი, წარწერა: წმ. გრიგოლი
Рис, 36. Самтависи — Надпись: св. Григорий
Fig. 36. Samtavisi. Inscription: St. Gregory

მეორე და მესამე რეგისტრებს შორის თეთრი კონტურით შემოვლებული დეკორატიული სარტყელია მოთავსებული, რომელიც იწყება საკურთხევლის აბსიდის ჩრდილოეთის კალთის ნაპირიდან და მთავრდება სამხრეთის მხარის ბემის სიბრტყეზე. აღნიშნულ სარტყელში მოთავსებულია ასომთავრული წარწერა:


ⴕ: ⵒⵏⵆⵗⵖⵔ:. ⵒⵔⵃⵑⵔⵔ:. ⵖⵗⵏⵔⵔ:.
ⵖⵗⵗⵒⵔⵍⵔⵏ ⵍⵗⵒⵑⵔⵃⵗ:. ⵓⵔ:. ⵕⵒⵗⵓⵔⵏⵗ ⵖⵏⵗ ⵍⵕ⁻ⵑⵃⵗⵑⵔⵔ:.
ⵗⵕⵑⵏⵈⵆⵗⵏ:. ⵛⵕⵕⵔ:. ⵒ⁻ⵆⵗⵍ:. ⵓⵔ ⵔⵏ⁻ⵗ:. ⵔⵏⵗ:. ⵛⵒⵗⵏ:.

ქარაგმების გახსნის შემდეგ წარწერა ასე წაიკითხება: „ქ. მღვდელთ:. მთავართა:. შენითა:. შეიმოსონ:. სიმართლე:. და:. წმიდანი:. შენი:. სიხარულითა:. იხარებდნენ:. აწდა:. მარადის:. და უკუნით:. უკუნისამდე:. ამინ:. (ტაბ. 37. 39. 40, 41).

საკურთხევლის აბსიდის სამხრეთის მხარის ღიადის მარცხენა ნაპირიდან იწყება სხვა წარწერა, რომელიც იქვე ახლოს ბურჯის ჩრდილო-აღმოსავლეთის სიბრტყეზე მთავრდება. მოგვყავს ეს წარწერაც ⵕⵒⵗⵏⵛ:. ⵑ⁻:. ⵖⵗⵗⵒⵔⵍⵔⵏ:. ⵒⵗ:. ⵏⵗⵑⵑ. ე. ი. „წმიდისა:. რამეთუ:. შემმოსა:. მე:. კვარ(თი).“

ზემოდან მესამე რეგისტრში მხატვრობა დაზიანებული სახითაა მოღწეული. რეგისტრი დანაწევრებულია აღმოსავლური სტილის ტეხილი კამარებით. მოჩარჩოების ვერტიკალური სეეტები მარტივი პროფილის მქონე კაპიტელებითა და ბაზისებით არის შემკული. თითოეულ ჩარჩოში თითო

ფიგურაა წარმოდგენილი. აბსიდში რვა ფიგურაა გამოსახული. ბემაში — ორი, ჩრდილო-აღმოსავლეთის ბურჯის სამხრეთის სიბრტყეზე კი — ერთი. სამხრეთ-აღმოსავლეთის ბურჯზე ნალესობა ჩამოვარდნილია, სადაც ერთი ფიგურა უნდა ყოფილიყო. ამრიგად, მესამე რეგისტრში სულ 12 ფიგურა არსებულა. როგორც ფიგურების შემორჩენილი სამოსიდან ჩანს, მესამე რეგისტრში მღვდელმთავრები ყოფილან გამოსახული, კამარებში წარმოდგენილი ფიგურების სახეები საგანგებოდ არის დაზიანებული, რის გამოც, ზოგიერთ ადგილას ნალესობაც კი ჩამოვარდა.




სურ. 37. სამთავისი. წარწერა: წმ. ლაზარე
Рис. 37. Самтависи — Надпись: св. Лазарь
Fig. 37. Samtavisi. Inscription: St. Lazarus


1964 წელს, როდესაც საქართველოს ძეგლთა დაცვის სამმართველოსთან არსებული სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნოს მხატვარი-რესტავრატორები შ. აბრამიშვილი და კ. ბაკურაძე სამთავისის ტაძრის საკურთხევლის აბსიდის კედლის მხატვრობას წმენდნენ და სათანადო ხსნარებით ამაგრებდნენ, ამ დროს ზოგიერთ ადგილას ჩამოვარდა მესამე რეგისტრის დაზიანებული ფრესკის ქვეშ არსებული სქელი ნალესობა.

საკურთხევლის აბსიდის სამხრეთის კალთაზე ნალესობის ჩამოვარდნის შედეგად 1,6 მ სიმაღლეზე კედლის წყობაზე გამოჩნდა 10×40 სმ-ის ზომის, მოგრძო ფორმის ადრეფეოდალური ხანის ჩუქურთმიანი ქვა. საიდან გაჩნდა აქ აღნიშნული ხუროთმოძღვრული ფრაგმენტი, ამის შესახებ ძეგლის ისტორიის მიმოხილვისას ვისაუბრებთ (ტაბ. 42).

გარდა ამისა, ქვედა რეგისტრში, აბსიდის ცენტრში არსებული შეისრული თაღის მჭონე ნიშის მარჯვნივ და მარცხნივ ჩამოვარდნილი ნალესობის ადგილებში შემჩნეულ იქნა აგურით ამოშენებული სამი ნიშა კვალი. აბსიდის სამხრეთის კალთაზე მდებარე ნიშას განი 76 სმ-ს უდრის, მის გვერდით მეორე ნიშას განი ვერ დგინდება, რადგან იგი ფრესკითაა დაფარული. ასევე დაუდგენელი რჩება ჩრდილოეთის კალთის ნიშას განიც. თუ



სურ. 38. სამთავისი. წარწერა სახარებაზე
Рис. 38. Самтависи — Надпись на евангелии
Fig. 38. Samtavisi. Inscription on the Gospel



სურ. 39. სამთავისი. წარწერა: წმ. ლავრენტი
Рис. 39. Самтависи — Надпись: св. Лаврентий
Fig. 39. Samtavisi. Inscription: St. Lawrence

სამხრეთის კალთის ნიშას განს გავითვალისწინებთ და მის განით წარმოვიდგენთ ნაწილობრივად გამოჩენილ ნიშებს, მაშინ აბსიდში შემჩნეული ნიშები არათანაბარი მანძილით დაცილებული გამოვა. ნიშების არათანაბარი მანძილებით დაცილების მიზეზების გარკვევა შეუძლებელია, რადგან შემჩნეული ნიშების უმეტესი ნაწილი ფრესკითაა დაფარული. (იხ. მხატვრობის განაწილების სქემა, ტაბ. 45, 46)

გუმბათის მხატვრობა

გუმბათში მხატვრობა წარმოდგენილია თაღსა და გუმბათის ყელში სამ რეგისტრად (ტაბ. 43). გუმბათის თაღის ქვემოთ, იქ საიდანაც იწყება გუმბათის ვერტიკალურ ყელზე გადასვლა, შემოვლებულია თეთრი და მოწითალო ფერის ზოლები. თაღის ფონი მუქი მონაცრისფრო-მომწვანოა.

გუმბათის თაღი მთლიანად უკავია პანტოკრატორის წელამდე გამოსახულებას, რომლის თაეიც, როგორც წესი, დასაელეთითაა გამოსახული. მას თავზე ჯვრული შარავანდი ადგას. ქრისტეს კვართი აცვია, ზემოდან კი ჰიმატიონი აქვს მოსხმული. მარჯვენა ხელით კურთხევას გამოსახავს, მარცხენა ხელში კი დახურული წიგნი უჭირავს. ფურცლების გარეთა ნაპირები მუქი ყავისფერითაა შეფერილი. წიგნი შეკრულია მუქმოლურჯო ფერის წვრილი ზონარის გრეხილით. ყდა მარგალიტებითა და ძვირფასი დიდი ქვე-

ბითაა შემკული. ქრისტეს შარავანდში, ჯვრის მკლავების ბოლოებში ბერძნული თითო ასო მოჩანს: N-O- Ω=ὀ᾽ὼν ქართულად ნიშნავს (მე ვარ), რომელი ვარ. (გამოსვლ. 3, 13) მხრებს ზემოთ ბერძნულად აწერია: IC—XC იესო ქრისტე [1].

გუმბათის ყელის პირველი რეგისტრის მხატვრობა შეიცავს კანონიკური სახარების ავტორთა ოთხ აპოკალიფსურ გამოსახულებას, რომლებიც ელიპსურ მედალიონებშია ჩახატული. მათ სახელების აღმნიშვნელი ქართული წარწერები ახლავს; იქვე მიწერილია თითო ბერძნული დიდი ზომის ასო. აღნიშნული რეგისტრი მომდევნო ქვეყითა რეგისტრებზე შესამჩნევად დაბალია, ამიტომ იგი სარტყელისებური ფორმის მოჩანს. რეგისტრში წარმოდგენილი მედალიონების ზემოთა ნაწილები წაკვეცილია თაღის წრეხაზით. მედალიონები რეგისტრში შემდეგნაირად ნაწილდება: ჩრდილო-აღმოსავლეთ მედალიონში ფრთოსანი ლომია გამოსახული, რომელსაც ქართულად აწერია Ⴎ-ᲮᲙᲐᲮᲔ (მარკოზა) (sic.). ბერძნულად კი „ΒΛ“. სამხრეთ-აღმოსავლეთ მედალიონში გამოსახულია ფრთოსანი ხარი, რომელსაც ახლავს წარწერა ᲖᲐᲮ (ლუკა), ბერძნულად წერია „Β“. სამხრეთ-დასავლეთის მედალიონში წარმოდგენილია არწივი, რომელსაც აქვს წარწერა — ᲘᲐ (იოანე), ბერძნულად კი — „ΚΑ“. ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მედალიონში კი ანგელოზია გამოსახული, რომელსაც ახლავს სათანადო წარწერა ᲛᲐᲗ (მათე), ხოლო ბერძნულად — „Α“.

ოთხივე აპოკალიფსურ მახარებელს ხელში უპყრია მოოქვილი სახარება. ამავე რეგისტრში, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარეზე, მედალიონებს შორის გამოსახულია ორი მრავალფრთედი.

პირველი რეგისტრი მეორედან გამოყოფილია მცენარეული ორნამენტით შეკრული ბრტყელი არშიით. მეორე რეგისტრში გუმბათის ყელის სარკმლების სიმაღლეზე წარმოდგენილია 13 ფიგურა მთელი ტანით. აღმოსავლეთით ორ ახლომდებარე სარკმელს შორის ვიწრო სიბრტყეზე გამოსახულია საყდარზე მჯდომი ღვთისმშობელი, რომელსაც კალთაში ყრმა ქრისტე უზის. მარიამს მხრებს ზემოთ ბერძნული წარწერა აქვს: ΜΤΡ ΘΥ — (დედა ღვთისა). ღვთისმშობელს თავზე შარავანდი ადგას, ქრისტეს კი, როგორც წესი — ჯვრული შარავანდი. აქ ჯვრის მკლავების ბოლოებზე, ისე როგორც გუმბათის თაღში წარმოდგენილ ქრისტეს ჯვრიან შარავანდში, თითო ბერძნული ასოა მოთავსებული, რაც იმავე შინაარსის მაუწყებელია. — („მე ვარ) რომელი ვარ!“. ყრმა ქრისტეს მარცხენა ხელში მცირე ზომის ოვალური ფორმის დახვეული გრაგნილი უჭირავს, მარჯვენა ხელით კი კურთხევას გამოსახავს.

გუმბათის ყელში გაჭრილ სარკმლებს შორის არსებულ ექვს განიერ სიბრტყეზე ორ-ორი წინასწარმეტყველია მოთავსებული, ე. ი. სულ თორ-

[1] გუმბათშიც, ისე როგორც საკურთხეველში, ქართულ-ბერძნული წარწერები შესრულებულია თეთრი საღებავით.

მეტი. ღვთისმშობლის მარჯვნივ (მაყურებლიდან) ორ სარკმელს შორის გამოსახულია დავითი და დანიელ წინასწარმეტყველები, რომლებსაც თავზე გვირგვინი ადგათ და შარავანდმოსილნი არიან. დანარჩენი 10 ფიგურა მხოლოდ შარავანდითაა წარმოდგენილი.

დავით წინასწარმეტყველს, რომელიც ღვთისმშობლისკენაა მიბრუნებული, ახლავს სახელის აღმნიშვნელი ბერძნული წარწერა Δαυὶδ (დავითი). მას მარცხენა ხელში გაშლილი გრაგნილი უჭირავს, რომელზედაც ბერძნული წარწერაა [2].

დავითის გვერდით წარმოდგენილი ფიგურა, რომელიც ოდნავ შემობრუნებულია დავითის საწინააღმდეგო მხარეს, დანიელ წინასწარმეტყველია. მას მხართან ბერძნულად აწერია Δανιὴλ (დანიელ). მის გრაგნილზე კი შემდეგი იკითხება: „(მე დანიელ) ვხედავ ეითარმედ (საყდარნი დაიდგნეს)“ (ძველი აღთქმა, დანიელის წინასწარმეტყველება, თავი 7 (9).

გუმბათის ყელის სამხრეთის მხარის სიბრტყეზე წარმოდგენილნი არიან ამოსი და სოფონია წინასწარმეტყველები. აქაც, ისე როგორც წინა ორი ფიგურა, ამოსი აღმოსავლეთით, ღვთისმშობლისაკენ არის შემობრუნებული, სოფონია კი საწინააღმდეგო მხარეს; ყველა ფიგურა გუმბათის სარკმლებს შორის ამ სახითაა წარმოდგენილი. პირველი ფიგურის მარჯვენა მხართან წერია Αμὼς ამოს. მის გრაგნილზე კი მხოლოდ ბოლო სტრიქონებია შემორჩენილი, რომელიც ტექსტის აღდგენის შესაძლებლობას არ იძლევა.

ამავე სიბრტყეზე მეორე ფიგურას მარჯვენა მხარს ზემოთ აწერია Σοφονίας — სოფონია, ხოლო მის გრაგნილზე მოთავსებული ბერძნული წარწერის თარგმანი სოფონიას წინასწარმეტყველების შემდეგ წინადადებას ემთხვევა: „ჯმა უფლისა მწარედ (და ფიცხლად დაწესებულ არს ძლიერ)“ (ძველი აღთქმა, I, (14) გვ. 829).

სამხრეთ-დასავლეთის სიბრტყეზე წარმოდგენილი პირველი ფიგურის ვინაობა უცნობია წარწერის დაზიანების გამო. მას ხელში გაშლილი გრაგნილი უჭირავს. გრაგნილზე არსებული ბერძნული წარწერა შემდეგი სახით ითარგმნება: „უზრუნველი გარშემოერტყა (უსამართლობისაგან)“. როგორც პროფ. თ. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, ტექსტი ეკუთვნის ამბაკუმის წინასწარმეტყველებას და შესაძლოა აღნიშნული ფიგურა ამბაკუმი იყოს. თუმცა სამთავისის გუმბათის ყელში გამოსახულ წინასწარმეტყველებს ზოგიერთ შემთხვევაში ხელში პყრობილ გრაგნილის ბერძნული წარწერების ტექსტი აღებული აქვთ სხვისი წინასწარმეტყველებიდან. ამგვარი მაგალითი გვაქვს იქვე, ამავე სიბრტყეზე მოხატულ ესაია წინასწარმეტყველის გრაგნილზე, რომელზეც არსებული ბერძნული წარწერა შემდეგნაი-

---

[2] გუმბათის ყელის მხატვრობის ბერძნული წარწერების ამოკითხვა და მისი თარგმანები ეკუთვნის პროფესორ თ. ს. ყაუხჩიშვილს. აღნიშნულ წარწერას მკვლევარი შემდეგნაირად კითხულობს: „ვითარ განდიდნეს საქმენი შენნი (უფალო)“ (დავითნი, 103, (24)).

რად ითარგმნება: „ღაღადეყავ ჰირსა შინა (ჩემსა უფლისა მიმართ)“ ძველი აღთქმა. იოანეს წინასწარმეტყველება, II (3), აღნიშნული ტექსტი აღებულია იოანეს წინასწარმეტყველებიდან.

დასავლეთის მხარის სიბრტყეზე მოხატულია იეზეკიელი და იოველ წინასწარმეტყველები. იეზეკიელის გრაგნილის ბერძნული წარწერა ითარგმნება შემდეგი სახით: „ამათ იტყვის უფალი“ (ძველი აღთქმა. ეზეკიელის წინასწარმეტყველება. 34. (11).

ეზეკიელის გვერდით წარმოდგენილ ფიგურას მხარს ზემოთ აწერია Ιωήλ — იოველი. მის გრაგნილზე ბერძნული წარწერის თარგმანი კი გვაუწყებს: „სად არს სიკუდილო, (სად არს საწერტელი შენი ჯოჯოხეთო)“ (ძველი აღთქმა, ოსეს წინასწარმეტყველება, 13 (14).

ჩრდილო-დასავლეთის სიბრტყეზე პირველ ფიგურას ახლავს ვინაობის აღმნიშვნელი წარწერა: Γεδεών გედეონ. მის გრაგნილზე ბერძნული წარწერა შემდეგნაირად ითარგმნება: „პირისა წინაშე უფლისა (ვინ დაუთმოს)“. (ძველი აღთქმა, ნაუმის წინასწარმეტყველება, 1, (6).

გედეონის გვერდით წარმოდგენილი წინასწარმეტყველის როგორც სახელი, ისე მისი გრაგნილის წარწერა იმდენად არის დაზიანებული, რომ ჩვენთვის მისი ვინაობა, ასევე გრაგნილის შინაარსი დაუდგენელი რჩება.

გუმბათის ყელის ჩრდილო-აღმოსავლეთის სიბრტყეზე წარმოდგენილია ბოლო ორი ფიგურა. პირველ მათგანს მარჯვენა მხარის გასწვრივ აწერია: Ἱερεμίας (იერემია), ხოლო მისი გრაგნილის ბერძნული ტექსტი შემდეგნაირად ითარგმნება: „იყო სიტყუა (უფლისა ჩემდამო მეტყუჳლი)“ (ძველი აღთქმა, იერემიას წინასწარმეტყველება, I, (5).

იერემიას გვერდით წარმოდგენილი ბოლო მეთორმეტე წინასწარმეტყველი ღვთისმშობლისკენაა მიბრუნებული. მის მარჯვენა მხარის ზემოთ წერია Σολομών (სოლომონ). სოლომონს მარცხენა ხელში ზემოთ აფრიალებული გრაგნილი უჭირავს. გრაგნილზე არსებული ბერძნული წარწერა თარგმნის შემდეგ ასე იკითხება: „ბაგენი უფლისანი სწრთვან (სიბრძნესა)“ (ძველი აღთქმა, სოლომონის წინასწარმეტყველება, 10, (31).

გუმბათის სარკმლების შიგნითა სიბრტყეებზე და თაღში მოჩანს სტილიზებული მცენარეული ორნამენტი.


გუმბათის ბოლო მესამე რეგისტრი მეორე რეგისტრისაგან მცენარეული ორნამენტის ზოლით არის გამოყოფილი. მესამე რეგისტრში რვა ანგელოზია წარმოდგენილი, რომელთაც ხელში სფეროები უჭირავთ. სამხრეთ-აღმოსავლეთით გამოსახული ასგელოზის ხელში პყრობილ სფეროზე ბერძნული წარწერა მოჩანს: $\frac{\text{IC} \mid \text{XC}}{\text{N} \mid \text{H}}$, ე. ი. Ἰησούς Χριστός νικᾷ. ქართველების გახსნისა და თარგმნის შემდეგ იგი ასე იკითხება: „იესო ქრისტე ძლევაჲ“. ამავე რეგისტრის ჩრდილოეთით გამოსახულ ორ ანგელოზს შორის მოჩანს ოთხსტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერა, რომე-

ლიც იმდენად არის დაზიანებული, განსაკუთრებით კი მისი ბოლო ნაწილი, რომ სრული სახით აღდგენა დღეისათვის შეუძლებელია.

აქ ერთი გარემოება იქცევს ყურადღებას. თუ ტაძრის საკურთხეველსა და გუმბათში ყველა წარწერა თეთრი და შავი ფერის საღებავით თავისუფალი მონასმებითაა შესრულებული, აქ, ორ ანგელოზს შორის არსებული წარწერა წითელი ფერის საღებავით გულდასმით არის შესრულებული. შენიშნული დეტალი გვაფიქრებინებს, რომ გუმბათის ყელის წითელი ფერის წარწერა, რომელიც თავისი პალეოგრაფიით აშკარად წინ უსწრებს თეთრი ფერით შესრულებულ წარწერებს, უნდა მიეკუთვნებოდეს შედარებით ადრეული პერიოდის მხატვრობის ფენას. აღნიშნულ საკითხზე ქვემოთ, ძეგლის ისტორიის მიმოხილვის დროს საგანგებოდ შევჩერდებით.

ეპისკოპოსის პალატი


ტაძრის გარდა ეზოში შემორჩენილია ეპისკოპოსის პალატის ნანგრევი, სამრეკლო და მცირე ზომის დარბაზული ეკლესიის ნაშთი. ამათგან განსაკუთრებით საყურადღებოა პალატი, ამიტომ მის აღწერაზე საგანგებოდ შევჩერდებით.



სურ. 40. სამთავისის პალატის გეგმა
Рис. 40. Самтависи — Епископский дом. План
Fig. 40. Samtavisi. Bishop's dwelling house. Plan

ტაძრის ეზოს ჩრდილოეთის გალავნის აღმოსავლეთის კიდეზე შემორჩენილია ეპისკოპოსის ორსართულიანი პალატის ნანგრევი, რომელიც წარ-

მოადგენს აღმოსავლეთ-დასავლეთით ოდნავ წაგრძელებულ მართკუთხა ნაგებობას. დღეისათვის პირვანდელი სიმაღლით დაცულია პალატის მხოლოდ ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის კედლები. დანარჩენი კედლები პირველი სართულის სიმაღლემდეც კი ვეღარ აღწევენ. შემორჩენილი კედლები შესაძლებლობას გვაძლევს დავადგინოთ, რომ პალატის პირველ და მეორე სართულზე ორ-ორი ოთახი ყოფილა. პალატის კედლები რიყის დიდი ქვებითა და ნაწილობრივ აგურითაა ნაშენი. აგური უმთავრესად სარკმლების და კარის წირთხლებშია გამოყენებული (სურ. 40, 41, 42, ტაბ. 44, 47).



სურ. 41. სამთავისის პალატის განაკვეთი
Рис. 41. Самтависи — Епископский дом. Разрез
Fig. 41. Samtavisi. Bishop's dwelling house. Cross-section

დიდი ხანია, რაც აღარ არსებობს სართულთა შორის გადახურვები. ჩრდილოეთის კედელზე შემორჩენილი ხის კოჭების ბუდეების მიხედვით შესაძლებელი ხდება სართულთა სიმაღლის დადგენა. პირველი სართულის სიმაღლე 3,35 მეტრს აღწევდა, მეორე სართულისა კი — 3,2 მეტრს.

პალატის პირველი სართულის ოთახები, რომლებიც ამჟამად გალავანს ეკვრის, განლაგებული ყოფილა დასავლეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. დასავლეთის მხარის მართკუთხა ფორმის დიდი ოთახის ფართობი 55 მ²-ს უდრის, აღმოსავლეთით მდებარე მცირე ზომის ტრაპეციის ფორმის ოთახი კი 14 კვადრატული მეტრია.

პირველი სართულის მართკუთხა ფორმის დიდი ოთახის დასავლეთის კედელი, რომელიც საძირკვლამდე იყო დანგრეული, ამ ათიოდე წლის წინათ საქართველოს ძეგლთა დაცვის სამმართველოსთან არსებულ სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნოს თავიდან აუშენებია, სამხრეთის კედე-


ლი კი, რომელიც ნაწილობრივ ყოფილა დაზიანებული, პირვანდელი სახით აღუდგენიათ. სამხრეთის კედელზე, რომელიც 2,65 მ სიმაღლისაა, შიგნიდან შემორჩენილია ორი განიერი (90 სმ) პილასტრი; იგი კედელს სამ სხვადასხვა განის სიბრტყედ ანაწევრებს (დასავლეთის მხარის სიბრტყის განი უდრის 1,6 მ, შუა სიბრტყე — 2,5 მ, აღმოსავლეთის მხარისა კი 2,75 მ-ს აღწევს).

აღმოსავლეთის მხარის პილასტრი, რომელიც ნახევარწრიული ფორმის კამარით უკავშირდება კედლის კუთხის პილასტრს, გვაფიქრებინებს, რომ დანარჩენი ორი სიბრტყე ზემოთ შესაბამისი განის კამარებით ბოლოვდება. ამ ვარაუდის უფლებას ისიც გვაძლევს, რომ აღმოსავლეთის მხარის პილასტრის ზედა მარცხენა ნაწილზე შეინიშნება კამარის ქუსლი. რადგან დიდ ოთახს გარედან მთავარი შემოსასვლელი გარკვევით არც ერთი მხრიდან არ უჩანს, ამიტომ ადვილი შესაძლებელია, რომ სამხრეთის კედლის აღმოსავლეთის მხარის კამარით შემოსაზღვრული სიბრტყე თავდაპირველად ღიადს წარმოადგენდა. ჩვენს მოსაზრებებს მხარს უბამს ის ფაქტიც, რომ სწორედ აღმოსავლეთის მხარის აღნიშნულ სიბრტყეში შეინიშნება ახალი სამშენებლო ფენა და მის ცენტრში გაჭრილი მცირე ზომის სარკმელი, რომელიც თავისი ფორმით გვიანფეოდალურ ხანას მიეკუთვნება.

პირველი სართულის დიდი დარბაზის აღმოსავლეთის კედელი, რომელიც 3,5 მ სიმაღლემდეა მიღწეული, 1,55 მ სიგანისა და 3,3 მ სიმაღლის ღიადითაა გახსნილი. ღიადის ნახევარწრიული ფორმის თაღი ცალპირი აგურითაა გადაყვანილი. აღნიშნული ღიადი პალატის ქვედა სართულის დიდსა და მცირე ოთახებს შორის დამაკავშირებელ კარს წარმოადგენდა.

პალატის ნანგრევიდან შედარებით კარგადაა შემონახული ჩრდილოეთის კედელი. მართალია ამ კედელსაც მრავალი დაზიანება და აღდგენა განუცდია, მაგრამ მისი შემორჩენილი ნაწილი სრულ შესაძლებლობას გვაძლევს ორივე სართულის როგორც სიმაღლის, ისე მის ოთახთა ფორმების დადგენაში (სურ. 42).

ინტერიერში პირველი სართულის დიდი ოთახის ჩრდილოეთის კედელში 50 სმ სიღრმეზე შეჭრილია ოთხი სხვადასხვა სიმაღლისა და სიგანის თაღოვანი ნიშა. ჩრდილოეთის კედლის დასავლეთის მხარის პირველი ნიშას ქვედა ნაწილში, თითქმის იატაკის დონეზე შეინიშნება 18×30 სმ ზომის წარწერიანი ქვა. იგი კედლის წყობაში ჩართულია როგორც საშენი მასალა. წარწერა, რომელიც ათსტრიქონიანი მხედრულისაგან შედგება, სანახევროდ დაზიანებულა, რის გამოც მისი წაკითხვა და შინაარსის აღდგენა ვერ ხერხდება. ჩრდილოეთის კედელზე არსებული ნიშების თაღი რიყის ქვებითაა გადაყვანილი; დასავლეთიდან მესამე ნიშას ამოშენებულ კედელში ბუხარია გაჭრილი, რომლის საკვამური პალატის ჩრდილოეთის კედელზე მიშენებული ნახევარწრიული ფორმის კონტრფორსის სიცარიელეში გადის.



სურ. 42. სამთავისის პალატის ჩრდილოეთის ფასადი
Рис. 42. Самтависи — Епископский дом. Северный фасад
Fig. 42. Samtavisi. Bishop's dwelling house. Northern façade

პირველი სართულის აღმოსავლეთით მდებარე მეორე ოთახი, როგორც აღვნიშნეთ, 14 კვ. მეტრია და ტრაპეციის ფორმისაა. ამ ოთახს მთავარი შესასვლელი დასავლეთის მხრიდან, დიდი ზომის ოთახიდან ჰქონია. პატარა ოთახის სამხრეთის კედელში ადრე მცირე ზომის კარი ყოფილა. იგი შემდგომ ამოუშენებიათ. ამჟამად ეს ადგილი ნახევრად განგრეულია. აღმოსავლეთ კედელთან არის აგურით ნაშენი მცირე ზომის ბუხარი (60×70 სმ), ბუხრის ამგვარი სიდაბლე გვაფიქრებინებს, რომ იატაკის პირვანდელი დონე ოთახის აღდგენის პერიოდში საგრძნობლად აუმაღლებიათ.

ამ ოთახის აღმოსავლეთის კედელზე დაბლა ოთხკუთხა ფორმის ნიშაა შემორჩენილი. მის ზემოთ, ერთ ჰორიზონტალურ ხაზზე განლაგებულია ორი პატარა უთაღო სარკმელი; აქ მესამე სარკმელიც ყოფილა, რაზეც მისი ნაშთის არსებობა მიგვითითებს.

აღმოსავლეთის კედელი განმეორებით მთლიანად გვიანფეოდალურ ხანაშია აგებული, ამაზე მეტყველებს კედელში გაჭრილი სარკმლების ფორმები და სათოფურები. ამჟამად აღმოსავლეთის კედლის დიდი ნაწილი ჩრდილოეთის მხარეს შენგრეულია.

განსაკუთრებით კარგადაა შემორჩენილი ჩრდილოეთის კედელი, რომელშიც ნახევარი მეტრის სიღრმეზე შეჭრილია საკმაოდ მოზრდილი ნიშა; მისი კიდეები და ნახევარწრიული ფორმის თაღი რიყის დიდი ქვებითაა ნაშენი.

მეორე სართულის დიდ ოთახს შემორჩა მხოლოდ ჩრდილოეთის კედელი, მცირე ოთახს კი — აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის კედლები.

მიუხედავად ამისა, მაინც შესაძლებელია მეორე სართულის ოთახების როგორც ფორმისა და მოცულობის, ისე მისი შიდა სივრცის მიახლოებით დადგენა.

პირველი სართულის დიდი ოთახის ზემოთ არსებობდა ამავე ფართობის (55 მ²) დარბაზი, რომლის სიმაღლე 3,2 მ განესაზღვრეთ ჩრდილოეთის კედელზე არსებული მსხვილი კოჭების ფოსოების მეშვეობით (სურ. 41).

მეორე სართულის დასავლეთის დარბაზის ჩრდილოეთის კედელზე იატაკის დონიდან ჭერამდე 2 დიდი სარკმელი ყოფილა, რომლის კიდეები და ფრაგმენტულად მოღწეული ნახევარწრიული თაღები აგურითაა ნაშენი. ამათგან აღმოსავლეთის მხარის სარკმელი ქვა-ღორღითაა ამოშენებული, ხოლო დასავლეთის მხარის პირვანდელი მოგრძო სარკმელი გვიანფეოდალურ ხანაში გადაუკეთებიათ. დღეს იგი კვადრატული ფორმისაა.

აღნიშნულ ორ სარკმელს შორის კედლის სიღრმეში მცირე ზომის (70×150 სმ) ისრისებური თაღის მქონე ნიშაა შეჭრილი. იგი სარკმლების შუა წელიდან იწყებოდა და ჭერთან მთავრდებოდა.

ჩრდილოეთის კედელზე მეორე სართულის გადახურვისათვის განკუთვნილი სამი კოჭის ფოსოა შემორჩენილი. ამგვარი ორი ფოსოს არსებობა კედლის დანგრეულ დასავლეთ ნაწილშიც უნდა ვივარაუდოთ, ე. ი. სულ ხუთი კოჭი ყოფილა გადებული გადახურვისათვის.

მეორე სართულის მცირე ზომის ოთახიც ზუსტად იმავე მოცულობისა ყოფილა, რაც ქვემოთა სართულისაა. ამ ოთახის ჩრდილოეთის კედელი, იატაკიდან ჭერამდე საკმაოდ დიდი სარკმლით იყო გახსნილი. სარკმლის ვერტიკალური ნაპირები და ოდნავ შეისრული თაღი ორპირი აგურით ყოფილა ამოყვანილი. ამჟამად სარკმელი რიყის ქვითაა ამოშენებული. აღმოსავლეთის კედელზე, რომელიც 1/3-ზეა განგრეული, გვიანი ხანის სათოფურებისა და ერთი ნიშას გარდა სხვა არაფერია მოღწეული.

პალატის დაზიანების გამო ძნელი დასადგენია, თუ საიდან ჰქონდა მეორე სართულზე ასასვლელი კიბე. ხუროთმოძღვარი ვ. წილოსანი ვარაუდობს, რომ პალატს სამხრეთის მხრიდან გარედან მიდგმული უნდა ჰქონოდა ასასვლელი კიბე.

პალატის მეორე სართულის ზემოთ, 2 მეტრის სიმაღლის პარაპეტი იყო გარშემოვლებული, რომელიც საბრძოლო დანიშნულების ქონგურებით ბოლოვდებოდა. ამჟამად პარაპეტი შემორჩენილია მხოლოდ ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მხარეს, რომელშიც გაჭრილია სათოფურები და ნიშები.


რაც შეეხება პალატის ფასადებს, აქ თითქმის არაფერია საყურადღებო; ფასადები სრულიად სადა და სწორია, არ გააჩნია არავითარი დეკორი. პალატის შიდა ხუროთმოძღვრული ფორმები სრულიად შეეხამება ფასადების გარეთა მარტივ ფორმებს.

პალატის დათვალიერების დროს ნანგრევებში ჩვენს მიერ მიკვლეულ იქნა რამდენიმე ლურჯად მოჭიქული მრგვალი კრამიტის ნატეხი, რაც გვა-

ფიქრებინებს, რომ პალატის ორფერდიანი სახურავი, რომელიც ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხარეებზე იყო დაქანებული, მთლიანად ლურჯად მოჭიქული კრამიტით იყო გადახურული.

სამრეკლო


ტაძრის ჩრდილოეთით, გალავნის შუა წელზე მდებარეობს სამსართულიანი, აგურით ნაშენი სამრეკლო, რომელსაც ოდნავ მოგრძო, სწორკუთხა ფორმა აქვს. სამრეკლო აღმართულია თაღოვან კარიბჭეზე. ტაძრის გალავანს ამჟამად მხოლოდ სამრეკლოს ქვეშ არსებული თაღოვანი შესასვლელი გააჩნია (სურ. 43, 45, 46, ტაბ. 48).




სურ. 43. სამთავისის სამრეკლოს გეგმა
Рис. 43. Самтависи — Колокольня. План
Fig. 43. Samtavisi. Belfry. Plan


სამრეკლოში ასვლა ხერხდება აღმოსავლეთის კედელზე მიშენებული ათსაფეხურიანი აგურის კიბით. სამრეკლოში შესასვლელად კედელში თაღიანი მაღალი კარია გაჭრილი. ინტერიერი რვაწახნაგოვანი ფორმისაა, რომლის ჰერიც ნახევარსფეროთი გვირგვინდება. თითოეულ წახნაგზე ერთი სიმაღლის მჭრნე თითო ღრმა ნიშაა მოთავსებული. აქედან აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და დასავლეთის ნიშებში გასასვლელებია გაჭრილი. აღმოსავლეთის მხარის კარი ქვემოდან ამოსვლისთვისაა გათვალისწინებული, ჩრდილოეთის კარი სამრეკლოს აკავშირებს ჩრდილოეთით მიშენებულ საფორტიფიკაციო ნაგებობას. მესამე, დასავლეთის კარი კი, სამრეკლოს კედელშია დატანილი, დახვეული კიბით მეორე სართულს აკავშირებს. ამავე სართულზე სამხრეთ-დასავლეთის წახნაგის ნიშაში ბუხარია მოთავსებული. დანარჩენი ოთხი თაღოვანი ნიშა კედლის სისქეშია შეჭრილი.


სამრეკლოს მეორე სართულის კედლები, რომელიც წრიული ფორმისაა, შვიდი ღიადითაა გახსნილი. ღიადების ზემოთ არსებული თაღები ისრი-






სურ. 44. სამთავისის სამრეკლოს II და III სართულის გეგმა
Рис. 44. Самтависи — Колокольня. План II и III этажей
Fig. 44. Samtavisi. Belfry. Plan of the first and second floors





სურ. 45. სამთავისის სამრეკლოს სამხრეთის ფასადი
Рис. 45. Самтависи — Колокольня. Южный фасад
Fig. 45. Samtavisi. Belfry. Southern façade



სურ. 46. სამთავისის სამრეკლოს ჭრილი
Рис. 46. Самтависи — Колокольня. Разрез
Fig. 46. Samtavisi. Belfry. Cross-section

სებური ფორმისაა. სამრეკლოს თაღი ნახევარსფეროს წარმოადგენს, ხოლო სახურავი, რომელიც მეტად აწვეტილი ფორმისაა, შვიდი წახნაგისაგან შედგება. იგი აგურის ჰორიზონტალური წყობითაა გადახურული. სამრეკლოს მეტად მარტივი ფასადები, რომლებიც ბრტყელი ქართული აგურითაა ნაშენი, მოკლებულია ყოველგვარ დეკორატიულ სამკაულს.

მცირე ზომის დარბაზული ეკლესია

ტაძრის სამხრეთით გალავნის შუა წელზე მიშენებული მცირე ზომის დარბაზული ეკლესიის ნაშთია მოღწეული. მისი შიგნითა ფართობი 3,20×5,85 მ-ს უდრის. ძეგლის სამხრეთის კედელი ეკვრის გალავანს.

ეკლესია ნაგებია რიყისა და გათლილი ქვით. ძეგლის გარეთა სიპი ქვის პერანგი თითქოს სრულიად ჩამოშლილია და მისგან მხოლოდ კედლის გულიღაა მოღწეული. ასევე მთლიანად ჩამონგრეულია ცილინდრული თაღი, ხოლო ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის კედლები სანახევროდ დანგრეულია. ეკლესიის ინტერიერი მეტად მარტივია. კედლები სრულიად გლუვი და დაუნაწევრებელია. ინტერიერი აღმოსაელეთით არასწორი ნახევარწრიული ფორმის აბსიდით ძთავრდება. შინაგანი სივრცის გასანათებლად აღმოსავლეთის, სამხრეთისა და დასავლეთის მხარეზე გაჭრილი იყო მცირე ზომის სარკმლები. ამჟამად სამხრეთის მხარის სარკმელი გარედან გალავნის კედლითაა დაფარული. შესასვლელი ჩრდილოეთიდან ჰქონდა, ამჟამად სრულიად ჩამონგრეულია. ეკლესიის შიგნით კედლებზე შეინიშნება ოთხი ჩუქურთმის ფრაგმენტი. იგი კედლის წყობაშია ნახმარი, როგორც საშენი მასალა. ეკლესია გასაწმენდია როგორც შიგნიდან, ისე გარედან, რადგან იგი 1,5 მეტრის სიმაღლემდეა მიწით და ღორღით დაფარული.

სამთავისის ტაძრის ისტორია წერილობითი წყაროებისა და ეპიგრაფიკის მიხედვით

წერილობითი წყაროების მიხედვით ჩანს, რომ სამთავისის დღევანდელი ტაძრის ადგილას ადრეფეოდალურ ხანაში არსებობდა საეპისკოპოსო კათედრალური ეკლესია. ამ, ადრინდელი კათედრალის აგების თარიღის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა აზრია გამოთქმული. ხალხური გადმოცემით სამთავისის ეკლესია თბილისის, სიონის, წილკნის, ერთაწმინდისა და მეტეხის ტაძრებთან ერთად აუგია ვახტანგ გორგასალს [1].

„ქალმასობაში“ გიორგი ამილახვრის შეკითხვაზე, თუ რატომ ეწოდა სამთავისს ეს სახელი, იოანე ხელაშვილი ასე პასუხობს: „ვახტანგ გორგასლან, მეფემან საქართველოსმან აღაშენა ოთხნი ეკლესიანი: წილკნის, სამთავისისა, მეტეხისა, გაღმა მხარისა და რუისისა და ოდეს გაშენებს ეს ეკლესიები, მაშინ ხუროთმოძღვრებით და აღმშენებლობით უფრო აქვს სამთავისი. და უწოდა ესრეთ სამთავ ეკლესიათა, ესე სამთავისი უმჯობესიაო და მინიდგან ეწოდება სამთავისი“ [2].

ჯუანშერის ცნობით, ქართლში V საუკუნის მეორე ნახევარში თექვსმეტი საეპისკოპოსო კათედრალი ყოფილა [3], რომელთა შორისაც სამთავისი მოხსენიებული არ არის, თუმცა, აკად. ივ. ჯავახიშვილი ვახტანგ გორგასალის ისტორიის განხილვისას აღნიშნავს, რომ ჯუანშერს გამორჩენია არაერთი საეპისკოპოსო, კერძოდ: ცურტავის, რუისის, ურბნისის, წილკნისა და სამთავისის კათედრები [4].

სამთავისში ადრეულ ხანაში კათედრალის არსებობას მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ ქართველთა, სომეხთა და ალბანთა გაერთიანებულ საეკლესიო კრებაზე, რომელიც შედგა ქ. დვინს 506 წელს, სხვა ეპისკო-

---

[1] პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, თბ., 1937, გვ. 563, სოფელი მეტეხი და მისი ნაშთი, „მოგზაური“, 1902. № 9—10. გვ. 685.

[2] იოანე ხელაშვილი, „ქალმასობა“, I, გვ. 49.

[3] ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 198—199.

[4] ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, 1960, გვ. 305.

პოსთა შორის სამთავნელი ეპისკოპოსიც გარკვევით არის მოხსენიებული. აღნიშნულ კრებაზე დამსწრე ოცდასამ ქართველ ეპისკოპოსთა შორის სამთავნელი რიგით მეათეა [5].

გარდა ამისა, ქართლ-იმერეთის სინოდის კანტორის საქმეებში მითითებულია სამთავისის ძველი ეკლესიის აშენების თარიღი — 472 წელი, რომელიც პირველად გამოაქვეყნა პროფ. დ. გორდეევმა [6].

ვახუშტი სამთავისის ტაძრის შესახებ შემდეგ ცნობებს გვაწვდის: „ამის ზეით არს, რეხულას აღმოსავლეთით, სამთავისი, ეკლესია დიდი, გუნბათიანი, დიდშენიერად შენებული. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ქსნისა და ლეხურის კეობისა. ქმნული არს იგი მამათაგანისა ისიდორესაგან, და დაფლულ არს იგი მუნვე“ [7].

ვახუშტის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სამთავისი აშენებულია ერთ-ერთი 13 „ასურელ“ მამათაგანის ისიდორეს მიერ, ორი გარემოების გამო ვერ გავიზიარებთ: 1. „ეკლესია დიდი, გუმბათიანი, დიდშენიერად შენებული“ აგებულ იქნა არა ისიდორეს მიერ VI საუკუნეში, არამედ XI საუკუნის I ნახევარში; 2. სამთავისში კათედრა პირველად დაარსდა 506 წლამდე — სინოდის კანტორის ცნობის თანახმად კი 472 წლის შემდეგ. ისიდორე კი, როგორც ცნობილია აკად. კ. კეკელიძის დაკვირვებით, სამთავისში 543 წელს მოსულა სამოღვაწეოდ [8].

ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები ისიდორეს იხსენიებს ეზდერიოსის სახელით [9]. იოანე ზედაზნელის ცხოვრების წიგნების Ⴑ რედაქციაში ისიდორესა და სამთავისის სახელების შესახებ არაფერია თქმული, იქ მხოლოდ აღნიშნულია: „იგი/ნი წარვიდეს და დაემკვიდრნეს რომელიმე ჭალაკთა და რომელიმე მთათა“ [10] Ⴗ.—რედაქციაში ნათქვამია: „ჴოლო ეზდერიოს ქალაქსა სამთავისისა“... დაემკვიდრა [11], ხოლო რაც შეეხება მეტაფრასულ Ⴘ რედაქციას, აღნიშნულია შემდეგი: „სანატრელი ეზდერიოს სამთავისისა ჭალაკსა დაემკვიდრა“ [12].

იოანე ზედაზნელის ცხოვრების Ⴑ და Ⴘ რედაქციები იხსენიებს სამთავისის „ჭალაკს“, რაც მდინარე ლეხურას ნაპირზე მდებარე მცირე ტერიტორიას გულისხმობს. ხოლო Ⴗ რედაქციაში სამთავისი ქალაქად მოიხ-

---

[5] იაკობ ცურტაველი, მარტვილობა შუშანიკისა, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1938, გვ. 54.

[6] Известия ИАИ, стр. 96.

[7] ვახუშტი, დასახელებული შრომა, გვ. 72.

[8] კ. კეკელიძე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, VI, 1926, გვ. 100, 101, 102.

[9] ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები ტექსტებით, გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, 1955, გვ. 38—39.

[10] იქვე, გვ. 38 (8—9) (Ⴑ).

[11] იქვე, გვ. 38 (14—15) (Ⴗ).

[12] იქვე, გვ. 39 (8) (Ⴘ).

ნენიება. სამთავისი, როგორც ქალაქი აღნიშნული წყაროს გარდა არსადაა მოხსენიებული. ამის შესახებ არც ჩვენ შეგვიძლია რაიმეს თქმა, რადგან საკითხი ჯერჯერობით სპეციალური კვლევის საგანი არ გამხდარა.

როგორი უნდა ყოფილიყო V საუკუნის II ნახევარში აგებული სამთავისის საეპისკოპოსო საყდარი? ამის შესახებ წერილობითი ცნობები არაფერს გვაწვდიან. ამავე დროს XI საუკუნის ტაძრის კედლებზეც, გარდა მცირე ფრაგმენტისა[13], არსად შეინიშნება V საუკუნის ხუროთმოძღვრული ფორმების ნაშთები. ამდენად ძნელია მის აღნაგობა-ფორმებზე დაბეჯითებით რაიმეს თქმა.

ადრეფეოდალური ხანის ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების უმრავლესობას, საუკუნეთა მანძილზე მომხდარი მიწისძვრებისა და მტერთა შემოსევების გამო, არაერთხელ განუცდია ნგრევა და აოხრება. მშვიდობიანობის დროს კი, დაზიანებულ ეკლესია-მონასტრებს აახლებდნენ და ზოგჯერ. ეპოქის მოთხოვნილების შესაფერისად, ფორმასაც უცვლიდნენ. ხუროთმოძღვრულ ნაგებობებს აგებდნენ. მაგალითად, არაერთხელ იქნა აღდგენილი და გადაკეთებული სვეტიცხოველი, მანგლისი, ბოლნისის სიონი, ურბნისი, იშხანი, ბანა, ხახული და სხვა მრავალი. მაგრამ ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, სამთავისის ძველი საეპისკოპოსო საყდარი იმდენად ყოფილა დაზიანებული, რომ მისი განახლება შეუძლებლად მიუჩნევიათ X—XI საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწე მშენებელ-ხუროთმოძღვართ. თუმცა შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ ძველი სამთავისის საყდარი X—XI საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების წინაშე დასმულ ამოცანებს ვეღარ პასუხობდა და ამიტომ გადაწყდა ძველის უგულებელყოფა და ახლის აშენება.

X—XI საუკუნეები, როგორც ცნობილია, ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების მნიშვნელოვანი პერიოდია. ამ დროს აგებული ოშკის, ჭუთაისის, ბაგრატის, სვეტიცხოვლისა და ალავერდის ტაძრები, აშკარად გამოირჩევიან ადრეფეოდალური ხანის ძეგლებისაგან როგორც შიდა სივრცისა და გარე ფორმების გრანდიოზულობით, ისე დეკორის სიუხვითა და სინატიფით.

როგორც აკად. შ. ამირანაშვილი აღნიშნავს, ზემოთ ჩამოთვლილი კათედრალების მშენებლობის დროს „საქართველოს პოლიტიკური და სოციალური წყობილების განვითარების ახალ ეტაპზე, აღმოსავლეთ საქართველოში, სახელდობრ ქართლში, ყალიბდება ახალი სტილი ქართულ ხელოვნებაში, რომელიც განსაკუთრებული სიძლიერით გვევლინება არჩი-

---

[13] 1964 წელს ტაძრის საკურთხევლის აბსიდის სამხრეთის კალთაზე საშუალოდ 1,5 მ დონეზე ნალესობის ჩამოვარდნის შემდეგ გამოჩნდა ადრეფეოდალური ხანის ჩუქურთმის ფრაგმენტი, რომელიც XI ს-ში მშენებლობის დროს გამოუყენებიათ საშენ მასალად. ჩუქურთმის ფორმა გვაფიქრებინებს, რომ VI საუკ. II ნახ. აშენებული სამთავისის საეპისკოპოსო კათედრალი არ უნდა ყოფილიყო შემკულობის თვალსაზრისით ინტერესს მოკლებული (ტაბ. 42).

ტექტურის დარგში. ქართლი დიდი და ხანგრძლივი დუმილის შემდეგ, რომელიც გამოწვეული იყო არაბთა ბატონობით, კვლავ მოწინავე ადგილს იჭერს ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცების სფეროში. მოწინავეა ქართული კულტურის განვითარების ახალ ეტაპზე" [14].

XI საუკუნის დასაწყისში ძველი მემკვიდრეობის ბაზაზე ქართლის ხუროთმოძღვრებაში შემუშავდა ახალი მხატვრული ფორმები. გრანდიოზული სვეტიცხოვლის 1010—1029 წწ. წარმოებული მშენებლობის პარალელურად ქართლში, კერძოდ სამთავისში იქმნება შედარებით მცირე ზომის გამარტივებული გეგმის მქონე ტაძარი, რომლის ფასადები შემკულია ნატიფი ოსტატობით ნაკვეთი ჩუქურთმებით. ძეგლი, რომელიც სრულიად აკმაყოფილებდა თავისი ეპოქის ქრისტიანული იდეოლოგიის მოთხოვნილებებს, შესანიშნავი დახვეწილი ფორმებითა და ფასადების მხატვრული გადაწყვეტით XI—XIII საუკუნეებში ქართლის ხუროთმოძღვართა შემოქმედებაში წარმოადგენდა ერთ-ერთ სანიმუშოს და ნაციონალური ფორმების შთამაგონებელ წყაროს.

XI საუკუნის სამთავისის ტაძრის შესახებ ძველ ძატიანებში მნიშვნელოვანი არაფერია შემონახული. იგი მხოლოდ გვიანი ხანის სიგელ-გუჯრებშია გაკვრით რამდენჯერმე ნახსენები. აღნიშნულ ხარვეზს მნიშვნელოვნად ავსებს ტაძრის აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფასადებზე მოთავსებული ვრცელი და საინტერესო წარწერები, აგრეთვე ინტერიერში, აღმოსავლეთით არსებულ საყრდენ სვეტებზე და საკურთხევლის კონქში მოთავსებული ფრესკული წარწერები. წარწერების უმრავლესობა დღეისათვის თავმოყრილია დასავლეთის ფასადზე. როგორც ქვემოთ დავინახავთ, აქ თავდაპირველად გვიანი ხანის მხოლოდ ორი წარწერა არსებობდა, XI—XII საუკუნეების წარწერები კი გასულ საუკუნეში შეკეთების შემდეგ მოუთავსებიათ კედლის წყობაში.

სამთავისის ტაძრის აშენების ზუსტ თარიღს გვაუწყებს სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, რომელიც დასავლეთის კარს ზევით, აყვავებული ჯვრის რელიეფური გამოსახულების ზედა ვიწრო სიბრტყეზეა ამოკვეთილი. ქვის ზომაა 37×70 სმ, წარწერისა კი — 8×35 სმ. წარწერა მეტად წვრილი და დაბალი კვეთით არის შესრულებული. ასოთა ზომა საშუალოდ 1,5×1,5 სმ-ს უდრის. მიუხედავად იმისა, რომ წარწერა ხუთი მეტრის სიმაღლეზეა მოთავსებული, მისი წაკითხვა შეუიარაღებელი თვალით შეუძლებელია.

წარწერა ტაძრის ეზოში აღმოაჩინა თ. ჟორდანიამ და მანვე გამოაქვეყნა [15]. არ არის ცნობილი, თუ როდის მოათავსეს წარწერიანი ქვა

---

[14] შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961, გვ. 253—254.

[15] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, ტფ., 1892, გვ. 171.

ქედლის წყობაში. თ. ჟორდანია აღნიშნავს, რომ წარწერის ორი სტრიქონი დაზიანებულია, მაგრამ ძირითადი მაინც იკითხებაო [16].

სამწუხაროდ, დღეისათვის იგი კიდევ უფრო მეტად დაზიანებულია და ზოგიერთი ასო სრულიად აღარ ჩანს. მოგვყავს თ. ჟორდანიას მიერ წაკითხული წარწერა:



სურ. 47. სამთავისი, სამსტრიქონიანი წარწერა
Рис. 47. Самтависи — Трехстрочная надпись
Fig. 47. Samtavis'. Three-line inscription

1. .....ᲩᲐ ᲡᲨᲝ
2. .....ᲧᲘᲠᲔ ᲔᲩᲐᲩᲐᲘ ᲘᲡᲘ.... ᲘᲠᲘ
3. ᲔᲘᲖᲝ: ᲔᲭᲔᲖ: ᲮᲐᲨᲮᲘᲡ: Ს(Ი)....

პირველი სტრიქონის დასაწყისი და ბოლო გამქრალია (სურ. 47). სტრიქონის შუაში, ოდნავ მარცხნივ შემორჩა მხოლოდ ოთხი ასო ᲩᲐᲡᲨ (არსმ). თ. ჟორდანიას დროს ამ სტრიქონში რიგით მეხუთე ასო „ო“ (თ) -ც ყოფილა. თ. ჟორდანიას აღნიშნულ ასოებში „ილარიონ სამთავნელ-მან“ ამოუკითხია. სტრიქონის ამგვარად ამოკითხვისას მკვლევარი, ვფიქ-რობთ, არ შემცდარა. მეორე სტრიქონის დასაწყისი ასოები გამქრალია, მაგრამ მომდევნო ასოების მიხედვით შეიძლება მისი აღდგენა შემდეგი

[16] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, ტფ., 1892, გვ. 171.

სახით ՇՈՇՑԴՀՇ ՔՇԺՇՀԺ (აღაშენა ტაძარი). სტრიქონის დანარჩენი ასოები მეტად დაზიანებულია და თ. ჟორდანიას მიერ შენიშნული ՂՏՂ.... ՂՀՂ (ესე.... ენე) ვეღარ იკითხება. მესამე სტრიქონის პირველი ასო გამქრალია, მაგრამ მისი აღდგენა შეიძლება კონტექსტით. მესამე სტრიქონში გარკვევით იკითხება: ՔՂՖՇՇ ՔՀԽՃՇ ԽՀԿՏՇ ՏՈ[Շ]Ո (წელთა ხქლდ ქრკსა სნ[ა]ნ). სტრიქონის ბოლო ასო — ნ, უთუოდ „ამინ“-ის ბოლო ასო უნდა იყოს. დასაბამიდან ხქლდ უდრის 1030 წელს (6634—5604—1030 წელს), ხოლო ქორონიკონი სნ — იგივე წელს აღნიშნავს (250+780 უდრის 1030 წელს). ჟორდანიას მიერ პირველ სტრიქონში ამოკითხული „იღარიონ სამთავნელმან“-ს თუ სწორად მივიჩნევთ, მაშინ წარწერის შინაარსი შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

„[იღ] არ [იონ] სამთ [ავნელმან]
[აღ] აშენა ტაძარი ესე ... ენე...
[წ] ელთა: ხქლდ. ქრკსა სნ [ა] ნ“

მეორე წარწერა, რომელიც ძეგლის ისტორიისათვის საყურადღებო მასალას შეიცავს, მოთავსებულია იქვე ახლოს, 6 მეტრის სიმაღლეზე. აღნიშნული წარწერა 1848 წელს მ. ბროსეს უნახავს გალავნის შიგნით, სამთავისის ეპისკოპოსის პალატის კედელზე [17]. თუ როდის მოხვდა იგი ტაძრის დასავლეთ ფასადის წყობაში, ჩვენთვის უცნობია. ასომთავრული წარწერა ამოკვეთილია ოდნავ წაგრძელებულ სწორკუთხა ქვაზე, რომლის ნაპირები, გარდა ქვედა კიდისა, ჩუქურთმის ნაზი წნულით არის შემკული (ქვის ზომაა 30×48 სმ). წარწერა შედგება ხუთი სტრიქონისაგან. როგორც დაკვირვებიდან ჩანს, წარწერის შემსრულებელს წინასწარი გაანგარიშების გარეშე დაუწყია ასოების ამოჭრა. პირველი სტრიქონის დიდი ზომის ასოების შესრულების შემდეგ, ოსტატი დარწმუნებულა, რომ ამ ზომის ასოებით განზრახულ ტექსტს ვერ ჩატევდა ჩუქურთმით შემოფარგლულ სიბრტყეზე, ამიტომ, მან ასოთა სიდიდეს უკლო და თანაც რამდენიმე მცირე ზომის ასო დიდ ასოებთან მოხდენილად შეაწიალა, რითაც თანდათანობით გაასწორა დასაწყისში დაშვებული შეცდომა. მიუხედავად ამისა, მეხუთე სტრიქონი მაინც ვერ ეტევა განკუთვნილ ფართობზე და იგი მთლიანად ჩარჩოს ქვედა კიდეზე გადადის (სურ. 48, ტაბ. 50). წარწერა, გარდა მესამე სტრიქონისა, თავისუფლად იკითხება. მესამე სტრიქონის აღდგენას გასული საუკუნის მოგზაურ-მკვლევართა მიერ წაკითხულ წარწერასთან შეჯერებით შევეცადეთ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იგი მაშინაც დაზიანებული და ძნელი წასაკითხი ყოფილა. აღნიშნული წარწერა პირველად მ. ბროსემ ინახულა. მანვე გამოაქვეყნა იგი 1851 წელს [18]. სამწუხაროდ, მ. ბროსეს და მის კორესპონდენტს დიმიტრი მეღვინეთუხუცესისშვილს

[17] Brosset, Rapports, III, დასახელებული ნაშრომი, გვ. 5, 121—122.
[18] Brosset, Rapports, VI, დასახ. ნაშრ., გვ. 5, 122.



სურ. 48. სამთავისი, ხუთსტრიქონიანი წარწერა დასავლეთის ფასადიდან
Рис. 48. Самтависи — Пятистрочная надпись западного фасада
Fig. 48. Samtavisi. Five-line inscription of the western façade

იგი არასწორად აქვთ წაკითხული. მათ მხოლოდ ქორონიკონი „სო“ გაურჩევიათ ზუსტად.

მოგვყავს ჩვენ მიერ წაკითხული წარწერა:

1. „ქ. ხატო ღმრთაებისაო
2. ადიდე ილარიონ სამთავნელ ებ
3. ისკოპოზი ძე ვაჩე ყანჩაელისა
4. რომელმან მარანი და საწნეხელი
5. აღაშენა ქორონიკონსა სო“

„სო“ უდრის 1050 წელს.

წარწერა რამდენადმე სწორად წაუკითხავს თ. ჟორდანიას, თუმცა ვერც მას დაუღწევია თავი შეცდომებისაგან[19]. გამორჩენია მეორე-მესამე სტრიქონების საზიარო სიტყვა „ᲥᲚᲘᲡᲙᲐᲖᲔᲚ“ (ებისკოპოზი) და მესამე სტრიქონიდან სიტყვები „ძᲛ ᲕᲩᲐᲛ“ (ძე ვაჩე), ხოლო მომდევ-

[19] თ. ჟორდანია, დასახელებული ნაშრ., გვ. 201—202.

ნო სიტყვა „ყანჩაელისა“-ს ნაცვლად ამოუკითხია „ყანჩაელის ძე“. გარდა ამისა, თ. ყ ო რ დ ა ნ ი ა მეოთხე სტრიქონში ზედმეტ სიტყვას „ეკლესიას“ კითხულობს, რაც სრულიად გამორიცხულია, რადგან წარწერის ბოლო ახლაც გარკვევით იკითხება: „რომელმან მარანი და საწნეხელი აღაშენა ქორონიკონსა სო“.

ამრიგად, ზემოთ განხილული ორი წარწერიდან ნათელი ხდება, რომ სამთავისელ ეპისკოპოსს ილარიონ ვაჩეს ძე ყანჩაელს 1030 წელს აუშენებია სამთავისის ტაძარი, ხოლო 1050 წელს კათედრალისათვის განკუთვნილი მარანი და საწნეხელი.

ილარიონის სახელი შესამედ არის მოხსენიებული ძეგლის წარწერაში. ამჯერად აღმოსავლეთის ფასადის ჩუქურთმით შემკული ჯვრის მკლავებქვეშ (ტაბ. 5, 10, 51).

წარწერა მარცხნივ სამსტრიქონიანია, მარჯვნივ კი — ორიანი. იგი ამოჭრილია ცალ-ცალკე ქვაზე. წარწერის შესანიშნავად მოკაზმულ ასოებს, რომლებსაც აკად. ივანე ჯავახიშვილი „ტყუბწვეტოვანს“ უწოდებს [20], ფასადის მხატვრულ გადაწყვეტაში გარკვეული წვლილი შეაქვს. ამგვარი დამწერლობა გვხვდება ალავერდის აღმოსავლეთის ფასადზე, სვეტიცხოვლის კარიბჭეზე, დიდი გომარეთის სამების ეკლესიის კარის თავზე, მანგლისის ტაძრის ტიმპანზე, რუისის ტაძრის ფასადზე, შიომღვიმისა და ზედაზნის კანკელებზე და სხვ. სამთავისის წარწერა ჯვრის მკლავების ქვემოთ შემდეგნაირად იკითხება:

+ ⴔⴔ⁻Ⴓ ⴈⴓ⁻ⵗⵀⵑ	ⴒⵀⵏⵋ ⴗⵋⵀⵒ
ⵏⵋⴓ ⴕ⁻ⵕ ⵏⴄ⁻ⵋ ⵐ	ⵀ⁻ⵚⵀⵋⵒⵑⴄⵏ
ⴄⴒⵀⵒ	

ქარაგმების გახსნისას იგი შემდეგი შინაარსით წარმოგვიდგება:

„ქ. ხატო ღმრთაები	ძისა ვაჩე
საო შეიწყალე სული ი	ყანჩაელისი“
ლარიონის	

ილარიონ სამთავნელი დასავლეთის ფასადის ორ წარწერაში თუ თავის საქმიანობის — ტაძრის, მარანისა და საწნახლის მშენებლის როლშია წარმოდგენილი, ამ შემთხვევაში იგი სულის შეწყალების მიზნით არის მოხსენებული; როგორც ჩანს, ილარიონის სულის მოსახსენებელი წარწერა მისი გარდაცვალების შემდეგაა შესრულებული, რაც წარწერაში „შეიწყალე სული ილარიონისი“-ს არსებობით დასტურდება. თუ დავუშვებთ, რომ ილარიონს, როგორც მაღალ სასულიერო პირს სიცოცხლეშივე გაუკეთეს „სულის შეწყალების“ წარწერა — არ იქნება დამაჯერებელი, რადგან ცოცხალ ილარიონს, თუკი მას იმქვეყნიური შეწყალება სურდა წი-

[20] ივანე ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია. თბ., 1949, გვ. 125.

ნასწარ დაემკვიდრებინა, მაშინ, თანახმად ტრადიციისა, წარწერაში იტყოდნენ: „შეიწყალე და ადიდე ორთავე შინა ცხორებასა“.

რა დროს უნდა იყოს აღმოსავლეთის ფასადის წარწერა შესრულებული? ცხადია, წარწერა ილარიონის გარდაცვალების შემდეგი ხანისაა. როგორც აღვნიშნეთ, ილარიონს ტაძარი 1030 წელს აუგია, 20 წლის შემდეგ კი — მარანი და საწნახელი, ე. ი. 1050 წელსაც იგი ცოცხალი ჩანს. ამრიგად, მისი სულის მოსახსენებელი (სააღაპო წარწერა) სამთავისის ტაძრის (1030 წ.) აშენების თანადროული არ არის.

1848 წელს ბროსეს სამთავისის ტაძრის სამხრეთის მხარის მინაშენის შიგნით, შესასვლელ კართან, დაზიანებული წარწერა შეუნიშნავს[21]. წარწერის ამოკითხვა ბროსეს, როგორც თვითონ აღნიშნავს, ძალიან გაჭირვებია, რადგან მინაშენი ცუდად განათებული დახვედრია. ბროსეს მიერ შეცდომით გადმოწერილ წარწერას სათანადოდ ასწორებს თ. ჟორდანია[22], რომელსაც ასე კითხულობს „აქა მიიცვალა... (ილარიონ, ძე ვაჩე უანჩოელისა) ნაშრომი ჭელთა მისთანი და უფლისა... ვაკურთხოთ, ქკნი იყო სოვ“. როგორც ბროსესა და თ. ჟორდანიას მიხედვით ირკვევა, ილარიონი ძე ვაჩე უანჩაელისა გარდაიცვალა „ქკნსა სოვ“, რაც 1056 წ. უდრის.

აღნიშნული წარწერის მკრთალი კვალი დღესაც შეინიშნება სამხრეთის ფასადზე, ამოშენებული კარის მარჯვნივ, პილასტრზე (21×68 სმ)[23]. შემორჩენილი ასოები კარგად თავსდება XI საუკუნის I ნახევრის პალეოგრაფიულ ძეგლთა ჯგუფში და ანალოგიურია ამავე ტაძრის 1030 და 1050 წწ. წარწერებისა.

სამხრეთის ფასადის ამ ადგილას გარკვევით მოჩანს მინაშენის კვალი (ტაბ. 6, სურ. 9). როგორც ძეგლის აღწერის დროს მიმოვიხილეთ, XIX საუკუნის 50-იან წლებში ხუროთმოძღვარ რიპარდის მიერ ძეგლის რესტავრაციის დროს, მოხსნილ იქნა სამხრეთის ფასადის დაზიანებული კარიბჭე (სურ. 12).

როგორც რიპარდის მიერ 1847 წ. შესრულებული სამთავისის ტაძრის გეგმისა და ფასადების ანაზომების მიხედვით ირკვევა, სამხრეთის ფასადზე მიშენებული კარიბჭე დასავლეთის კიდიდან იწყებოდა და აღწევდა ფასადის ცენტრალური კამარის აღმოსავლეთის ღილვამდე[24]. მისი საერთო სიგანე რიპარდის ანაზომების მიხედვით, 12 მ უნდა ყოფილიყო, ხოლო

---

[21] წარწერა, როგორც ბროსეს „Voyage“-შია გამოქვეყნებული, 10-სტრიქონიანი უნდა ყოფილიყო. სტრიქონები 2—3 სიტყვისაგან შედგებოდა. წარწერა მეშვიდე სტრიქონამდე ბროსეს შრომაში წარმოდგენილია ასომთავრულით, ხოლო დანარჩენი — მხედრულით (Brosset, დასახ. ნაშრ., გვ. 4).

[22] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 162.

[23] მ. ბროსესა და თ. ჟორდანიას მიერ წაკითხული წარწერის აღდგენა-დაზუსტება დღეისათვის შეუძლებელია, რადგან პილასტრის სწორედ ეს ადგილი ათლილია და შემორჩენილი რამდენიმე ასო ამის საშუალებას ვეღარ იძლევა.

[24] ИКИАИ, V, დასახ. ნაშრ., გვ. 94, ტაბ. III.

სიგანე — 4 მ. ამრიგად, კარიბჭის გეგმა საკმაოდ დაგრძელებულ სწორკუთხედს წარმოადგენდა. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, რიპარდის ანაზომების მიხედვით შესაძლებელია მიახლოებით აღვადგინოთ სამხრეთის მხარის კარიბჭის ინტერიერის მხატვრული გადაწყვეტა. ხოლო ზოგადად წარმოვიდგინოთ მისი გარეთა მასები და ხუროთმოძღვრული ფორმები.

ტაძრის ფასადზე შემორჩენილი კარიბჭის პილასტრებიანი ლილვების კონა კაპიტელის ზემოთ, კედლის სიბრტყიდან ოდნავ გადმოწეულია, რაც იმის მაჩვენებელია, რომ კარიბჭის შიგნით ცილინდრული თაღი ოთხი პროფილირებული პილასტრით იქნებოდა დანაწევრებული. ცხადია, კარიბჭის სამხრეთის კედლის შიგნით ისეთივე ლილვების კონები იქნებოდა, როგორიც დღეს ტაძრის სამხრეთის ფასადზეა შემორჩენილი.

რიპარდის ანაზომებში სამხრეთის მხარის კარიბჭეს შესასვლელი არ უჩანს. როგორც ცნობილია, შუასაუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების წამყვან ძეგლთა კარიბჭეებს (ოშკი, მანგლისი, ბაგრატის ტაძარი, ნიკორწმინდა. სვეტიცხოველი, სამთავრო, ალავერდი და სხვ.) ტრადიციულად შესასვლელი სამხრეთის მხრიდან ჰქონდათ. თუ რიპარდის კარიბჭის ანაზომებზე შესასვლელი კარი არ არის დატანილი, ეს უთუოდ მისი დიდი დაზიანებით აიხსნება, ანდა შესაძლოა, რიპარდს კარიბჭის კარი ამოშენებული კი დახვდა ძეგლის აზომვის დროს. კარიბჭე ტაძართან ტიმპანიანი დიდი პორტალით იყო დაკავშირებული, რომელიც გასული საუკუნის შეკეთების დროს იქნა ამოშენებული. აღნიშნული კარიბჭის ინტერიერი დასავლეთ და აღმოსავლეთ მხრიდან გაჭრილი მცირე სარკმლებით ნათდებოდა.

კარიბჭის შუა შემაღლებული ადგილი გარედან ორფერდიანი სახურავით ყოფილა გადახურული. სავარაუდოა, რომ აღნიშნული ადგილი შიგნიდან ჯვრული თაღით ყოფილიყო წარმოდგენილი. გვერდით ცილინდრული თაღები კი სამხრეთის მიმართულებით ცერად დაქანებული ერთფერდიანი სახურავით იყო დახურული (სურ. 13). რიპარდის ანაზომებში არ არის აღნიშნული კარიბჭის ფასადთა შემკულობა, ამიტომ ძნელია დაბეჯითებით რაიმეს თქმა. ისე კი, რა თქმა უნდა, იგი გარედანაც ისევე იქნებოდა შემკული, როგორც ფასადზე შემორჩენილი მისი ინტერიერის ლილვების კონები და მოხდენილი ჩუქურთმებიანი კაპიტელებია[25]. ისმის კითხვა, როდის უნდა ყოფილიყო აშენებული კარიბჭე? ამ კითხვაზე პასუხს ისევე კარიბჭის შემორჩენილი დეტალები იძლევა. კარიბჭის პროფილირებული ლილვების კონები ტაძრის სამხრეთის ფასადის წყობაშია ჩართული; გარდა ამისა, კარიბჭის ჩუქურთმიანი კაპიტელები აღმოსავლეთის ფასადის კაპიტელების მსგავსია, რაც იმიხ მანიშნებელია, რომ კარიბჭე ტაძართან ერთად იქნა აშენებული. ამ მოსაზრებას გვიდასტურებს სამთავ-

[25] სამხრეთის კარიბჭის შემორჩენილი დეტალებისა და XIX ს. ანაზომების მიხედვით არჩ. გ. მურმანიშვილის მიერ შესრულებულ იქნა სამთავისის ტაძრის პერსპექტიული რეკონსტრუქცია.

ნელ ეპისკოპოს ილარიონ ვაჩეს ძე ყანჩაელის გარდაცვალების მაუწყებელი (1056 წელი) წარწერის კარიბჭეში არსებობა.

აღმოსავლეთის ფასადის. ჯვრის მკლავის ზედა მხარის, მარცხნივ შემორჩენილია ორსტრიქონიანი ისეთივე ასომთავრული წარწერა, როგორიც ჯვრის მკლავების ქვეშაა მოთავსებული. (ტაბ. 5, 10, 52). იგი შემდეგნაირად იკითხება:

ⴕ: ⴈ⁻ⵆⵒ ⵛⵒⵙ ⵖ⁻ⵚ
ⵙ ⵠⵆ ⵐⵒⵒ ⵆⵚ
„ქ. ღმერთი მის შორი
ს და იგი არ“

ტექსტის გაგრძელება, რომელიც ჯვრის მკლავის ზედა მარჯვენა მხარეზე უნდა ყოფილიყო, დღეისათვის აღარ არსებობს. ტექსტის აღდგენა შეიძლება მხოლოდ ბროსეს მიხედვით. აღნიშნულ წარწერას ბროსე პირველად დიმიტრი მეღვინეთუხუცესისშვილის კორესპონდენციით გაეცნო და მანვე გამოაქვეყნა 1851 წელს, სათანადო კომენტარებით [26]. მარჯვენა მხარის წარწერა, ბროსეს ცნობით, შესრულებული ყოფილა ორ სტრიქონად. ბროსე აღნიშნავს, რომ დიმიტრი მეღვინეთუხუცესისშვილმა ამ წარწერის პირველ სტრიქონში შემორჩენილი სამი ასო ⵆⵚⵔ (არჲ) ვერ შენიშნა, ხოლო მეორე სტრიქონის ასოებიდან ამოიკითხა ⵝⵆⵛⵒ (სამდე); ბროსე არ ეთანხმება მას მეორე სტრიქონის ამგვარ წაკითხვაში. იგი აღნიშნავს, რომ აქ წერია „სამაი“ და არა „სამდე“ და როდესაც აღადგენს დაზიანებულ წარწერას, პირველ სტრიქონში „შეიძრეს“ სახით, ხოლო მეორე სტრიქონში — „უკუნისამდე“, აქ ბროსე (მეორე სტრიქონის აღდგენის დროს) წინააღმდეგობაში ვარდება, რადგან იგი კითხულობს „სამაი“-ს. თუ ბროსეს ვარაუდი სწორია, მაშინ მისი „სამაი“ ვერ მოთავსდება აღდგენილ სიტყვაში, დ. მეღვინეთუხუცესისშვილის მიერ ამოკითხული „სამდე“ კი „უკუნისამდე“-ს დაბოლოებაა. გარდა ამისა, ბროსეს ვარაუდი უსაფუძვლოა I სტრიქონის წაკითხვაშიც, რადგან მის მიერ შენიშნული სამი ასო ⵆⵚⵔ (არჲ), არ იძლევა სიტყვა „შეიძრეს“ აღდგენის შესაძლებლობას. სამთავისის ტაძრის ჯვრის მკლავებში მოთავსებული ნაკლული წარწერის აღდგენა შესაძლებელი ხდება გიორგი მთაწმიდელის Ⴋ (გ) და ნაწილობრივ Ⴉ (ბ) რედაქციების ფსალმუნის (45,6) [27] მიხედვით, სადაც ვკითხულობთ „ღმერთი მის შორის და იგი არა შეიძრას უკუნისამდე“ [28].

ამრიგად, როგორც ჩანს, ჯვრის მკლავების მარცხენა ზედა მხარეს

---

[26] Brosset, VI, დასახ. შრომა, გვ. 3 და 121.

[27] ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, X—XIII საუკუნეთა ხელოვნების მიხედვით, გამოსცა მზექალა შანიძემ. ტექსტი I, 1960, ფსალმუნი 45 (6), გვ. 116.

[28] სამთავისის ტაძრის აღმოსავლეთის ფასადის ჯვრის მკლავების ზედა წარწერას მურავიოვი, რომელმაც ბროსეზე ადრე წლებში ინახულა ძეგლი, შემდეგნაირად თარგმნის: „Да утвердит Господ в век века“ — განამტკიცოს უფალმა უკუნისიდან უკუნისამდე.

წარწერის შემსრულებელს ორ ქვაზე ამოუკვრია „ღმერთი მის შორის და იგი არ“, ხოლო დანარჩენი — მარჯვნივ I და II სტრიქონზე გაუნაწილებია. მარჯვენა მხარის პირველი სტრიქონი იწყება მარცხენა მხრიდან გადმოტანილი (ა)-თი, შემდეგ კი ეწერებოდა „შეიძრას“, მეორე სტრიქონში კი უნდა ყოფილიყო სიტყვა „უკუნისამდე“.

თუ გავითვალისწინებთ წარწერის შემსრულებლის დიდ გემოვნებას, აქ უსათუოდ ჯვრის ზედა — მარჯვენა მხარის წარწერის ასოები, ისეთივე სიზუსტითა და მოხდენილობით იქნებოდა განლაგებული, როგორც ეს შემორჩენილ სამ წარწერაში შეინიშნება. ამდენად, შესაძლებელია, აღვადგინოთ XI საუკუნის ჯვრის ორივე მხარის წარწერა შემდეგი სახით:

„ქ.	ღმერთი მის შორი	[ა შეიძრას
ს	და იგი არ	უკუნისამდე]“

ქრონოლოგიურად განხილული წარწერები შეიცავენ XI საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე სამთავნელი ეპისკოპოსის გვარს, სახელსა და მამის სახელს. შუა საუკუნეებში ამგვარი შემთხვევა არსად გვხვდება. ქართულ ეპიგრაფიკაში ქტიტორებს, ხუროთმოძღვრებს, ოქრომჭედლებს და მხატვრებს მხოლოდ სახელით ან გვარით იხსენიებენ, იშვიათ შემთხვევაში კი სახელითა და გვარით [29].

განვიხილოთ რა ცნობები გვაქვს ყანჩაელთა ფეოდალური „სახლის“ შესახებ. წერილობითი წყაროები ყანჩაელთა გვარის შესახებ ამ მხრივ მნიშვნელოვანს არაფერს გვაუწყებს. X საუკუნის 50—60 წწ. საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის პერიოდში „მატიანე ქართლისა“ გაკვრით იხსენიებს ვინმე „მამა ყანჩაელს“, რომელიც იმავე წყაროს მიხედვით, კახი აზნაური ყოფილა [30]. ყანჩაელთა გვარის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის მეჯუდას ხეობაში მდებარე ბიეთის ეკლესიის წარწერა, რომელიც ასე იკითხება: „ქრისტე მეუფეო ყოველთაო ადიდე ერისთავთ-ერისთავი იოანე ძე ბაკუ(რ) ყანჩაელისა უფალი და პატრონი ამის წმიდისა ეკლესიისა [და]დცავ წმინდა [მრ] ემლი (sic) სმ (ე), [ი]ყ(ო)“. წარწერა უთარიღოა, მაგრამ მას პალეოგრაფიული და თვით ძეგლის ხუროთმოძღვრული ფორმების ანალიზის მიხედვით რ. მეფისაშვილი IX ს. ათარიღებს [31]. წარწერაში გარკვევითაა მოხსენებული ერისთავთ-ერისთავი იოანე ბაკურის ძე ყანჩაელი, რომელიც ბიეთის ეკლესიისა და მისი მიდამოების „უფალი და პატრონი“ ყოფილა.

---

[29] ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც ისტორიული წყარო, თბ., 1959, გვ. 10—22, ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები, 1956, გვ. 24. ქართული ხელოვნება, I, 1942, გვ. 137, საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. VI. 1931, გვ. 229—295.

[30] ქართლის ცხოვრება, 1942, გვ. 170.

[31] ქართული ხელოვნება, VI, სერია ა, 1963, გვ. 54; ა. ბაქრაძე, ს. ბოლქვაძე. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი ი. აბულაძის რედაქციით, თბ., 1953, გვ. 34—35.

ბიეთის წარწერა. სამთავისის მსგავსად, სახელის სრული ფორმითა და ტიტულატურით წარმოგვიდგენს ყანჩაელთა გვარს, როგორც ვნახეთ, ამ გვარს XI ს. ჩათვლით გაედევნება თვალი. როგორც მკვლევარნი მიიჩნევენ, ყანჩაელების გვარი აღმოცენდა ადრეფეოდალური ხანის სოფელ ყანჩაეთიდან[32], რომელიც ქსნის ხეობაში მდებარეობს. თუ ეს ასეა, მაშინ ყანჩაელთა საერისთაო მიახლოებით შეიძლება ლიახვ-მეჯუდისა და ქსნის ხეობებს შორის მოქცეულ „ქვეყნად“ წარმოვიდგინოთ. როგორც ცნობილია, სამთავისის ტაძარი აღნიშნული ტერიტორიის ცენტრშია აღმართული და საუკუნეების მანძილზე წარმოადგენდა ამავე ტერიტორიის ეკლესია-მონასტრების გამგებელ-საეპისკოპოსო კათედრალს.


ყოველივე ამის შემდეგ გავარკვიოთ, ვინ იყო სამთავისის ტაძრის ხუროთმოძღვარი? ამ კითხვაზე ზემოთ მოყვანილი წარწერები ამომწურავ პასუხს ვერ იძლევა, რადგან სამთავნელი ეპისკოპოსი ილარიონი თავის პროფესიის შესახებ ხელმოსაკიდს არაფერს ამბობს. პირიქით, სამთავისის წარწერების მიხედვით იგი მხოლოდ ქტიტორის როლში გვევლინება. მაგრამ ილარიონი რომ ნამდვილად მოძღვარია და არა მშენებლობის შემკვეთელი-ქტიტორი, ეს სრულიად ცხადი გახდება აშურიანის ეკლესიის ხუროთმოძღვრებისა და მისი ორი ვრცელი წარწერის განხილვის შემდეგ.

აშურიანის ეკლესია მდებარეობს ქ. კასპის დასავლეთით, 10 კმ დაშორებით, ე. წ. „თეთრახევის უდაბნოში“, რომელიც ჩრდილოეთიდან მთის შვეული კალთით არის განსაზღვრული. ამ კალთაში, საკმაო სიმაღლეზე გამოკვეთილია მრავალი გამოქვაბული, რომელთა არსებობა ამ მყუდრო და მივარდნილ ადგილას ძველად მონასტრის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს. თვით ეკლესია, რომელიც ამჟამად ძლიერ დაზიანებულია, მცირე ზომის, დარბაზული ტიპის ნაგებობას წარმოადგენს (სურ. 49, 50, 51). აღნიშნული დარბაზი აღმოსავლეთით ნახევარწრიული საკურთხევლის აბსიდით მთავრდება, სადაც სარკმლის ორსავე მხარეს თითო ღრმა, კვადრატული ფორმის თახჩაა დატანებული (სურ. 50). ეკლესიის მარტივი ინტერიერის გასანათებლად აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებში მცირე ზომის ვიწრო სარკმლებია გაჭრილი. ჩვენამდე არ მოუღწევია ნახევარწრიულ თაღზე დამყარებულ ორფერდა სახურავს.


გარედან შენობა სრულიად სადაა, ყოველგვარი დეკორისა და შვერილების გარეშე (სურ. 51). ასევე მარტივი სახისაა ეკლესიის ინტერიერიც. ეკლესია ნაგებია ადგილობრივი საშენი მასალით — სხვადასხვა ფორმისა და ზომის უხეშად დამუშავებული ქვებით. ალაგ-ალაგ მოჩანს კვადრატული ფორმის ბრტყელი აგურის წყობა. აგური განსაკუთრებით ხშირად გამოყენებულია სამხრეთის მინაშენის ზევითა ნაწილში, ხოლო კონსტრუქ-

---

[32] აღნიშნულ საკითხზე აზრი გამოთქმული აქვთ თავიანთ შრომებში მ. ბ რ ო ს ე ს, ა. ხ ახ ან აშ ვ ი ლ ს, დ. ბ აქ რ აძ ე ს და თ. ე ო რ დ ან ი ას. იხ. აგრეთვე: ნ. შ ო შ ი აშ ვ ი ლ ი, მასალები ფეოდალურ საგვარეულოთა ისტორიისათვის საქართველოში (XI—XV სს.) ხელნაწერების სახით.




სურ. 49. აშურიანის ეკლესიის გეგმა
Рис. 49. Ашуриани — План церкви
Fig. 49. Ashuriani. Plan of the Church



სურ. 50. აშერიანის ეკლესიის განივკვეთი; ხედი აღმოსავლეთით
Рис. 50. Ашуриани — Продольный разрез на восток
Fig. 50. Ashuriani. Longitudinal cross-section. View from west to east

ცილად მნიშვნელოვან ადგილებში — აბსიდის კუთხეებთან, კარ-სარკმლებთან და შენობის ოთხივე კუთხის წიბოებთან ნახმარია შედარებით დიდი ზომის და შედარებით სუფთად გათლილი ქვები.

აშურიანის ეკლესიის შესახებ ქართულ წერილობით წყაროებში ცნობები არ მოგვეპოვება. მოკლე ცნობას ძეგლის მდებარეობის შესახებ



სურ. 51. აშურიანის ეკლესიის სამხრეთის ფასადი
Рис. 51. Ашуриани — Южный фасад
Fig. 51. Ashuriani. Southern façade

ვხვდებით ვახუშტი ბატონიშვილთან:

„კლდენი მაღალნი და ქვაბნი გამოკვეთილნი
მრავალნი. კლდენი ესე აშურიანამდე, ვითარცა
სარკინეთისა, მერმე თირი“..
„კვალად ქასპის დასავლით მინდორი მტკვარსა
და კვერნაქს შუა არს აშურიანი, უწყლობით
უნაყოფო, უფლისციხემდე, არამედ ზამთარს ბალახიანი
და იზრდების ცხოვართა, რემათა და მროწლეთა
სიმრავლე და თბილი ზამთარი“ [33].

პირველი მოგზაური და მკვლევარი ქართლის ამ მხარეში დიმიტრი მეღვინეთუხუცესისშვილია. მან ძეგლის შესწავლის მიზნით გასული საუკუნის 40-იან წლებში ინახულა აშურიანის ეკლესია და მის კედლებზე არსებული ორი ფრიად საყურადღებო წარწერა ჩაიწერა. ამ ძეგლის შესახებ ყოველგვარი მასალა მას აკადემიკოს მარი ბროსესათვის გადაუცია, რომელსაც შემდეგ, 1849 წელს გამოცემულ „Voyage“-ში გამოუქვეყნებია [34].

ბროსეს ზემოხსენებული ნაშრომი აშურიანის ეკლესიის შესახებ ბევრ შეცდომას შეიცავს. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას ძეგლის ეპიგრაფიკულ მხარეზე.

ბროსეს შემდეგ დიდმა ხანმა განვლო, სანამ აშურიანის ეკლესიით და

---

[33] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 72—73.

[34] M. B r o s s e t, Rapports sur un Voyage..., 1849 გვ. 125—127.

მისი წარწერებით ვინმე დაინტერესდებოდა. 1875 წელს დიმიტრი ბაქრაძემ აშურიანის შესახებ გაიმეორა ბროსეს მიერ ადრე გამოთქმული აზრი [35].

ამ ძეგლს შეეხო თ. ჟორდანიაც. მას აშურიანის წარწერების მოკლე შინაარსი მოაქვს იქ, სადაც სამთავისის ტაძრის დამათარიღებელ ეპიგრაფიკულ მონაცემებზე აქვს საუბარი [36].

სხვა ცნობები სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ძეგლის შესახებ არ არსებობს. ამრიგად, გასული საუკუნის მოგზაურნი და მკვლევარნი, რომლებიც აშურიანის ეკლესიაზე წერდნენ, ორიოდე სიტყვით იხსენიებდნენ მხოლოდ მის კედლებზე არსებულ წარწერებს, ხოლო რა ადგილი ეკავა ამ ძეგლს ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ისტორიაში და ძეგლის წარწერებში მოხსენიებულ ილარიონ ვაჩეს ძე ყანჩაელის ვინაობის საკითხებს, ყოველთვის გვერდს უვლიდნენ.

უნდა შევნიშნოთ, რომ აშურიანის ეკლესიამ თავისი საინტერესო წარწერებით ვერც ჩვენი ეპოქის მეცნიერ-მკვლევართა შორის პოვა სათანადო ყურადღება, ხოლო ძეგლთა დაცვის კომიტეტს, რომელმაც მრავალი ძეგლი გადაარჩინა დაღუპვისაგან, აშურიანის ეკლესია, უბრალოდ, აღრიცხვაზეც კი არა ჰქონია აყვანილი.

თუ აშურიანის ეკლესიის შესახებ ლიტერატურა უმნიშვნელო და ღარიბია, სამაგიეროდ მისი ლაპიდარული წარწერები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მათი საშუალებით ადვილი დასადგენი ხდება არა მარტო ძეგლის შექმნის ზუსტი თარიღი, არამედ თვით ამ ძეგლის ხუროთმოძღვარის და ქტიტორის ვინაობა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გასული საუკუნიდან დღემდის აშურიანი თავისი ორი წარწერითაა ცნობილი. ორივე წარწერა თანაბარი ყურადღების ღირსია. სამწუხაროდ, ამჟამად ძეგლის კედლებზე არც ერთი წარწერა არ არსებობს.

დიმიტრი მეღვინეთუხუცესისშვილის მოგზაურობის დროს (გასული საუკუნის ორმოციანი წლები) ძეგლს ორივე წარწერა გააჩნდა, რომელთაგან ერთი აღმოსავლეთის, ხოლო მეორე სამხრეთის ფასადზე იყო მოთავსებული.

ზოგადი დაკვირვებებითა და გადმოცემებით ირკვევა, რომ ეს წარწერები ძეგლს 1936 წლამდე გააჩნდა. საფიქრებელია, დაზიანებული ძეგლი 1940 წელს მომხდარი მიწისძვრის დროს კიდევ უფრო დაინგრა და ამ დროს ჩამოვარდა კედლის მასივიდან წარწერიანი ქვები. არსებული წარწერა უკვალოდ გამქრალა, შესაძლებელია იგი ნგრევის დროს ნანგრევების ქვეშ მოექცა. ამდენად აშურიანის ძეგლი მოითხოვს აუცილებელ გაწმენდას იმ ნანგრევებისა და კლდის ჩამონაშალისაგან, რომელიც ფარავს და

---

[35] Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, кн. I, 1875 г., стр. 38.

[36] თ. ჟორდანია, ქრონიკები, წიგნი I, 1892, გვ. 171.

ამახინჯებს მას. სამხრეთის მინაშენის კედელში ჩატანებული წარწერა კასპის სტამბის მუშას ზაქარია იაკობის ძე გასტაშვილს ექსკურსიაზე ყოფნის დროს 1941 წელს ზაფხულის თვეებში უნახავს კედლიდან ძირს ჩამოვარდნილი, რომელიც შემდეგ მასვე 1942 წელს 7 ოქტომბერს გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მიუტანია. მეორე წარწერა კი, რომელიც ადრე აღმოსავლეთ ფასადის სარკმლის ზემოთ იყო მოთავსებული, ჩვენს მიერ იქნა შეკვლეული [37].

განვიხილოთ თითოეული მათგანი. აღმოსავლეთის ფასადის წარწერიან ქვას დღეისათვის 1/4 ნაწილი აკლია (ეს ნაწილი უთუოდ ძეგლის ტერიტორიაზე უნდა დაიძებნოს). სახეზე მყოფი წარწერიანი ქვა 6 ნატეხისაგან შედგება, 3 დიდი და 3 პატარა (სურ. 52, ტაბ. 53). წარწერიანი ქვის სირბილის გამო (მწვანე ფერის კირქვა) ბევრ ადგილას ასოები გამქრალია. მიუხედავად ამისა, წარწერის წაკითხვა მაინც დ. მეღვინეთუხუცესისშვილის მიერ წაკითხული ტექსტის მოშველიებით ხერხდება. წარწერა ათსტრიქონიანია, სტრიქონები ზუსტ და მკრთალ ხაზებს გაჰყვება და ქარაგმების გახსნისა და აღდგენის შემდეგ ასე იკითხება:

1. „ქ. სახელითა ღმრთისაჲთა მე ილა-
2. რიონ სამთავნელმან ძემან ვაჩე ყანჩაელ-
3. ისამან აღვაშენე წმიდა ესე ეკლესია
4. საყოფელად წმიდისა ნათლისმცემლისა ბ-
5. რძანებითა და ფასისა მიღებითა სულკუ-
6. რთხეულისა მამისა ჩემისა ქორონიკო-
7. ნსა სნბ. ვინ რაჲთაცა მიზ-
8. ეზითა ესე უდაბნოჲ წმიდისა საყდრისა
9. სამთავისისა ამოკუას კრულია სიტყვითა
10. ღმრთისაჲთა“ [38].


აღნიშნულ წარწერაში სიტყვა „სამთავისისა“-ს ამოკითხვამ მნიშვნელოვანი საკითხები გაარკვია. კერძოდ, წარწერაში ნახსენები „საყდარი“ გარკვევით სამთავისის კათედრალზე მიუთითებს და არა აშურიანის ეკლესიაზე. ადრე წარწერის მიხედვით აშურიანის ეკლესია უნებურად საყდრად ითვლებოდა, რაზედაც პროფ. ე. ბერიძემ თავის დროზე ეჭვი გამოთქვა [39].

---

[37] 1962 წელს 30 ნოემბერს აშურიანის ეკლესიის ეზოში ერთდღიანი დაზვერვითი ხასიათის გათხრა ვაწარმოეთ, რომელშიც მონაწილეობდნენ კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი გ. ხორგუაშვილი, ამავე მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი შ. თანდაშვილი და კასპის საშუალო სკოლის მოსწავლეები. გათხრის შემდეგ აღმოჩენილ იქნა წარწერიანი ქვის ნატეხები, რომლებიც ამჟამად ინახება კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

[38] დ. მეღვინეთუხუცესისშვილის წანაკითხში გამორჩენილია V სტრიქონში „და“, IX სტრიქონში „სამთავისისა“. იხ. Brosset, დასახ. ნაშრ., გვ. 126.

[39] ე. ბერიძე, სავანე; ქართული ხელოვნება, I, 1942, გვ. 91.



სურ. 52. აშურიანის ტაძრის საქტიტორო წარწერა
Рис. 52. Ашуриани — Ктиторская надпись
Fig. 52. Ashuriani. Donor's inscription

წარწერაში სიტყვა „სამთავისისა“-ს წაკითხვამ დაადგინა, რომ აშურიანის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის შემოგარენი სამთავისის საყდრის პირადი საკუთრება ყოფილა, მის ხელშეუხებლობაზე ილარიონ სამთავნელი აცხადებს: „ვინ რაჲთაცა მიზეზითა ესე უდაბნოჲ წმიდისა საყდრისა სამთავისისა ამოკუას კრულია სიტყვათა ღმრთისაჲთა“.

წარწერის ქრონიკონი დაღუპულია. მისი თარიღია ჩვენს მიერ წაკითხულ ტექსტში დ. მეღვინეთუხუცესისშვილის წანაკითხით — „ქრონიკონსა სნბ“, რაც 1032 წ. უდრის [40].

წარწერაში აღნიშნულია, რომ „მე ილარიონ სამთავნელმან ძემან ვაჩე უანჩაელისამან აღვაშენე წმიდა ესე ეკლესია... ბრძანებითა და ფასისა მიღებითა სულკურთხეულისა მამისა ჩემისა...“; ცხადია, აქ ვაჩე უანჩაელი გვეელინება, როგორც მშენებლობის შემკვეთი და დამფინანსებელი, ილარიონი კი — მამის ბრძანების აღმასრულებელი, ე. ი. ეკლესიის მშენებელი.


გორის მუზეუმში მიცლინების დროს გაეცანი აშურიანის ეკლესიის ამ წარწერას. წარწერიანი ქვის სიგრძეა 67 სმ, სიგანე 29 სმ, ხოლო სისქე — 9.5 სმ. ზედ ამოკვეთილია ლამაზი ასომთავრული ქართული ასოები 14 სტრიქონად (სურ. 53, ტაბ. 54).

მიუხედავად იმისა, რომ ქვა სამი ნატეხისაგან შედგება და ბევრ ადგილას ასოები სრულიად აღარ იკითხება, მაინც მოსახერხებელი გახდა მისი შინაარსის აღდგენა:

„ქრისტე ადიდე შენ მ-
იერ დამყარებული
უძლეველი ბაგრატ კურაპა-
ლატი რამეთუ მათსა ზე ა-
ღეშენა წმიდაჲ ესე ეკლე-
სიაჲ უდაბნოჲსა სახლ-
ი წმიდისა ნათლისმცემლისა-
ჲ სალოცველად მეფობი-
სა მათისა კელითა
ჩემ გლახაკისა ილა-
რიონ სამთავნელ ებისკო
პოზისა ძისა ვაჩე
უანჩაელისა (შეიწყალე)
ღმერთო“.

ეს წარწერა ბროსეს „Voyage“-ში შემდეგნაირად იკითხება: „ქრისტე ადიდე შენ მიერ დამყარებული უძლეველი ბაგრატ კურატ პალატი, რომლის ა თ ს ა (sic) ზე აღეშენა (sic) წმიდა ესე ეკლესია (სა) ხ (ლი) წმი-

[40] Brosset, VI, დასახ. შრომა, გვ. 126.



სურ. 53. აშურიანის ტაძრის საქტიტორო წარწერა
Рис. 53. Ашурнаш — Ктиторская надпись
Fig. 53. Ashurianl. Donor's inscription

დისა ნათლისმცემლისა, სალოცველად მეფობისა მათისა, ხელითა ვემ (sic, les. ჩემ) გლახაკისა ილარიონ სამთავნელისა.

ძისა ვაჩე ყანჩაელისა".

როგორც ვხედავთ, მ. ბროსეს წაკითხვაში დაშვებული უზუსტობანი წარწერის შინაარსს ფაქტიურად არ ცვლის.

წარწერაში ნათქვამია, რომ სამთავნელ ეპისკოპოსს — ილარიონს აშურიანის ველის ჩრდილოეთით მდებარე „უდაბნოში" აუშენებია ნათლისმცემლის ეკლესია ბაგრატ კურაპალატის დროს. წარწერაში მოხსენებულია მეფე ბაგრატ IV (1027—1072 წწ.), რომელიც კურაპალატის ტიტულს 1030 წლიდან ატარებდა. გარდა ამისა, წარწერა სამთავნელის საქმიანობაზე შემდეგს გვატყობინებს: „აღეშენა წმინდა ესე ეკლესია... ჭელითა ჩემ გლახაკისა ილარიონ სამთავნელ ეპისკოპოზისა ძისა ვაჩე ყანჩაელისა"... ამ შემთხვევაში „ჭელი", რა თქმა უნდა, უშუალოდ ილარიონის ხელობა-საქმიანობის მანიშნებელია. ილარიონ სამთავნელი რომ ხუროთმოძღვარია, ამას 1056 წ. წარწერაც ადასტურებს „...ნაშრომი ჭელითა მისთანი და უფლისა ვაკურთხოთ ქნი იყო სოვ".

XI საუკუნეში სამთავისის ტაძრის ხუროთმოძღვრის ვინაობის დადგენის საკითხს შეეხნენ აკად. შ. ამირანაშვილი [41] და ვ. ბერიძე [42]. მანამდე კი სამთავნელი ეპისკოპოსი — ილარიონ ვაჩეს ძე ყანჩაელი ქტიტორად იყო მიჩნეული.

შუა საუკუნეებში სასულიერო პირები რომ სამშენებლო ხელოვნებას კარგად იცნობდნენ, ეს დასტურდება წერილობითი წყაროებით და ეპიგრაფიკული ძეგლებით. მაგალითად: ზარზმაში პირველი ეკლესიის მშენებლის—გარბანელის შესახებ მემატიანე აღნიშნავს: „იყვნეს ხუროთმოძღუარ და ზედამდგომელ საქმისა მის გარბანელი" [43], სერაპიონ ზარზმელი იყო „სხუათაევე თანა სათნოებათა თანამეცნიერ და ფრიად შემკულ წესითა ხუროობისაჲთა" [44]. ზარზმაში მეორე ეკლესიის მშენებლობა რომ გადაწყდა, წინამძღვარმა მიქელმა „ჭელოვნებითა განთქმულსა კაცსა მოუწოდა... რომელსა თანაშემწედ აქუნდა გალატოზი სახელით შუარტყელი და ორნივე იყვნეს მოძღუარ და მასწავლებელ სიმრავლესა მუშაჲთასა" [45].

მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ეპიგრაფიკული ძეგლები სასულიერო პირთა ხუროთმოძღვარობის შესახებ. მაგალითად, X ს. ოშკის ტაძრის წარწერაში გრიგოლ ოშკელზე, რომელიც სასულიერო პირი იყო, ნათქვამია:

---

[41] შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 254.

[42] ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრები, თბ., 1956. გვ. 39; მისივე. ძველი ქართული ოსტატები. თბ.. 1967. გვ. 119—120.

[43] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე. თბ., 1954, გვ. 328.

[44] იქვე, გვ. 340—341.

[45] ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა. კ. კეკელიძის რედაქციით და გამოკვლევით, თბ., 1935, გვ. 179.

„მე გრიგოლ ღირსმყო ღმერთმან... და მე ვიყავ საქმესა ზედამდგომი“ [46]. X ს. დოლისყანის ტაძრის წარწერაში აღნიშნულია „შეიქმნეს კელითა გაბრიელ დიაკვანისაჲთა“ [47]. X ს. დიდი გომარეთის ღვთისმშობლის ეკლესიის მშენებელია მიქელ გაღატოზი [48], ხოლო სოფელ იმერაში (წალკის რაიონი) ოსტატი გიორგი ხუცი XI ს. აშენებს ეკლესიას [49].

მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლებოდა, მაგრამ ზემოთ თქმულიც საკმარისია იმის წარმოსადგენად, რომ XI ს. სამთავნელი ეპისკოპოსი ილარიონი ხუროთმოძღვარია, რაც ეჭვს არ იწვევს. ჩამოთვლილი პარალელური მასალა აშკარად მიუთითებს, რომ ეპისკოპოსი ილარიონ ვაჩეს ძე ყანჩაელი სამთავისის ტაძრისა და აშურიანის ეკლესიის ხუროთმოძღვარია.

სამთავისის ტაძრის ფასადებზე, გარდა XI ს. წარწერებისა, შემორჩენილია შედარებით გვიანი ხანის ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებიც მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან სამთავისის ტაძრის ისტორიის შესახებ. დასავლეთის ფასადზე კარს ზემოთ [50] შვიდსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა მოთავსებული (ტაბ. 55), რომელიც შემდეგნაირად იკითხება:

ⴠ: ⴋⴒⵁ: ⴈⵆⴿⵏⵁ: ⵛⵆⵚ: ⵖⵔ: ⵒ
ⵆⵒ⁻ⵇⵀⴿⵚⵄ ⵀ⁻ ⵆⵛ ⵁⵀ⁻ⵅⵚⵄ ⴈ⁻ⵆ ⵛⵇ
ⵛⵇⵔⵏⵔⵄ: ⵇ⁻ⵏⵏ ⵛⴈⵒⵏⵅⵚⵁⵆⵏⵏ: ⵒⵒ⁻ⵆ ⵒⵒ⁻ⵚ ⵛ⁻ⵆ
ⵒⵚ:. ⵊⵔ⁻ⵆ: ⵏⵒ. ⵔ: ⵒ[ⵒ]⁻ⵇⵊⵏ: ⵒⵆ⁻ⵏⵒⵔ: ⵛⴈⵅ⁻ⵖⵔ
ⵃⵀ⁻ⵏⵇⵋⵚ: ⵚⵏⵚ: ⵏⵜⵛⵅⵚⵁⵆ: ⵒⵒ⁻ⵇⵊⵏ: ⵒⵆ⁻ⵏⵚ:
[ⵊⵔ]ⵆⵃ⁻ⵈⵔⵏⵛ: ⵒⵒ⁻ⵇⵊⵏⵛ: ⵒⵆ⁻ⵚⵏⵏⵛ: ⵛⵇ:
ⵜⵃⵔⵚ: ⵛⵇⵁ: ⵈ: ⵓ: ⵅ:

„ქ. ხატო: ღმრთაებისაო: ადიდე: შენ: მიერ
დამყარებული ძლიერი და უძლეველი ღმრთივ გჳრგჳნოსანი: ყოვლისა: აღმოსავლეთისა მეფეთ მეფე: გიორგი
მე: იოანე: სამთავნელმან: მეფობისა მათისამან აღვაშენე
კარისბჭე: ესე: სალოცველად: მეფობისა მათისა:
ინდიკტიონსა: მეფობისა: მათისასა: ⵑⵜ:
ქორონიკონი: იყო: ტპⵆ“ [51].

წარწერა იუწყება, რომ საქართველოს მეფის გიორგი III მეფობის დროს, იოანე სამთავნელი 1168 წელს, ტაძარს კარიბჭეს უშენებს. ეს წარ-

---

[46] ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960, გვ. 48.

[47] პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 358—360.

[48] Е. Такаишвили, Археолог. экскурсии разыскания и заметки, IV, Тб., 1913, стр. 60.

[49] იქვე, გვ. 12—13.

[50] წარწერა დასავლეთის კედელში XIX ს. 50-იანი წლების რესტავრაციის დროსაა ჩასმული.

[51] წარწერას პირველად მ. ბროსე გაეცნო, რომელიც ცდებოდა როგორც წაკითხვაში, ისე მისი თარიღის დადგენაში (იხ. Brosset, დასახ. ნაშრ., გვ. 121—125).

წერა, გარდა კარიბჭის მშენებლობის თარიღის დადგენისა, აზუსტებს გიორგი III გამეფების წელს (1156)[52]. 1168 წ. მიშენებული კარიბჭე დღეისათვის აღარ არსებობს.

გასული საუკუნის შეკეთებამდე დასავლეთის ფასადზე მინაშენის ნაშთი იყო შემორჩენილი, რომელიც ხუროთმოძღვარ რიპარდის მითითებით სარესტავრაციო სამუშაოების დროს მოუხსნიათ[53]. იგი, რიპარდის ანაზომების მიხედვით, სამი სათავსოსაგან შედგებოდა[54]. მინაშენის შუა ნაწილი ტაძრის ფასადის ცენტრში გაჭრილ კარზე იყო მიდგმული. ჩრდილოეთის მხარის სათავსში მცირე ზომის დარბაზული ეკლესია არსებობდა, რომელშიც მოხვედრა მხოლოდ კარიბჭიდან ხერხდებოდა (სურ. 12). ეკლესია სრულიად სადა და მარტივი ფორმისა ყოფილა, რომელსაც აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდი გააჩნდა. ინტერიერის გასანათებლად ჩრდილოეთით გაჭრილი მცირე სარკმელი ჰქონდა. მინაშენის სამხრეთი სათავსი იმ დროისათვის იმდენად ყოფილა დაზიანებული, რომ კარ-სარკმელიც კი არ ჩანს რიპარდის ანაზომებში. დასავლეთის მხარის სამსათავსიანი მინაშენი ორფერდიანი გადახურვის ქვეშ უხდა ყოფილიყო მოქცეული. ზემოთ მოყვანილი 1168 წ. წარწერა, რიპარდის ანაზომებს თუ დავუჯერებთ, თავდაპირველად მინაშენის ფასადის ფრონტონში იქნებოდა ჩასმული.

როგორც აღვნიშნეთ, IX—XI საუკუნეებში ქსნის ხეობიდან მეჯუდალიახვის ხეობამდე არსებულ მიწა-წყალს ერისთავთ-ერისთავი ყანჩაელები განაგებდნენ. შემდეგ ხანაში, კერძოდ, XI საუკუნის I ნახევრიდან XII საუკუნის მეორე ნახევრამდე სამთავისისა და მის სამწყსოში შემავალ ადგილ-მამულის გამგებელთა ვინაობა დაუდგენელი რჩება, რადგან ძეგლის რიპარდისეულ წარწერებსა და ძველ ქართულ წერილობით წყაროებს ამის შესახებ არაფერი შემოუნახავს.

XII საუკუნის ისტორიკოსის, ბასილ ეზოსმოძღვარის ცნობით, სამთავისი XII საუკუნის 70-იან წლებში ეკუთვნოდა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს ანტონ გლონისთავის ძეს[55]. შემდეგ პატივმოყვარე და დიდგვაროვანმა აზნაურმა მიქაელ მირიანის ძემ 1178 წელს წაართვა ანტონ გლონისთავის ძეს სახელი (ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა) და სამთავისი; მემატიანის ცნობით, მიქაელ კათალიკოსის გარდაცვალების (1168 წ.)[56] შემდეგ, თამარ მეფემ გარეჯის მონასტრიდან გამოიწვია ანტონ გლონისთავის ძე, დაუბრუნა მიქაელ კათალიკოსის მიერ მიტა-

---

[52] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თბ., 1965, გვ. 227.
[53] Известия КИАИ, დასახ. ნაშრ., გვ. 104.
[54] იქვე, ტაბ. III.
[55] ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 122.
[56] დასახ. შრ., II, 1959, გვ. 673.

ცებული ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა, უბოძა ჰყონდიდი, სამთავისი და კისისხევი[57].

როგორც ცნობილია, ვაზირთა უპირველესს ანტონ გლონისთავის ძეს თამარ მეფის მიერ ბოძებული ადგილების გარდა, ხელი მიუწვდებოდა ძამას ხეობაზეც, რაც დასტურდება აღნიშნულ ხეობაში მდებარე ყინცვისის ჯვარგუმბათოვან ტაძარში მისი საქტიტორო ხასიათის პორტრეტის არსებობით[58].

ბასილ ეზოსმოძღვარის ცნობა იმის შესახებ, რომ სამთავისი ებოძა ჯერ მიქაელ მირიანის ძეს, ხოლო შემდეგ ანტონ გლონისთავის ძეს, მარტო ეკლესიის ან სოფელ სამთავისის გადაცემა-ჩუქებას როდი უნდა ნიშნავდეს.

აქ ნაგულისხმევი უნდა იყოს სამთავისის ეპისკოპოსის სამწყსოში შემავალი ტერიტორია, ქსნის ხეობიდან მეჯუდა-ლიახვის ხეობამდე.

XIII საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ საქართველომ, განსაკუთრებით კი ქართლმა მონღოლთა გამანადგურებელი შემოსევები განიცადა, რამაც გამოიწვია ქვეყნის აოხრება; მტრის მიერ გადაბუგულ იქნა დოვლათით სავსე სოფლები. ბრძოლის ქარ-ცეცხლს გადარჩენილი მოსახლეობა ხეობებსა და მთას აფარებდა თავს. დიდი ხნით დადუმდა კულტურისა და მეცნიერების დიდებული კერები, აკადემიები, სავანეები და ეკლესია-მონასტრები. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას, რომ XIII საუკუნის 20-იანი წლებიდან XIV საუკუნის 30-იან წლებამდე სამთავისსა და მის მიდამოებს ბატონ-პატრონი არ უჩანს.

შიდა ქართლის აღნიშნული კუთხე, მხოლოდ გიორგი ბრწყინვალის[59] მეფობის (1314—1346 წწ.) დროს ებოძათ ზევდგენიძე-ამილახვრებს. ამილახორთა წარმოშობისა[60] და მის სათავადოსთან დაკავშირებული საკითხები მრავალ მკვლევარს აქვს გაშუქებული[61]. მათი გამოკვლევით ცნობილია, რომ XV საუკუნეში იწყება ზევდგენიძე-ამილახორების გაძლიერება და

---

[57] ქართლის ცხოვრება. II, თბ., 1959, გვ. 677

[58] შ. ამირანაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1961. გვ. 367, კ. ეკიაშვილი, ყინცვისის მშენებლობის გამოსახულების შესახებ. სსსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XXXI. № 3. 1963, გვ. 745—751.


[59] ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV ს., მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. I. 1937, გვ. 35.

[60] როგორც პროფ. დ. გვრიტიშვილი აღნიშნავს, „ზევდგენიძეებმა გვარი თანდათან დაივიწყეს, XV—XVI სს. ისინი ზევდგენიძე-ამილახორებად იწოდებოდნენ, ხოლო XVII საუკუნიდან — ამილახორებად“ (დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქ. სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 1955, გვ. 385). ამილახორი იყო ამირსპასალარის (სამხედრო ეზბირი) თანაშემწე (ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია. ქუთაისი, 1919. გვ. 154—158).

[61] მ. ქიქოძე. საამილახოს ისტორიიდან XV—XVIII სს., თბ., 1952 (საკანდიდატო დისერტაცია). ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 3—57. დ. გვრიტიშვილი, დასახ. შრ., გვ. 109—120.

ისინი ქართლის დიდ ფეოდალებად რჩებიან XVIII საუკუნემდე. ამ პერიოდში ამილახორები ხშირად სამეფო და საეკლესიო დიდ მოხელეებად გვევლინებიან. მათ რეზიდენციას სოფელ ქვემო ჭალის მახლობლად მდებარე სხვილოს ციხე-სიმაგრე წარმოადგენდა.

XV საუკუნიდან სამთავისის კათედრალური ტაძარი ამილახორების კარის ეკლესიად იქცა, სამთავნელი ეპისკოპოსები კი — „პირად ბერებად". ამ ხნიდან იწყება ამილახორების დიდი მზრუნველობა როგორც სათავადოს, ისე მის ეკლესია-მონასტრების მიმართ. სწორედ ამის მაუწყებელია სამთავისის ტაძრის დასავლეთის ფასადზე, შეწყვილებული სარკმლის ზემოთ, ორ ქვაზე მოთავსებული ასომთავრული წარწერა (სურ. 54, ტაბ. 56), რომელიც შემდეგს გვაუწყებს:



სურ. 54. სამთავისი, გაიანე ამილახორის წარწერა დასავლეთის ფასადზე
Рис. 54. Самтависи — Надпись Гаяне Амилахори на западном фасаде
Fig. 54. Samtavisi. Gaiane Amilakhori's inscription on the western façade

1. ჯ ბეზისჲ ჩჯ1
2. ზჩჂაჯისჲ ოჩ
3. ჯ1ჩჂ1ბჯისჲ

1. ჯ1ფ1ო ჯ1ფ
2. 1ისჲ ჩსაზისჲ
3. ჯ1აჯ1ბ: ჩიჯყ1ჩ1ფ1
4. ზისჲ ქჩ1ჩ1ს: ყჩს იჩ־ჩ

მოგვყავს წარწერა მხედრული ტრანსლიტერაციით:

1. „ჰოჲ დიდისა ამი-
2. ლახორისა თან
3. მეცხედრესა,


1. მეფეთ მეფ-
2. ისა ასულისა,
3. მეორედ აღმაშენებე
4. ლსა გაიანეს. შეუნდენეს
ღმერთმან ამინ“ [62]

---

[62] წარწერა პირველად შეისწავლა და გამოაქვეყნა მ. ბროსემ. მკვლევარის აზრით, წარწერაში მოხსენებული გაიანე არის შემონაზვნებული თამარი, მეფე ვახტანგ V-ის ასული, რომელიც მეუღლედ ჰყავდა გიეი I ამილახორს (იხ. Brosset, დასახ. ნაშრ., გვ. 31). ბროსეს მცდარ მოსაზრებებს იზიარებენ ა. ხახანაშვილი (იხ. VII, 1898, გვ. 44) და მ. ქურციკი (იხ. მისი საამილახორო ისტორიიდან XV—XVIII სს., 1952, გვ. 164).

წარწერას საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნა ს. ბარნაველმა: აეტო-რის მიხედვით წარწერაში მოხსენებული მეფეთ მეფის ასული გაიანე არის, ქართლ-იმერეთის მეფის ბაგრატ VI-ის (1466—1478 წწ.) და. რომელიც მეუღლედ ჰყავდა ამირინდო ზევდგენიძე-ამილახორს [63].

სამთავისის ტაძრის დასავლეთის ფასადის მარცხენა სარკმლის ქვეშ მოთავსებულია მეორე წარწერაც (სურ. 55, ტაბ. 57). იგი ოთხსტრიქონია-ნია და ასე იკითხება:



სურ. 55. სამთავისი, სიაოშის წარწერა დასავლეთის ფასადზე
Рис. 55. Самтависи — Надпись Сиаоша на западном фасаде
Fig. 55. Samtavisi. The Siaosh inscription on the western façade

1. ჩ: ყღჲ:. იჱშჽჩუყქისჽჲ ჱუიღ	1. წმიდაო: ხატო ღმრთაებისაო მეოხ·
2. ქჭჱუჩ: ჱუიღჽჩჲჱ ჽიიჱჱყჩ	2. ექმენ: მეორედა აღმაშო
3. ჩუყზისჽ:. ყჩზისჽ სისჽიყ	3. ნებლისა: შვილისა: სიაოშ
4. ისჽ:. ჽჱისჩ:. ჲფზჲ იჱშჲ	4. ისა: ამინ: უფალო ღმერთო:

მ. ბროსე და ა. ხახანაშვილი ამ წარწერის განხილვისას შეცდომებს უშვებენ [64]. ს. ბარნაველის გამოკვლევით სიაოში გაიანე და ამირინდო ამილახორების ვაჟიშვილია [65], რასაც წარწერაც ადასტურებს: „მეორედ აღმშენებლისა შვილისა სიაოშისა". ერთ-ერთი საბუთის მიხედვით სიაოშ ამილახორი 1513 წ. უკვე გარდაიცვალა [66]. ამრიგად. სამთავისის ტაძრის „მეორედ აშენება"-აღდგენა უნდა მომხდარიყო XV ს. 80-იან წ. და 1513 წ. შორის.

ორივე წარწერაში წერია „მეორედ აღმშენებელსა". თუ რას ნიშნავს „მეორედ აშენება", ამის შესახებ საინტერესო დასკვნებს იძლევა აკად.

---

[63] ს. ბარნაველი, სამთავისის „მეორედ აღმშენებლის" ვინაობა, საქ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XII, № 9, 1951, გვ. 572.

[64] იქვე, გვ. 576.

[65] იქვე, გვ. 577.

[66] თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, II, ტფ., 1897, გვ. 332.

ნ. ბერძენიშვილი: „ძველ ქართულში ტერმინი „აშენება" ხუროთმოძღვრებაში ერთი შინაარსით არ იხმარებოდა. ზოგჯერ „აშენება" ახალის აგებას ნიშნავდა, ზოგჯერ კი ის მხოლოდ გადაკეთებას, განახლებას, რესტავრაციას ჰგულისხმობდა. ამ უკანასკნელი საქმიანობისათვის სხვა ტერმინიც არსებობდა: „მეორედ აშენება" და სხვ. „მეორედ აშენებისას უმთავრესად საფუძვლიან შეკეთებას ან გადაკეთებას ჰგულისხმობდნენ" [67].

სამთავისის ტაძარი, რომელიც ქართული ხუროთმოძღვრების კლასიკურ ძეგლად ითვლება, დღემდე პირვანდელი სახით არ არის მოღწეული: მისგან მხოლოდ აღმოსავლეთის ფასადია თავდაპირველი სახით შემორჩენილი. თუ როდის მოხდა და რამ გამოიწვია ძეგლის დაზიანება, ჩვენთვის ამჯერად უცნობია.

XV—XVII სს. მიჯნაზე, ადგილობრივი ფეოდალების ამილახორების აღზევების შემდეგ, შესაძლებელი გახდა ტაძრის „მეორედ აშენება". გაიანე და სიაოშ ამილახორების ინიციატივით მეორედ იქნა აშენებული ჩრდილო-დასავლეთის ბურჯი, გუმბათი და დასავლეთის კედელი, სადაც სამშენებლო წარწერებიც ჩაატანეს. მათ მიერ აღდგენილ იქნა გრძივი ფასადების დასავლეთის ნაწილებიც. სამთავისის ტაძარზე, ამ აღდგენითი სამუშაოების შედეგად მკაფიოდ გამოირჩევა XV—XVI სს. მომხდარი „მეორედ აშენების" ფენა.

აღნიშნული რესტავრაციის დროს დასავლეთის ფასადმა სრულიად დაკარგა პირვანდელი სახე. თუ დანარჩენი სამი ფასადი დეკორატიული კამარნარის სისტემითაა დამშვენებული, ეჭვს გარეშეა დასავლეთის ფასადიც ამგვარად იქნებოდა გაფორმებული. ჩვენი ვარაუდით, დასავლეთის ფასადი დანაწევრებული უნდა ყოფილიყო ხუთი კამარით, ისე როგორც ეს აღმოსავლეთის ფასადზეა. დასავლეთის ფასადის შეწყვილებული სარკმლები და მათ შორის შემორჩენილი ჯვრის ქვედა მკლავი, რომელიც ცენტრალურ კამარაში თავსდება, XV—XVI სს. მიჯნაზე ჩატარებული რესტავრაციის დროს დანგრეული გუმბათის ყელის (XI ს.) ჩუქურთმებით შეუმკიათ [68].

სამთავისის ტაძრის გუმბათის ჩაქცევისა და დასავლეთის ფასადის დაზიანების გამო, რა თქმა უნდა, ინტერიერიც იცვლიდა სახეს. ამ დროს დაზიანდა კედლებზე და ნაწილობრივ საკურთხევლის აბსიდში არსებული მხატვრობა, გუმბათის მხატვრობა კი მთლიანად დაიღუპა. XV—XVI საუკუნეთა მიჯნაზე, როდესაც გაიანე და სიაოშ ამილახორებმა აღადგინეს თავიანთი კარის ეკლესია, საფიქრებელია დაზიანებულ მხატვრობას უყურადღებოდ არ დატოვებდნენ. თუმცა ამის შესახებ, ჯერჯერობით არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება. ისმის კითხვა: მხატვრობის აღსადგენად რა სამუ-

---

[67] ნ. ბერძენიშვილი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. VI, თბილისი, 1931, გვ. 282.

[68] Н. Северов, К вопросу о реконструкции барабана Самтависского храма, „ქართული ხელოვნება", VI, თბ., 1963, გვ. 201.

შაოები იქნებოდა ჩატარებული იმ დროისათვის? პირველ რიგში თავიდან აშენებულ გუმბათს მთლიანად მოხატავდნენ, შემდეგ კი — ტაძრის კედლებისა და საკურთხევლის აბსიდის ზოგიერთ ადგილს გააცხოველებდნენ.

სამთავისის ტაძრის კედლის მხატვრობა აკად. შ. ამირანაშვილის გამოკვლევით პირველად XI საუკუნეში იქნა შესრულებული, ხოლო შემდეგ, შედარებით გვიან XVII საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა გაცხოველება[69]. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საკურთხევლის აბსიდში კედლის მხატვრობა სამფენოვანია (XI, XVI, XVII სს); გუმბათის მხატვრობა კი ერთფენოვანია (XV—XVI სს.)[70]. ტაძრის შიგნით გუმბათქვეშა აღმოსავლეთის ბურჯებზე არსებული წარწერები იუწყება საკურთხევლის მხატვრობის გვიან ხანაში მომხატველის ამბავს.

სამხრეთ-აღმოსავლეთის ბურჯზე თეთრი ფერის საღებავებითაა შესრულებული ექვსსტრიქონიანი ასომთავრული ფრესკული წარწერა (სურ. 56, ტაბ. 58).

1. :.ᲒᲠᲔ¨ᲠᲔᲠ :.ᲩᲠ	:დახატვითა :.წმიდისა
2. :.ᲡᲠᲙ¯ᲐᲣ[Ე]¯ᲖᲡᲠ	:.საკურთხეველისა
3. ᲠᲐᲠᲡ ᲙᲐᲨ[Ჩ] [Უ]Ⴇ	ამას ბრძანებითა
4. ᲦᲢ¯ᲨᲡ:. ᲠᲐ¯ᲖᲔᲡ	გიეის: ამილახორის
5. ᲢᲣᲠ:. ᲘᲐᲩ: [Ყ]	ითა:. ღმერთმან: შ.
6. ᲐᲩᲘᲩᲡ ᲠᲩ.	ეუნდვნეს: ამინ.

ჩრდილო-აღმოსავლეთის ბურჯზე კი ამავე ფერის საღებავით შესრულებული შვიდსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა (სურ. 57).


1. ᲒᲠᲔᲣᲠ:. ᲩᲒᲠ	1. დახატვითა:. წმიდისა
2. ᲡᲠᲙᲣᲔ¯ᲖᲡᲠ:.	2. საკურთხეველისა:. ა
3. :.Ა[Ⴇ]ს:. Ყ¯ᲖᲣᲠ:.	3. მას:. კელითა
4. :.ᲡᲠᲐᲣᲨᲦ: ᲣᲢ	4. სამთავნელ:. ეპის
5. ᲙᲦ¯Ზ:. ᲨᲣᲖᲔ¯ᲘᲩ:.	5. კობოზ:. მელიტონ:.
6. [ᲧᲣ]ᲘᲩ¯ᲒᲩᲡ: ᲘᲣ¯Ჩ	6. შეუვნდნეს:ღმერთმან
7. [ᲮᲙᲡᲠ] ᲔᲨᲖ: Უ¯ᲠᲘᲙᲦᲡᲠ	7. ქორონიკონსა ტჲზ: თვესა ოქტომბერსა.

გუმბათქვეშა აღმოსავლეთის ბურჯების წარწერები დამაჯერებლად გვატყობინებს, რომ სამთავისის ტაძრის საკურთხევლის აბსიდი განახლების მიზნით მოუხატავს ადგილობრივი ფეოდალის გიეი ამილახორის ბრძანე-


---

